# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 1 მაისი 2001 №77 (1350) | ფასი 50 თეთრი


## ასანიძის გზა ათენში მიდის




საჩხერელმა ძალოსანმა გიორგი ასანიძემ 2004 წლის ათენის ოლიმპიადისთვის მზადება დაიწყო. სიდნეის ოლიმპიადიდან ბრინჯაოს მედლით ჩამოსული ქართველი ელადაში უმაღლეს საფეხურზე ასვლას აპირებს და სამისოდ ცდას არ აკლებს. ასანიძის პირველივე რეპეტიციამ ჩინებულად ჩაიარა: მან სლოვაკურ ტრენჩინში ევროპის ჩემპიონატი მოიგო. 85 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ქართველს წინააღმდეგობაც ვერავინ გაუწია.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

## აქ შეიძლება კაცი მოკლან

### რუსთაველმა კალათბურთელებმა და გულშემატკივრებმა მსაჯ ზაზა მაჩალაძეს უმოწყალოდ ურტყეს

კვირას ვერის ბაღში ხალხი კალათბურთის სანახავად მივიდა და უმსგავსობა ნახა. ძნელია, ძალიან ძნელია, ყოველივეს სახელი დავარქვათ. ის, რაც რუსთავის „ქიმიკოსმა“ მოიმოქმედა, კონკრეტული პიროვნებების კი არა, სრულიად ქართული საკალათბურთო სამყაროს შეურაცხყოფა გახლავთ. ეს გუნდი უპატივცემულოდ მოექცა გულშემატკივარს, კალათბურთს და საკუთარ თავს. და მთავარი: ლამის სასიკვდილოდ გაიმეტა შეხვედრის არბიტრი ზაზა მაჩალაძე.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი






აზოტი — სტუ. პლეი ოფის ნახევარფინალის მესამე, გადამწყვეტი მატჩი: მონასტერი მაშინ აირია, როცა შეხვედრის დასრულებას 31 წამი აკლდა

# ფეხბურთის ფედერაციამ ჯაშუშები დაიქირავა

## ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე დაკავებულია 2:4

*ნუ გაიკვირვებთ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჯაშუშები მუშაობენ. ისინი, როგორც მათი საქმე მოითხოვს, ჩუმად სხედან, ინფორმაციას აგროვებენ და მერე ყველაფერს ფედერაციის საგანგებო კომიტეტს უკაკლავენ.*



სფფ-ის საგანგებო კომიტეტი: ვალერი ჩოლარია, მერაბ ჟორდანია და ალექსანდრე ჩივაძე

**ასე** ყოფილა ეროვნული ჩემპიონატის დაწინაურებული ექვსეულის მეხუთე ტურის „მერან" — „კოლხეთის" მატჩისას და მატჩის შემდეგაც. ფედერაციის მზირი „სინათლის" ტრიბუნაზე მოკალათებულიყო და ყოვლად უაზარტო მატჩს უცქერდა. დამთავრდა მატჩი და მან ფედერაციის ჩინოსნებს ასეთი ინფორმაცია მიაწოდა — დავეჭვდი, მგონი თამაში ჩაწყობილი იყოო. ამის გამგონე ვალერი ჩოლარია კი, ფედერაციის გენერალური მდივანი და საგანგებო კომიტეტის წევრი, „მერან" — „კოლხეთის" ინსპექტორს დაუკავშირდა და სთხოვა, „მერანის" პრეზიდენტ დავით ფურცელაძესთვის გადაეცა, რომ მას ფედერაციაში იბარებდნენ. ყოველივე ეს მატჩის დამთავრებიდან 15-20 წუთში მოხდა. საეჭვო მატჩზე ინფორმაცია ფედერაციამ ოპერატიულად მიიღო:

— რამდენჯერმე ადრეც მითქვამს — ფედერაციას ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ინსპექტორის გარდა სხვა არაოფიციალური წარმომადგენელიც ეყოლება-მეთქი. ასე იყო „მერან" — „კოლხეთის" მატჩზეც. „სინათლეზე" იყო ინსპექტორი ბადრი ქარქაშაძე, იყვნენ მსაჯებიც, მაგრამ იყო ერთი კაციც, რომელმაც პირველმა მითხრა, მატჩი სპექტაკლს ჰგავდაო. დიახ, შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ ჩვენ ჯაშუშები გვყავს — გვითხრა გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო კომიტეტის მიერ მატჩის შედეგი 2:4 არ იქნა დამტკიცებული. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჯაშუშის ეჭვი ინსპექტორმა ქარქაშაძემ და მსაჯებმაც გაიზიარეს თავიანთ პატაკებში, თუმც „მერანის" პრეზიდენტმა დავით ფურცელაძემ ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ქარქაშაძეს ვესაუბრე, ის არაფერს დაუეჭვებია და პატაკში ამის თაობაზე არაფერი დაუწერიაო. ვალერი ჩოლარია კი ამბობს, ქარქაშაძემაც და მსაჯებმაც დაწერეს, რომ მატჩში საეჭვო იყო. ეს ჟურნალისტებმაც ვთქვით, მაგრამ მაშინ, როცა საგანგებო კომიტეტს უკვე მიეღო გადაწყვეტილება, „მერან" — „კოლხეთის" 2:4 არ დამტკიცდა და საბოლოო სიტყვის დღედ 3 მაისი გამოცხადდა. სწორედ 3 მაისი, რადგანაც საგანგებო კომიტეტმა იქამდე ყველაფერი უკეთ უნდა შეისწავლოს. თუმც კი დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ორივე გუნდი დაისჯება, ნაღდად დაისჯება. რისთვის? — ფეირ-პლეის პრინციპების დარღვევისთვის, მატჩის უბრძოლველად დათმობისთვის და მაყურებლის უპატივცემულობისთვის — გვითხრა ვალერი ჩოლარიამ და ისიც დაამატა — 3 მაისამდე საგანგებო კომიტეტი თუ დარწმუნდა, მატჩი ჩაწყობილი იყო, „მერანიც" და „კოლხეთიც" იმაზე მეტად დაისჯებიან, დღეს რომ ვფიქრობთო.

ერთსაც ამბობენ, ამ მატჩის შედეგზე, „გორდა" — „სიონის" თამაშისა არ იყოს, მესამე პირმა თუ გუნდმა იქონია გავლენაო. იმ მესამეს კი ჯერჯერობით არავინ ასახელებს და ვეჭვობთ, მომავალშიც ვინმემ საქვეყნოდ გაამხილოს. ამით ხომ თავსაც დამნაშავედ აღიარებენ და არც „მესამეს" დაადგება კარგი დღე.

და ისევ ჯაშუშებზე და დაწინაურებული ექვსეულის საყურადღებოდ. ფედერაციის მზირები თურმე ექვსეულის სამივე მატჩს ესწრებიან და თუ რამ საეჭვოდ ეჩვენათ, 21 აპრილის მსგავსად წუთშივე „ჩეკას" აცნობებენ. საერთოდ კი მზირები ყველა მატჩს არა, მაგრამ ფედერაციის არჩეულ რომელიმე ან რამდენიმე თამაშს „უთვალთვალებენ".

— ინსპექტორებს და მსაჯებსაც, რა თქმა უნდა, ვენდობით, მაგრამ ერთი კაციც არ არის ზედმეტი. ინსპექტორ-მსაჯებს მატჩისას მილიონი საქმე აქვთ, იმ კაცს კი არაფერი ევალება, ზის თავისთვის და მატჩზე წარმოდგენას იოლად იქმნის. ისე, საქმე საქმეზე თუ მიდგება, ცხადია, ფედერაციისთვის უპირველესი ინსპექტორისა და მსაჯების სიტყვა იქნება — ესეც ვალერი ჩოლარიამ განგვიცხადა.

ბოლოს კი ერთიც. ფედერაციის გენერალური მდივანი აპირებს „მერანის" პრეზიდენტ დავით ფურცელაძეს „სარბიელში" დაბეჭდილი ერთი წინადადებისთვის პასუხი მოსთხოვოს. ფურცელაძემ თქვა, ფედერაციის ერთ-ერთ განყოფილებაში ჭორაობის მეტს არაფერს აკეთებენო. ჩოლარიამ, მნიშვნელობა არა აქვს, ფურცელაძემ ეს რომელ განყოფილებაზე, რომელ თანამშრომელზე თქვა, რადგანაც მისი სიტყვები მთლიანად ფედერაციას ეხებაო.

**კობა ინასარიძე**

# გამტან-დამჭერთა ლაზარეთობანა

**ამ** ბოლო დროს ვერ აეწყო კარგად „დინამოს" საქმეები — ხან ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციები, ხან ტრავმები, რასაც მეორე ეტაპზე პირველი დამარცხებაც მოჰყვა ქუთაისის „ტორპედოსთან". გუნდს რამდენიმე მატჩში გამოაკლდა არჩილ სახვაძე, რომელსაც უცხოეთში სურს კარიერის გაგრძელება. ის არც ქუთაისში ხლებია გუნდს — სახვაძე ამჯერად გერმანიაშია და მისი მომავალიც მალე გაირკვევა, თუმც, როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, ხელსაყრელი ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევაშიც სეზონს „დინამოში" ჩაამთავრებს.

„ტორპედოსთან" ვერ ითამაშა ტრავმირებულმა სოსო გრიშიკაშვილმაც. როგორც იცით, 17 აპრილს დინამოელთა მეკარე მეოთხე ტურის შეხვედრაში „ლოკომოტივთან" დაშავდა და რკინიგზელ აქვსენტი გილაურთან ატეხილი აყალმაყალის გამო დისკვალიფიცირებულმა მომდევნო მატჩი გამოტოვა „ვიტ ჯორჯიასთან". ტრავმა კი არცთუ მსუბუქი გამოდგა — მარჯვენა მუხლის გვერდითი იოგის დაჭიმულობა, თუმც გრიშიკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას ახლა არა უშავს. გუშინ თითქმის ორკვირიანი პაუზის შემდეგ ის კვლავ გამოეწყო სავარჯიშოდ, ბურთს ერთი-ორჯერ შეეხო და გუნდის ექიმ დიმა ზაალიშვილის რჩევით ვარჯიში შეწყვიტა. ერთი კვირის შემდეგ გაცხადდება, როდის დაიცავს გრიშიკაშვილი „დინამოს" კარს.

ამ მისიას კი ახლა გუნდის მესამე მეკარე, 21 წლის ზვიად ხაჩირაშვილი ასრულებს, რადგან „დინამოს" მეორე გოლკიპერიც არ არის მთლად ჯანმრთელად — ზურაბ ბათიაშვილს თვალში ინფექცია შეეჭრა. მან ვარჯიში ახლახან განაახლა, მაგრამ თვალში სპეციალური ლინზა აქვს ჩადგმული და ოდენ მსუბუქად ირჯება. სრული დატვირთვით ვარჯიშს კი ერთ კვირაში შეუდგება, როცა ლინზას მოიცილებს.

მოთელვითი ვარჯიშებიც კი აკრძალული აქვს „დინამოს" და ჩემპიონატის ბომბარდირ ზაზა ზირაქიშვილს. მას „ტორპედოსთან" მატჩის მეთხუთმეტე წუთზე ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და შეხვედრა ფეხმტკივანმა ჩაამთავრა. მისთვის ახლა დასვენება აუცილებელია, რათა 5 მაისამდე მომჯობინდეს და „მერანის" წინააღმდეგ ითამაშოს.

**დავით თავართქილაძე**



ზაზა ზირაქიშვილი საქიმო გახდა



## საქართველოს თასი
## ნახევარფინალი
პირველი მატჩები

მცხეთა. არმაზი. 1 მაისი. 18 საათი

### ვიტ ჯორჯია — ტორპედო

მსაჯები: კ. მეჭხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებული: გურჯუა (ტორპედო)

თბილისი. 26 მაისი. 1 მაისი. 18 საათი

### ლოკომოტივი — მერანი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებული: ქიქველიშვილი (ლოკომოტივი)

## ინგლისი

XXXVI ტური

**ჩარლტონი 2:1 იფსვიჩი**

1:0 სვენსონი (12), 1:1 როიზერი (20), 2:1 რუფუსი (56)
ჩარლტონი: ილიჩი, კ. პაუელი, რუფუსი, ტოდი, ფიში, პარკერი (გ. სტიუარტი 38), ჯ. რობინსონი, იენსენი (კონჩესკი 87), კინსელა, სვენსონი (ლისბი 77), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კურბიშლი
იფსვიჩი: რ. რაიტი, მაკგრილი, ბრემბლი, ჰერმანსონი, მაკინი, ჯ. რაიტი, მეჯილტონი, ჰოლანდი, მარკუს სტიუარტი (ბერჩილი 66), ა. არმსტრონგი, როიზერი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: მაკინი
20 043 მაყურებელი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი
**როვერსი 0:3 პორტვეილი**

III დივიზიონი
გადადებული მატჩი
**ლინკოლნი 1:1 ჰალიფაქსი**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXXI ტური
**ფიურტი 1:0 დუისბურგი**

## იტალია

სერია B. XXXIII ტური
**სიენა 0:0 სამპდორია**


მხოლოდ „მაჭნის" ჯიხურებში!



ვაჟა ჩხაიძე
მრეტები

Mrettebi Tbilisi Football Club
Fax +1 530 7342520
mrettebi@yahoo.com
www.geocities.com/mrettebi

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80


სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ გაზეთის გამომცემელსა და მთავარ რედაქტორს ზურაბ ფოცხვერიას მამის
**ვასილ ფოცხვერიას**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ გაზეთის გენერალურ დირექტორს ლევან ფოცხვერიას მამის
**ვასილ ფოცხვერიას**
გარდაცვალების გამო

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი
მეორე ეტაპი 12

# 6 ტური

## I–VI ადგილები

# მერანის სამიანი ტორპედოს ოთხიანია

თბილისი
28 აპრილი
16 საათი
სინათლე
1000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 1:0 ლოკომოტივი**

1:0 ბაჯელიძე (89)
**მერანი:** კოროშინაძე, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიტიშვილი, ილურიძე, კოშკაძე, მუხინი, კვეკვესკირი (ბაჯელიძე 79), დ. გოდერძიშვილი (კრავეიშვილი 68), მინაშვილი (ხუციშვილი 75)
სათადარიგონი: დევაძე, ხუჯაძე, ბოლქვაძე, ჭინჭარაული
**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ბალაშვილი, ცხადაძე, სალუქვაძე, ლაცაბიძე, ბაქრაძე (ბარამიონოვი 76), ჭიჭველიშვილი, ანჩაბაძე, დათუაძე (ონიანი 28), გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (კაიდარაშვილი 57)
სათადარიგონი: ლომაია, გოგნაძე
**გაფრთხილება:** დავითნიძე (59), ჭიჭველიშვილი (87), მუხინი (87)
**გაძევება:** ჭიჭველიშვილი (87)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

**კობა ინასარიძე**

**დიდი** საქმე გაუკეთა „მერანმა“ ჯერ „ტორპედოს“ და მერე საკუთარ თავს. მასპინძლებს სულ არაფრად სჭირდებოდათ სამი ქულა, მაგრამ მაინც ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს, მეტოქეს „სინათლის“ ოღროჩოღრო მოედნის მტკაველიც არ დაუთმეს და სწორედ იმ დროს გაიტანეს, როცა ფრე ყველაზე მოსალოდნელი შედეგი გახლდათ. და, რა თქმა უნდა, ამით ყველაზე მეტად „ტორპედო“ გაახარეს, „ლოკომოტივი“ ჩემპიონებს ოთხი ქულით ჩამოატოვებინეს.

მიუხედავად იმისა, რომ „მერანს“ გულში თასის მოპოვება ამოუჭრია და ავჭალელთა ხელმძღვანელობის თქმით, ჩემპიონატი უკვე ნაკლებად აინტერესებს, მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ რკინიგზელებს თითქმის უძლიერესი შემადგენლობა დაუპირისპირა. არადა, მატჩამდე ავჭალელთათვის რომ გეკითხათ, „ლოკომოტივს“ უმეტესად ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭები დახვდებოდნენ.

სტუმართათვის „სინათლეზე“ ფრეც კი არასასურველი შედეგი იქნებოდა. მწვრთნელმა გივი ნოდიამაც თითქოს ოპტიმალური შემადგენლობა ათამაშა, ბიჭებიც მონდომებულნი იყვნენ, მაგრამ იქაურობა მთლად უქულოდ დატოვეს და საჩემპიონო შანსებიც მნიშვნელოვნად შეიმცირეს.

სახიფათო მომენტები მატჩში იშვიათად იქმნებოდა. პირველ ტაიმში მასპინძლებმა შეუტიეს მწვავედ. მინაშვილმა კოშკაძე ჩინებული პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ასლანაძემ იყოჩაღა, კარი დატოვა და მეტოქეს დასარტყმელი კუთხე შეუმცირა. კოშკაძემ დარტყმა მაინც მოახერხა, თუმცა ასლანძემ [illegible] ძირითად შემადგენლობაში [illegible] მაშობს, ბურთს გადაელობა. შესვენებამდე ეს იყო და ეს. უპირატესობა სტუმრებისა გახლდათ, მაგრამ მათ სახეირო ვერაფერი მოიმკეს.

თამაში მეორე ტაიმშიც „ლოკომოტივისა“ იყო, თუმც „მერანიც“ გააქტიურდა და თავდასხმასაც მოუხშირა, მაგრამ მომენტები ისევ თითებზე ჩამოსათვლელი გახლდათ. აღსანიშნად კი ანჩაბაძის დარტყმული ჯარიმა ღირს. რკინიგზელთა გამთამაშებლის მიერ დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელს გადაევლო და მეკარისგან შორეული კუთხისკენ გაფრინდა, მაგრამ კოროშინაძემ იყოჩაღა და ბურთი ზედ კარის ხაზზე გააქვავა.

87-ე წუთზე კი მატჩის კულმინაციური მომენტი დადგა. „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი შეტევისას მუხინი ჭიჭველიშვილს ეუხეშა. არბიტრმა რკინიგზელი გააფრთხილა, მხოლოდ ამის შემდეგ მუხინი, მერე ჭიჭველიშვილს აუფრიალა წითელი ბარათი. „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი გაცხარდა და კრიჭაშვილმაც სამართლიანად დასაჯა.

დარჩა „ლოკომოტივი“ კაცნაკლული და ორ წუთში გოლიც გაუშვა. ბაჯელიძემ, რომელიც 10 წუთის შესული იყო მოედანზე და ასლანაძისკენ სახიფათოდ დარტყმაც მოესწრო, საჯარიმოს ხაზთან სამი რკინიგზელი მოატყუა, გაისწორა ბურთი და ძლიერად, ასლანაძისგან შორეულ კუთხეში დაჰკრა. მეკარე უძლური აღმოჩნდა — 1:0. გაიხარა „მერანმა“, მაგრამ დარჩენილ ორ-სამ წუთში მათ მეკარეს რომ არ ეყოჩაღა, ეგებ სტუმრებს მოესწროთ კიდეც ანგარიშის გათანაბრება. თუმც ამ მომენტებისთვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელს არ უცქერია, ბაჯელიძის ლამაზი გოლის შემდეგ ის წამოდგა და გასახდელს მიაშურა. „მერანი“ კი კოროშინაძემ ორჯერ იხსნა, ორჯერვე ორი-სამი მეტრიდან დარტყმული ბურთი მოიგერია.

დღეს კი ეს გუნდები კვლავ ერთმანეთის მეტოქენი იქნებიან. ამჯერად ვაკეში — „26 მაისზე“ საქართველოს თასის ნახევარფინალია. აბა, ბრძოლა იქ იქნება.



ავჭალელთა მეკარე ანდრო კოროშინაძემ კახა გოგიჩაიშვილს (№10) და გიორგი ანჩაბაძეს (№17) ანგარიშის გათანაბრების ბოლო შანსიც წაართვა

# ვეტერინარებმა კოლხეთის აცრეს

მცხეთა
28 აპრილი
16 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 3:1 კოლხეთი**

1:0 მელქაძე (47), 2:0 მუჯირი (49), 3:0 მელქაძე (60), 3:1 ქობულაძე (67)
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი (ჭურაძე 76), კობიაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, ადამია (ხაჭაპურიძე 76), წუწუნავა (სულთანიშვილი 80), ყიფიანი, ლ. მელქაძე
სათადარიგონი: დოლიძე, ინწკირველი, ლ. გოჩაშვილი, რ. გოცირიძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, ნარსია, ქუნთელია, აკობია, ქობულაძე, ფანჩულიძე, კვირკველია (ბაგულიძე 28), ჭანტურიძე, შალამბერიძე (ვართაგავა 63), მუმლაძე, ე. გვასალია (ხუჭუა 37)
სათადარიგონი: ჩემია, ლალანიძე
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

**28 აპრილი** კარგა ხანს ეხსომებათ ვეტერინარებს. შაბათს „არმაზზე“ სტუმრად ნაწვევ „კოლხეთს“ ერთბაშად სამი გოლი გაუტანეს, საპასუხოდ მხოლოდ ერთი გაუშვეს და აქამდე აუხდენელი ოცნებაც რეალობად აქციეს.

შაბათამდე ვიტელთა მონაგარი „კოლხეთთან“ ერთი საშინაო და ერთიც საგარეო ფრე იყო, არადა, „ვიტ ჯორჯიას“ ეროვნულ ჩემპიონატში დაუმარცხებელი გუნდი არ დარჩენოდა.

უხერხულ მეტოქესთან თამაში იოლი სულაც არ იყო. მართალია, ზღვისპირელებმა ძირითადის სამი ფეხბურთელი — ტორჩინავა, გოროზია და წივწივაძე ტრავმის გამო მოისაკლისეს, არც მეოთხეს, ფეხმტკივან, თუმცა განაცხადში მყოფ ლალანიძეს უთამაშია, მაგრამ ფოთელთა გაახალგაზრდავებული შემადგენლობა მცხეთაში წასაგებად სულაც არ ჩასულა.

სოსო ფილიამ თავიდანვე კონტრიერიშებზე დაგეშა ფეხბურთელები და მასპინძლებსაც ძალიან გაუჭირდათ სტუმართა დაცვის გარღვევა.

ჯანი კარნევალიმ, მოწინააღმდეგე კოლეგისგან განსხვავებით, მოსაგებად ზედმეტად შემტევი სტილი ირჩია. ფაქტობრივად ორი მცველი, ჭანკოტაძე და კობიაშვილი, სულ ეს იყო ვეტერინართა უკანა ხაზი.

პირველი ტაიმის შუაში, როცა სტუმრებმა სახიფათო კონტრიერიშებს უხშირეს, იტალიელმა ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — ჭანკოტაძეს და კობიაშვილს საყრდენი დილმელაშვილი დაახმარა, გოგობერიშვილი ნოზაძეს შეუწყვილა, ხოლო მარცხენაფლანგელი მუჯირი შეტევებში უფრო თამამად ჩართო. ყველაფერმა ამან ნაყოფი გამოიღო. კოლხები მხოლოდ დაცვის იმედად დარჩნენ, ხოლო როცა გამოერკვნენ, უკვე გვიან იყო.

ისიც სათქმელია, რომ ფილიას გუნდი გადაღლილი და დამძიმებული გვეჩვენა. არ წაუვიდათ თამაში კოლხთა ლიდერებს — შალამბერიძეს, ქობულაძეს და ელდარ გვასალიას. ამ და სხვა ფაქტების გათვალისწინებით, შაბათს ფოთელთა მარცხი ლოგიკურიც იყო.

პირველ ტაიმში მაინც ვერ აისრულა სურვილი „ვიტ ჯორჯიამ“. საგოლედ ერთხელ შეუტია მეტოქეს. ეს მაშინ, როცა მარჯვენა ფლანგზე ადამია ორ მცველს დაუსხლტა და სტუმართა საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა. ბურთი კარის წინ ეულად დარჩენილ მელქაძეს მისდიოდა, მაგრამ ლევანმა დარტყმის ნაცვლად თანაგუნდელისკენ გაატარა და მომენტიც დაიკარგა.

მეორე ტაიმი წუთის დაწყებული იყო, როცა სტუმართა მცველის მოგერიებული ბურთი ადამიამ მოიგდო. მასპინძელთა ნახევარმცველს ბევრი არ უფიქრია, წამსვე წუწუნავას გაუჭრა. კახამ მცველს აჯობა და ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. იქ კი ვეტერინართა ახალმა ლიდერმა ლევან მელქაძემ, რომელიც ბოლო მატჩებში უგოლოდ არ ტოვებს მოედანს, მცველთან ჭიდილში საგოლედ დაჰკრა თავი ბურთს.

კოლხებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს და წუთის შემდეგ მეორეც გაუშვეს. ადამიას დაწყებული შეტევა ისევ წუწუნავამ გააგრძელა. კახამ ძლიერად დაარტყა კარისკენ. ბურთი მცველს ფეხზე მოხვდა და ჰაერში აიჭრა. ძირს დაშვებულს კი მუჯირი დაუხვდა და ანგარიში გააორა.

თამაშიც მაშინ დასრულდა. აშკარა იყო, „ვიტ ჯორჯია“ გამარჯვების შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. ამის დასტურად ლევან მელქაძემ მალე დუბლიც მიითვალა. ვიტელთა ფორვარდმა ბურთი მოედნის სიღრმიდან მიიღო, მცველთან ჭიდილში შეინარჩუნა და ბრძოლაშივე კარში დაარტყა. ბურთი მოწინააღმდეგეს ფეხზე შეეხო, მერე ოდნავ წინ გამოსულ ქვაჩახიას თავზე გადაევლო და კარში შევარდა.

მატჩის დამთავრებამდე ოცდასამი წუთით ადრე „კოლხეთმა“ ერთი გოლი გაქვითა. სტუმრებმა კუთხური მოაწოდეს. შეცდა მასპინძელთა დაცვა და მეკარე, რომელმაც მცირე ტრავმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მიიღო. კარის წინ ეულად დარჩენილს გოლის გატანა არ გვჭირვებია.

ბოლოს ერთსაც დავამატებთ. თამაში მაღალი ტემპით არ გამოირჩეოდა, უფრო პოზიციურ ბრძოლაში მიმდინარეობდა და გაიმარჯვა იმან, ვინც უფრო მეტად მოიცალა შეტევისთვის და გაცილებით ნაკლები შეცდომა დაუშვა.



გიორგი ყიფიანის (ბურთით) „ვიტ ჯორჯიამ“ ლევან აკობიას (№3) „კოლხეთს“ პირველად მოუგო

ქუთაისი
28 აპრილი
16 საათი
ტორპედო
13 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 1:0 დინამო**

1:0 აშვეთია (36 პ)
**ტორპედო:** ზოიძე, ქემოკლიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, პ. ჯინჭარაძე (ზ. არჩვაძე 74), გუჩუა, დიდავა, ასათიანი (ჯანაშია 10), იონანიძე, აშვეთია (კ. კვეტენაძე 67)
სათადარიგონი: ტოგონიძე, ი. ვაშაკიძე, იმედაძე, მ. ბობოხიძე
**დინამო:** ხაჩირაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი, გაბიდაური, ბურდული, იაგორაშვილი, აფციაური (თუთარაშვილი 85), ზირაქიშვილი, მიკუჩაძე (გ.ვ. მიქაძე 67)
სათადარიგონი: გერგედავა, ჩივაძე, მუშკუდიანი, ი. შენგელია, თ. მაისურაძე
**გაფრთხილება:** ბურდული (36), დიდავა (53), გუჩუა (63)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ი. შალამბერიძე, ზ. დოლიძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**I–VI ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 37 |
| ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 33 |
| დინამო | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 29 |
| კოლხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 22 |
| მერანი | 5 | 1 | 2 | 2 | 1:4 | 21 |

*21 აპრილის „მერანი“ — „კოლხეთის“ მატჩის შედეგი გაუქმებულია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა მეორე ეტაპი

# 5 ტური

# უმაღლესში მოხვედრაზე დიდი კონკურსია

**ხუთი** ტური რჩება ჩემპიონატის დამთავრებამდე და სატურნირო ცხრილის და დარჩენილი მატჩების გათვალისწინებით, ექვსივე გუნდს აქვს უმაღლეს ლიგაში ანაცვლების შანსი.

„გურიამ" პრინციპული მატჩის მოგება შეძლო სტუმრად გორს შეხიზნებულ „ცხინვალთან" და თუ დღეს ზესტაფონშიც გაიმარჯვებს, ჩათვალეთ, რომ უმაღლესლიგელია.

ტრადიციას არ უღალატა წნორის „მილანმა" და მიუხედავად დისკვალიფიცირებული გამცემლიძის არყოფნისა, შინ იოლად სძლია „სამგურალს". წნორელებს ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვთ საშინაო მატჩებში და ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე მხოლოდ ხუთი ბურთი გაუშვეს საკუთარ კედლებში. დღეს „მილანი" „ცხინვალს" სტუმრობს და მასპინძლებისთვის ეს მატჩი, ფაქტობრივად, ბოლო შანსია. დამარცხების შემთხვევაში შიდაქართლელები მომავალ წელსაც ნაჩვევ პირველ ლიგაში გაატარებენ.

ზესტაფონში „მეტალურგმა" „შუქურას" მოუგო. ზღვისპირელებმა ცდა არ დააკლეს, მაგრამ მატჩის გადარჩენა ვერ შეძლეს. არადა, მასპინძლებმა დღევანდელი უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ ქობულეთელთა ძლევას დიდი ენერგია დაახარჯეს.

ქვედა ექვსეულში პირველ ლიგაში დარჩენა თითქმის გაინაღდეს „თორმა" და „ხობმა". „ივერიამ" შინ წაგებით, ფაქტობრივად, განაჩენი გამოუტანა თავს. უშუალო კონკურენტის მძლეველმა „ოკეანემ" კი გვარიანი თავსატეხი გაუჩინა ექსუმაღლესლიგელ „თბილისს". მცირე ინტრიგასაც ეს ორი გუნდი ქმნის, „თბილისი" ან „ოკეანე", ნაღდია, ამ ორიდან ერთ-ერთი პირველ ლიგას გამოემშვიდობება.

ბაადა ძგანტალიანი




☎ (231) 7 17 58

ქუთაისში იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"


## I–VI ადგილები

გორი
27 აპრილი
16 საათი
ძარღელი
150 (ტევადობა 2 000)

### ცხინვალი 1:2 გურია

0:1 პატარაია (43), 1:1 მარლიშვილი (78), 1:2 ენდელაძე (81)

ცხინვალი: ქქანაშვილი, არუთინიანი, ბ. ტყემალაძე, ელისაშვილი, ვაჩლავაშვილი, მოსიაშვილი, თალაკვაძე (კობაური 70), მარგიევი, მარლიშვილი, ნასუაშვილი (ზ. მაისურაძე 46), ბოჭორაძე

სათადარიგონი: დ. მაისურაძე; წიქარიძე, ჩაჩიბაია

გურია: გ. დოლიძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ძნელაძე, ჟღარკავა, სულაკაძე, ქიქავა, ჩხეტია (მინაშვილი 88), ენდელაძე, ვოსკანოვი, პატარაია (ვასაძე 78)

სათადარიგონი: შეყრილაძე; გ. სამხარაძე, გრ. დოლიძე, კუკულაძე

გაფრთხილება: პატარაია (73)

მსაჯები: ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; ა. მეშკოვი (სამივე თბილისი)

ზესტაფონი
27 აპრილი
16 საათი
მეტალურგი
500 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 2:1 შუქურა

1:0 ამაშუკელი (22), 2:0 ლონლაძე (48), 2:1 ფუტკარაძე (67)

მეტალურგი: თ. ოდიკაძე, გურეშიძე, პ. ლურსმანაშვილი, ორმოცაძე, მაღლაკელიძე, კაციაშვილი, ლონლაძე, დ. ოდიკაძე, გ. გვაზავა (დ. ფირცხალაიშვილი 86), ფანცხავა (მემარნიშვილი 56), ამაშუკელი

სათადარიგონი: ნიქაბერიძე; გოგაძე, მახათაძე, აქარაძე

შუქურა: გაბუნია, ქუტიძე, ოქროპირიძე, ჩელებაძე, გეგეშიძე (ფალიჩავა 46), ბ. ფუტკარაძე, ბალუნაშვილი (ჩახუნაშვილი 56), ლომთათიძე, კვირკველია, კალანდაძე, კაკალაძე

სათადარიგონი: გ. გოგუა; კოროტკოვი, დიასამიძე, მესხიძე

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ა. შილაკაძე (თბილისი)

წნორი
27 აპრილი
16 საათი
ძველი ანაგა
1 500 (ტევადობა 3 000)

### მილანი 2:0 სამგურალი

1:0, 2:0 მედოევი (29, 76)

მილანი: გ. სომხიშვილი, ტარულაშვილი, ლუდუშაური, კობაიძე, გოძიაშვილი, ვარამაშვილი (მეტონიძე 46), გოლეთიანი (სოსელია 79), ძყონია, ბარამიძე, მედოევი, ტოკლიკიშვილი (ლეკიშვილი 88)

სათადარიგონი: ძამუნაშვილი; ჩიტაური, მ. სომხიშვილი

სამგურალი: ბოდოკია, ჭელიძე, ბერაძე, ფრანგიშვილი, დარსაძე, თურმანიძე, ჯინჭარაძე (ვადაჭკორია 82), კიკვიძე, შ. ფუტკარაძე (კოპალიანი 75), კვერნაძე, ქუთათელაძე

სათადარიგონი: გიორგაძე; ლონლაძე, ცუცქირიძე, ფხაკაძე

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ზ. ანიაშვილი (გორი)

## I–VI ადგილები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გურია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 31 |
| მილანი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:3 | 30 |
| სამგურალი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 28 |
| მეტალურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 28 |
| ცხინვალი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 24 |
| შუქურა | 5 | 0 | 3 | 2 | 2:6 | 23 |

## VII–XII ადგილები

ხაშური
28 აპრილი
16 საათი
გრიგოლ ჯოჯუართიძე

### ივერია 0:1 თორი

### ზუგდიდი 0:3 ხობი

„ზუგდიდი" მოხსნილია ჩემპიონატიდან, „ხობს" ჩაეთვალა მოგება

თბილისი
28 აპრილი
16 საათი
ისანი

### თბილისი 0:2 ოკეანე

## VII–XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 25 |
| ხობი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 23 |
| ოკეანე | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | 19 |
| თბილისი | 5 | 3 | 0 | 2 | 4:4 | 18 |
| ივერია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 12 |
| ზუგდიდი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:13 | 12 |

## მეექვსე ტური

1 მაისი, სამშაბათი

სამგურალი — შუქურა
მეტალურგი — გურია
ცხინვალი — მილანი

2 მაისი, ოთხშაბათი

ხობი — თორი
ივერია — ოკეანე
თბილისი — ზუგდიდი


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

## ინგლისი

### XXXVI ტური

**დერბი ქაუნთი 1:2 არსენალი**

0:1 კანუ (21), 1:1 ერანიო (45), 1:2 პირესი (80)
დერბი ქაუნთი: პოომი, დელაპი, რიგოტი, კარბონარი, ჰიგინბოთემი, ბოერტიენი, ერანიო, ბარლი (მიურეი 66), ს. ჯონსონი, ძინძლაძე (გუდიონსონი 86), კრისტი (დ. ბარტონი 78)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ეშლი კოული, ვიეირა, ლორენი (ანრი 67), ლიუნგბერგი (პირესი 78), გრიმანდი, კანუ (პარლოუ 89), ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ბოერტიენი, ჯონსონი, ჰიგინბოთემი, კანუ, ლიუნგბერგი, ადამსი
29 567 მაყურებელი

**ლიდსი 2:0 ჩელსი**

1:0 კინი (86), 2:0 ვიდუკა (88)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი (ბაკე 75), დაკური, ბეტი, კიუელი (რობი კინი 81), ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, დესაი, ტერი, ბაბაიარო, უაიზი, დალა ბონა, ჯ. მორისი (პოიეტი 64), ლე სო (გუდიონსენი 88), ჰასელბაინკი, ძოლა (გრონკიაერი 77)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: დაკური, ბაკე, მორისი, ბაბაიარო, დალა ბონა, ჰასელბაინკი, დესაი
39 253 მაყურებელი

**ქოვენთრი 0:2 ლივერპული**

0:1 ჰიიპია (83), 0:2 მაკალისტერი (86)
ქოვენთრი: კირკლენდი, ბ. ქუინი, ჰალი, პ. უილიამსი, ბრინი, ჰაჯი, ტელფერი, ისტიჩი, ჩიპო, ბელამი (ზუნიგა 64), ჰართსონი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰიიპია, ენჩოსი, კარაგერი, მერფი, მაკალისტერი, ჰამანი, ბერგერი (ციგე 74), ჰესკი (ბისკანი 86), ფაულერი (ოუენი 62)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბრინი, ქუინი, უილიამსი, ჰესკი
23 063 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 ბრედფორდი**

0:1 მიერსი (3), 1:1 ფერგიუსონი (47), 2:1 ალექსანდერსონი (64)
ევერტონი: ჟერარი, გაფი (ჰაიბერტი 46), ვეირი, ბოლი, ანსუორთი (გრავესენი 46), უოტსონი, პემბრიჯი, ჯემილი, ალექსანდერსონი, დ. ფერგიუსონი, კ. კემბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ბრედფორდი: გ. უოლში, მიერსი, ჰალე, მოლენაარი, ჯეკობსი, რ. ბლეიქი, მაკოლი, ჯესი, ლოურენსი, კარბონე, უორდი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: ანსუორთი, მოლენაარი, უორდი
34 256 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ი. პირსი (23ს.კ.)
მანჩესტერ სიტი: ნეში, გრენვილი, დანი, ჰაუი, ჰაალანდი (შარვე 68), ჯეფ უიტლი, ვიკენსი, ტიატო, კენედი, დიკოვი (ვანჩოპე 71), გოტერი (ჰაკერბი 74)
მწვრთნელი: ჯო როილი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ი. პირსი (ფოქსი 85), სონგი, ს. პირსი, დეილი, შტიმაცი, კარიკი, ჯ. კოული, უინტერბერნი (ტოდოროვი 41), დი კანიო, დიავარა (შუკერი 77)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ჰაალანდი, ჰაუი, ტიატო, კოული, დეილი, ს. პირსი, კარიკი, შუკერი
33 737 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:2 მანჩესტერ იუნ.**

0:1 ნევილი (4), 0:2 ბექემი (84)
მიდლსბრო: შვარცერი, გევინი, კუპერი (გორდონი 85), ეჰიოგუ, ვიკერსი, ოკონი, სტამპი (მარინელი 67), ინსი, უინდასი, ბოკშიჩი, რიკარდი (მასტო 85)
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
მანჩესტერ იუნ: ვან დერ გოუ, ფ. ნევილი, სტამი, იონსენი, უესლი ბრაუნი, ბექემი, ბათი, მაიკლ სტიუარტი (ჩედვიკი 85), ფორჩუნი (გიგზი 72), შერინგემი, სოლსკიაერი (ენდი კოული 74)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: გევინი, ოკონი, ბექემი, სტიუარტი, ნევილი
34 417 მაყურებელი

# მაგარი გარი



ქოვენთრი — ლივერპული. სემი ჰიიპიას და გარი მაკალისტერის გოლებმა „ქოვენთრი" პირველი დივიზიონის გზას გაუყენა

**ნიუკასლი 1:0 ლესტერი**

1:0 კორტი (90)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ობრაიენი, დაბიზასი, ე. ქუინი, აკუნია, ბასედასი (ლუა ლუა 76), სპიდი, გლასი, კორტი, გალაჰერი (ამეობი 67)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლესტერი: ფლაუერსი, იმპი, დავიდსონი, როუეტი, მარშალი, დილანი, ლუისი, მ. ჯოუნსი (ს. ოუქსი 50), გაპი, აკინბაი (ბენჯამინი 84), სტარიჯი (გუნლაუგსონი 61)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: კორტი, სტარიჯი
50 501 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:1 სანდერლენდი**

0:1 კილბეინი (54)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი (როსლერი 83), ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბრიჯი, ელ საჰლეჯი, ოკლი, კაჩლული, ტესემი, ბიტი (ს. დევისი 83), პახარსი (ლე ტისიე 65)
მწვრთნელი: სტიუარტ გრეი
სანდერლენდი: სორენსენი, კარტერონი, კრადოკი, ტომპ, გრეი, შვარცი, ჰაჩისონი, მაკენი, არკა (ბატლერი 86), კილბეინი, ნ. ქუინი (კილეი 74)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: დევისი, კაჩლული, ჰაჩისონი
15 247 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:0 ასტონ ვილა**

ტოტენჰემი: სალივანი, იანგი, გარდნერი, დოჰერტი, კარი, კლემენსი, შერვუდი, ლეონჰარდსენი, კ. დევისი (ტელველი 75), კორსტენი, ლ. ფერდინანდი (ეზერინგტონი 75)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, სტონტონი (გინოლა 80), ბერი, საუთგეიტი, დილანი, ბოატენგი, ტეილორი, მერსონი, დაბლინი, ვასელი (ჯოუჩიმი 80)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: იანგი
36 096 მაყურებელი

**ჩარლტონი — იფსვიჩი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**ისევ გარი,** იისევ გაარი... ანუ, როგორც ქართულ სიმღერაშია.

კვლავ „ლივერპულზე" ვლაპარაკობთ, მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ ბოლო ათ დღეში ვამბობთ „ლივერპულს" და ვგულისხმობთ გარი მაკალისტერს. ზედიზედ მეოთხე თამაშია, ბებერი გარი ბურთს მიწაზე დადებს, კარს გახედავს და დაარტყამს. ორჯერ ეს საქმე პენალტის ნიშნულიდან იყო, ორჯერ კი კარგა შორეული ჯარიმები დადეს.

შაბათს „ლივერპული" ქოვენთრიში სტუმრობდა. „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ებრძვის „ლიდსსა" და „იფსვიჩს", „ქოვენთრი" კი 34 წელიწადია არ გავარდნილა პრემიერლიგიდან და სწორედ ახლა ვარდება.

„ბოლო ათი ტურია, ისე ვთამაშობთ, რომ ყველას დამარცხება შეგვიძლია" — ეს „ქოვენთრის" მენეჯერის, გორდონ სტრაჩანის სიტყვებია და „ქოვენთრი" — „ლივერპულის" თამაშმაც სრულად გაამართლა მისი სიტყვები. გაამართლა 83-ე წუთამდე, როცა კუთხურიდან მაკალისტერის ჩაკიდულს სტუმართა კაპიტანმა სემი ჰიიპიამ ლონიერი თავური შეაგება.

მანამდე კი სტუმარსაც და მასპინძელსაც შეეძლო გატანა, აქედან სწრაფ და მოუსვენარ მაიკლ ოუენს, იქედან კი, რა თქმა უნდა, გიჟმაჟ ჯონ ჰართსონს, რომელსაც ერთი-ორჯერ თანაგუნდელებმაც კი შეუშალეს ხელი. ჰიიპიას გოლმა „ქოვენთრი" გატეხა. თამაშის მთლად მიწურულს კი იმავ მაკალისტერმა ოცდახუთი მეტრიდან რბილად დახვეული საჯარიმო ბურთი ჩააჯინა კარში და ალბათ, ალბათ „ქოვენთრი" პირველ დივიზიონში დაიწყებს ახალ სეზონს, ისევე როგორც „სიტი", რომელმაც „ვესტ ჰემს" კი მოუგო, მაგრამ ძნელად რომ გადაურჩეს ნაცნობ ხეივნებში სეირნობას. ეს იმის მიუხედავად, რომ „დერბიმაც" და „მიდლსბრომაც" შინ წააგეს ლიდერებთან, „არსენალთან" და „მანჩესტერთან".

„ლივერპულს" კი ჩასამუხლი დროც არა აქვს. გარი მაკალისტერის მეცადინეობით მოგებული თამაშის მთავარი გმირი, თავად გარი მაკალისტერი კი ოდნავ დასევდიანებულა, როცა შეუტყვია, რომ მისმა კუთხურმა და გოლმა თითქმის ხელი მოუთავა „ქოვენთრის" პრემიერლიგაში დარჩენის შანსებს. მაკალისტერი ხომ „ქოვენთრის" ყოფილი მოთამაშე და ლიდერი იყო, გათამაშების ცხრილი კი სათანადოდ შესწავლილი არ ჰქონია. აკი მოგახსენეთ, მერსისაიდელ ფეხბურთელებს ამოსუნთქვის დროც არა აქვთ, რომ „მირორი" გადაშალონ და ცხრილს ჩახედონ.

ცხრილის შესწავლით, ალბათ, არც „ლიდსის" ფეხბურთელები იკლავენ თავს, დევიდ ოლირისა და ბრაიან კიდის გუნდმა იცის, რომ ყველაფერი აუცილებლად უნდა მოიგოს. ისევე, როგორც „ლივერპულმა" „ლიდსმაც" შეხვედრის ბოლო წუთებზე მოახერხა გატანა. „ელანდ როუდზე" სტუმრად ჩასული „ჩელსი" მშვენივრად ირჯებოდა მასპინძელთა წინააღმდეგ — „ლიდსი" როგორღაც მოქანცული ჩანდა. ეს შეხვედრა ლონდონელთათვისაც გამორჩეული იყო და აკი ჯანფრანკო ძოლამაც წაუცაცუნა მასპინძელთა ძელს და ჯიმის თავურიც ოდნავ ასცდა კარს, ხოლო იან ჰარტმა კინაღამ საკუთარ კარში შეაგდო. ეს იყო და მოედნის სიღრმიდან ლენი მილსმა საჯარიმოსკენ გასჭრა ბურთი. მარკ ვიდუკამ წაქცეულმა შეუცვალა ბურთს მიმართულება და საჯარიმოში შეჭრილი რობი კინი [illegible] რისპირ დატოვა. კუდიჩინმა კინი არ გაატარა, მაგრამ მისი ხელიდან ავარდნილ ბურთს კვლავ კინმა მიუსწრო და ცარიელ კარში შეაცურა — 1:0. ორიოდ წუთში კი მსგავსი რამ მოხდა: ჰარტმა ასევე მოედნის სიღრმიდან გაგზავნა ბურთი საჯარიმოს ხაზისკენ და მას ორივე ჩელსელი მცველი აცდა — ტერიცა და დესაიც. ვიდუკამ ბურთს ძირს დაშვება აცადა და მერე შორეულ ცხრიანში ჩააჭედა. „ლიდსის" ორი განაპირა მცველის მიერ წამოწყებულ საგოლე შეტევებს კიდევ ერთი გამარჯვება მოჰყვა. „ლიდსმაც" იმარჯვა და „ლივერპულმაც". ვინ ითამაშებს საგაისო ჩემპიონთა ლიგაში, კვლავაც უცნობია.

**ირაკლი გამყრელიძე**



ლიდსი — ჩელსი. მარკ ვიდუკას დარტყმა უძლიერესი და აუღებელი იყო

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 35 | 24 | 8 | 3 | 77:25 | 52 | 80 | 18 | 15 | 2 | 1 | 49:11 | 38 | 47 | 17 | 9 | 6 | 2 | 28:14 | 14 | 33 |
| 2 არსენალი | 35 | 19 | 9 | 7 | 59:34 | 25 | 66 | 18 | 14 | 3 | 1 | 43:12 | 31 | 45 | 17 | 5 | 6 | 6 | 16:22 | -6 | 21 |
| 3 ლიდსი | 35 | 18 | 8 | 9 | 54:39 | 15 | 62 | 17 | 9 | 3 | 5 | 27:19 | 8 | 30 | 18 | 9 | 5 | 4 | 27:20 | 7 | 32 |
| 4 იფსვიჩი | 35 | 19 | 5 | 11 | 53:38 | 15 | 62 | 18 | 10 | 5 | 3 | 29:14 | 15 | 35 | 17 | 9 | 0 | 8 | 24:24 | 0 | 27 |
| 5 ლივერპული | 34 | 17 | 8 | 9 | 60:37 | 23 | 59 | 17 | 12 | 3 | 2 | 35:12 | 23 | 39 | 17 | 5 | 5 | 7 | 25:25 | 0 | 20 |
| 6 ჩელსი | 35 | 15 | 9 | 11 | 62:41 | 21 | 54 | 18 | 12 | 3 | 3 | 42:19 | 23 | 39 | 17 | 3 | 6 | 8 | 20:22 | -2 | 15 |
| 7 სანდერლენდი | 36 | 14 | 11 | 11 | 41:37 | 4 | 53 | 18 | 8 | 7 | 3 | 21:14 | 7 | 31 | 18 | 6 | 4 | 8 | 20:23 | -3 | 22 |
| 8 ასტონ ვილა | 36 | 12 | 15 | 9 | 43:38 | 5 | 51 | 18 | 7 | 8 | 3 | 24:18 | 6 | 29 | 18 | 5 | 7 | 6 | 19:20 | -1 | 22 |
| 9 ჩარლტონი | 35 | 13 | 10 | 12 | 46:49 | -3 | 49 | 17 | 10 | 5 | 2 | 29:14 | 15 | 33 | 18 | 3 | 5 | 10 | 17:35 | -18 | 14 |
| 10 ნიუკასლი | 34 | 13 | 7 | 14 | 40:46 | -6 | 46 | 16 | 9 | 2 | 5 | 22:16 | 6 | 29 | 18 | 4 | 5 | 9 | 18:30 | -12 | 17 |
| 11 ტოტენჰემი | 36 | 12 | 10 | 14 | 42:49 | -7 | 46 | 18 | 10 | 6 | 2 | 28:15 | 13 | 36 | 18 | 2 | 4 | 12 | 14:34 | -20 | 10 |
| 12 საუთჰემპტონი | 34 | 12 | 9 | 13 | 34:41 | -7 | 45 | 17 | 9 | 2 | 6 | 22:19 | 3 | 29 | 17 | 3 | 7 | 7 | 12:22 | -10 | 16 |
| 13 ლესტერი | 36 | 13 | 6 | 17 | 34:46 | -12 | 45 | 18 | 9 | 4 | 5 | 24:21 | 3 | 31 | 18 | 4 | 2 | 12 | 10:25 | -15 | 14 |
| 14 ევერტონი | 36 | 11 | 8 | 17 | 42:55 | -13 | 41 | 18 | 6 | 7 | 5 | 27:25 | 2 | 25 | 18 | 5 | 1 | 12 | 15:30 | -15 | 16 |
| 15 ვესტ ჰემი | 36 | 9 | 12 | 15 | 41:48 | -7 | 39 | 18 | 5 | 6 | 7 | 21:20 | 1 | 21 | 18 | 4 | 6 | 8 | 20:28 | -8 | 18 |
| 16 მიდლსბრო | 36 | 8 | 14 | 14 | 41:42 | -1 | 38 | 18 | 3 | 7 | 8 | 16:22 | -6 | 16 | 18 | 5 | 7 | 6 | 25:20 | 5 | 22 |
| 17 დერბი ქაუნთი | 36 | 9 | 11 | 16 | 35:58 | -23 | 38 | 18 | 8 | 6 | 4 | 22:23 | -1 | 30 | 18 | 1 | 5 | 12 | 13:35 | -22 | 8 |
| 18 სიტი | 36 | 8 | 10 | 18 | 39:61 | -22 | 34 | 18 | 4 | 3 | 11 | 19:29 | -10 | 15 | 18 | 4 | 7 | 7 | 20:32 | -12 | 19 |
| 19 ქოვენთრი | 36 | 8 | 9 | 19 | 34:60 | -26 | 33 | 18 | 4 | 6 | 8 | 14:23 | -9 | 18 | 18 | 4 | 3 | 11 | 20:37 | -17 | 15 |
| 20 ბრედფორდი | 34 | 5 | 9 | 20 | 28:61 | -33 | 24 | 17 | 4 | 6 | 7 | 19:26 | -7 | 18 | 17 | 1 | 3 | 13 | 9:35 | -26 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მარკუს სტიუარტი (იფსვიჩი) | 19 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 18 |
| ანრი (არსენალი) | 17 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 16 |
| შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 15 |
| ჰესკი (ლივერპული) | 14 |

**გადადებული მატჩები**

1 მაისი
ბრედფორდი — ლივერპული
ნიუკასლი — საუთჰემპტონი

**XXXVII ტური**

5 მაისი
არსენალი — ლიდსი
ასტონ ვილა — ქოვენთრი
ბრედფორდი — მიდლსბრო
ჩელსი — ევერტონი
იფსვიჩი — სიტი
ლესტერი — ტოტენჰემი
ლივერპული — ნიუკასლი
მანჩესტერი — დერბი ქაუნთი
სანდერლენდი — ჩარლტონი
ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი

## პირველი დივიზიონი

### XLV ტური

**კრ. პალასი 0:2 ვულვერჰემპტონი**

0:1 სინტონი (16), 0:2 პრუდლოკი (49)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, ლესკოტი, დინინგი, ბრეჩი, რობინსონი, ენდრიუსი, სინტონი, ძიძაძე (ემბლენი 46), პრუდლოკი
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
18 993 მაყურებელი

**ბლეკბერნი 3:1 პორტსმუთი**

0:1 პანოპულოსი (11), 1:1 ჰილი (61ს.კ.), 2:1 დანი (79), 3:1 ბენტი (86)

**ბარნლი 0:1 ბოლტონი**

0:1 რიკეტსი (56)

**ბირმინგემი 1:0 გრიმსბი**

1:0 მარსელო (64)

**კრიუ 1:3 პრესტონი**

0:1 შილი (5), 0:2 მაკენი (13), 1:2 ჰალსი (19), 1:3 მაკენი (45)

**ფულემი 1:1 უიმბლდონი**

0:1 იუელი (74პ), 1:1 ბოა მორტე (87პ)

**ნორვიჩი 1:0 შეფილდ უენსდი**

1:0 მაკეი (18)

**ნოტინგემი 0:1 ჯილინგემი**

0:1 კინგი (78)

**ქუინზ პარკი 0:3 სტოკპორტი**

0:1 უილბრემი (47), 0:2 ფრედინი (55), 0:3 კუკი (83პ)

**შეფილდ იუნაიტედი 2:0 ბარნსლი**

1:0 ნდლოვუ (21), 2:0 ასაბა (90)

**უოტფორდი 1:1 ტრანმერი**

0:1 ნდიაე (61), 1:1 ნილსენი (90)

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 ჰადერსფილდი**

0:1 ბუთი (7), 1:1 რობერტსი (17)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 45 | 30 | 11 | 4 | 90:31 | 101 |
| ბლექბერნი | 44 | 25 | 12 | 7 | 74:38 | 87 |
| ბოლტონი | 44 | 23 | 14 | 7 | 73:44 | 83 |
| პრესტონი | 44 | 22 | 9 | 13 | 62:50 | 75 |
| ბირმინგემი | 45 | 22 | 9 | 14 | 57:47 | 75 |
| ვესტ ბრომვიჩი | 45 | 21 | 11 | 13 | 59:50 | 74 |
| ბარნლი | 45 | 20 | 9 | 16 | 48:54 | 69 |
| უიმბლდონი | 44 | 17 | 16 | 11 | 70:49 | 67 |
| ნოტინგემი | 44 | 20 | 7 | 17 | 53:50 | 67 |
| შეფილდ იუნ. | 45 | 19 | 10 | 16 | 51:48 | 67 |
| უოტფორდი | 44 | 19 | 9 | 16 | 73:65 | 66 |
| ვულვზი | 44 | 14 | 12 | 18 | 44:45 | 54 |
| ჯილინგემი | 44 | 13 | 15 | 16 | 60:62 | 54 |
| ბარნსლი | 45 | 15 | 9 | 21 | 49:59 | 54 |
| კრიუ | 45 | 15 | 9 | 21 | 47:62 | 54 |
| ნორვიჩი | 45 | 14 | 11 | 20 | 46:58 | 53 |
| სტოკპორტი | 45 | 11 | 18 | 16 | 58:64 | 51 |
| უენსდი | 44 | 14 | 7 | 23 | 51:71 | 49 |
| გრიმსბი | 45 | 13 | 10 | 22 | 42:62 | 49 |
| ჰადერსფილდი | 44 | 11 | 14 | 19 | 46:54 | 47 |
| პორტსმუთი | 44 | 9 | 19 | 16 | 42:55 | 46 |
| კრისტალ პალასი | 44 | 10 | 13 | 21 | 52:68 | 43 |
| ქუინზ პარკი | 45 | 7 | 18 | 20 | 44:74 | 39 |
| ტრანმერი | 45 | 9 | 10 | 26 | 44:75 | 37 |

## მეორე დივიზიონი

45-ე ტური: ბორნმუთი — ნორთჰემპტონი 2:0; ბრისტოლი — ლუთონი 3:1; ბერი — უიკომბი 1:1; კემბრიჯი — უიგანი 1:2; კოლჩესტერი — რედინგი 2:1; ოლდემი — სტოკი 1:2; ოქსფორდი — სუონსი 3:1; პორტვეილი — ნოთსი 2:3; როტერჰემი — ბრენტფორდი 2:1; სუინდონი — პიტერბრო 2:1; უოლსოლი — როვერსი 2:1; რექსჰემი — მილუოლი 1:1

## მესამე დივიზიონი

45-ე ტური: ბლექპული — ბარნეტი 3:2; ბრაიტონი — მაკლსფილდი 4:1; კარდიფი — შრიუსბერი 3:1; ჰალიფაქსი — დარლინგტონი 1:0; ჰალი — ჩესტერფილდი 3:1; კიდერმინსტერი — ჰარტლპული 0:1; ლეიტონი — ჩელტენემი 0:0; ლინკოლნი — პლიმუთი 2:1; როჩდეილი — მენსფილდი 1:0; სკანთორპი — ექსეტერი 0:2; საუთენდი — კარლაილი 1:1; ტორკი — იორკი 2:2

## გერმანია

### XXXI ტური

**ბაიერნი 1:0 ფრაიბურგი**

1:0 შოლი (64)
ბაიერნი: კანი, კუფური (პაულო სერჯიო 63), ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, ეფენბერგი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, შოლი (ტარნატი 74), სანტა კრუზი (ელბერი 77), იანკერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, დიარა, კელი, ქობიაშვილი, ვილი (რამდანე 77), ვ. ბუტი (ტანკო 63), ა. ცაიერი, ბაია (კულიბალი 73), იაშვილი, სელიმი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ეფენბერგი
63 000 მაყურებელი

**კიოლნი 4:0 კოტბუსი**

1:0, 2:0 ლოტნერი (21პ, 33), 3:0 შპრინგერი (46), 4:0 არველაძე (81)
კიოლნი: პრიოლი, სიხონე, ბულაიჩი, ვოიგტი, ჩიკონი, ქევიორი, ლოტნერი (ა. არველაძე 78), შპრინგერი, ტიმი, კროიცი (ოუედრაოგო 65), კურტი (პივალიევიჩი 50)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
კოტბუსი: პიპლიცა, ვატა, სკერბე, პუჯოროვიჩი, მატიუში (შებოკი 24), რეგეკამპფი, აკრაპოვიჩი, მირიუტა, ლატუნდე, კობილანსკი (ლაბაკი 49), შელბიგი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: პივალიევიჩი, რეგეკამპფი, კობილანსკი, მირიუტა
30 000 მაყურებელი

**ლაუტერნი 0:1 ლევერკუზენი**

0:1 ნოივილი (9)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი (ბუკი 63), ჰ. კოხი, შიონბერგი, გრამოცისი, შტრასერი, ბასლერი, ხრისტოვი, ლოკვენცი, ჯორკაეფი, კლოზე (მარშალი 85)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
ლევერკუზენი: მატიშეკი, ლუსიო, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, პლასენტე, რეები, რამელო, ბ. შნაიდერი (ვრანიეში 77), ზე რობერტო, კირსტენი (ბრდარიჩი 71), ნოივილი (რინკე 90)
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
გაფრთხილება: ხრისტოვი, შიონბერგი, გრამოცისი, ჰ. კოხი, ჯორკაეფი, ლუსიო, რამელო, პლასენტე
41 500 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 3:2 მიუნხენი**

1:0 შტრემელი (5), 2:0 რაკლი (34), 2:1 ჰესლერი (40), 2:2 ტისი (63), 3:2 შპიზაკი (89)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ზაიფერტი, ჰ. ჰერცოგი, ციმერმანი, ჰაბერი, შპიზაკი, ობერლაიტნერი (შვარცი 46), ჩიჟეკი (აჰინფულფი 77), ბრაიტენრაიტერი (გრასოვი 67), რაკლი
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კიოსტნერი
მიუნხენი: იენჩი, ტ. ჰოფმანი, რისეტი, კურცი, მიუკლანდი (ტაპალოვიჩი 71), ტისი, ბორიმიროვი (აგოსტინო 65), ბიროფკა, ჰესლერი (ელერსი 83), ბაიერლე, შროტი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: აჰინფულფი, ბორიმიროვი, მიუკლანდი, რისეტი
15 300 მაყურებელი

**ბოხუმი 1:1 შალკე**

1:0 ფრაიერი (22), 1:1 მპენზა (70)
ბოხუმი: ვან დუინოვენი, ტოპლაკი, რაისი, შრიოდერი, მაიხელბეკი (სკრაიბერი 59), ფარენჰორსტი, შინდცილორცი, კოლდინგი, მანდრეკო (ლუსტი 46), ბასტურკი, ფრაიერი (ბემბენი 84)
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ნემეცი, ვან ჰუგდალემი (კამფუისი 65), ბიოსკენსი, ბიომე, მიოლერი (მულდერი 83), ასამოა, მპენზა, სანდი
მწვრთნელი: ჰუბ სტივენსი
გაფრთხილება: შინდცილორცი, რაისი, ჰაიტო
32 645 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:1 ჰანზა**

0:1 სალუ (3), 1:1 ჰაინცი (46), 2:1 ბესტერი (90)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, იუფდალუში, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰოლერბახი (ბესტერი 79), ტოფტინგი (ფუკალი 82), ნ. კოვაჩი, ჰაინცი, მაჰდავიკია, ბარბარესი, პრეგერი (ილმაზი 79)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ჰანზა: პიკენჰაგენი, იაკობსონი, ლანგე, შრიოდერი, ემარა, ბენკენი (ცალმანი 46), ვიბრანი (ოსვალდი 82), ლანცი, სალუ (არვიდსონი 90), მაიაკი, აგალი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, პრეგერი, ბარბარესი, ფუკალი, ბენკენი, ცალმანი, შრიოდერი
გაძევება: აგალი (75)
51 551 მაყურებელი

# და აი, სტადიონზე გამოჩნდა, არც მეტი, არც ნაკლები, თხა

## წვერცანცარა ჰანს მეშვიდეს მთელი კიოლნი ელოდა



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ფრაიბურგი. ჩვენების „ფრაიბურგმა" მეჰმეთ შოლის ეს ჯარიმა გაუშვა

**ვოლფსბურგი 1:1 დორტმუნდი**

1:0 იუსკოვიაკი (10), 1:1 ჰაინრიხი (22)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი (ს. მიულერი 74), შნური, იფეიაგვა, ვაისერი, კრიგერი, ჰენგენი, მუნტიანუ (რიზე 77), სებესკენი, აკპობორი (ტ. მარიჩი 58), იუსკოვიაკი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, კოლერი, ჰაინრიხი, დედე, სტევიჩი, რიკენი (ნერლინგერი 70), როსიცკი, ადი, რეინა, ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: სებესკენი, შნური, ვაისერი, იფეიაგვა, სტევიჩი
20 400 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:1 ვერდერი**

1:0 ადემარი (5), 1:1 პიზარო (48), 2:1 ადემარი (49)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მარკეში, სოლდო, ბორდონი, ტიამი (კაუფი 65), ტოდტი, ჰინკელი, ვენცელი (თ. შნაიდერი 87), ბალაკოვი, დანდი, ადემარი (მაისნერი 78)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ვერდერი: როსტი, ბარტენი, ვერლაატი (ვიდენერი 41), ფ. ბაუმანი, აილტსი, ფ. ერნსტი (აილტონი 46), ფრინგსი, სტალტერი, ბანოვიჩი, ა. ჰერცოგი (მაქსიმოვი 72), პიზარო
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ადემარი, მარკეში
34 000 მაყურებელი

**ჰერტა 3:0 აინტრახტი**

1:0, 2:0 ალვეში (2, 28), 3:0 პრეეცი (32)
ჰერტა: კირალი, სიმუნიჩი (მაასი 70), ვან ბურიკი, სვერისონი (დარდაი 75), შმიდტი, რემერი, ტრეჩოკი, ჰარტმანი, დაისლერი (ვოში 80), პრეეცი, ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
აინტრახტი: ჰაინენი, შური, კრახტი, ბინდევალდი, მუტცელი, ჯოუნსი (მელდტი 46), პრეისი, ბრანკო, გუიე-მიენი (სობოტჩიკი 57), ჩენიანგი, კრიჟალოვიჩი (რაიხენბერგერი 63)
მწვრთნელი: ფრიდელ რაუში
გაფრთხილება: სვერისონი, შური
35 969 მაყურებელი

**ბოლო დროს** გერმანიის ჩემპიონატი საქართველოსას დაემსგავსა, ოღონდ, მხოლოდ მსაჯობით. აგერ უკვე რამდენიმე ტურია არბიტრებს ბუნდესკლუბების მწვრთნელთა კრიტიკის ქარცეცხლი ატყდებათ თავს და არცთუ უსაფუძვლოდ. მსაჯები ბოლო ხანებში საკმაოდ ხშირად და უხეშად ცდებიან. ბოლო შემთხვევამ კი, შესაძლოა, სულაც ქვეყნის ჩემპიონის ბედი გადაწყვიტოს.

„ბოხუმი" — „შალკეს" მატჩის 88-ე წუთი იწურებოდა, ასამოამ რომ სკრაიბერი მოატყუა, მაგრამ ბოხუმელმა სტუმართა თავდამსხმელი საჯარიმოში წააქცია, ნაღდი პენალტი იყო — აღიარა თამაშის მერე ყველამ, თუმცა ბერგმა სხვაგვარად განსაჯა. „შალკემაც" ძვირფასი ქულები დაკარგა.

„მსაჯს შეეშინდა, რადგან პენალტს გადამწყვეტი გოლი მოჰყვებოდა, რა უნდათ ასეთ არბიტრებს მინდორზე?" — აღშფოთებული გახლდათ ასამოა.

„ბოხუმის" სტადიონზე სულ 32 ათასი მაყურებელი ეტევა. შაბათს იქ ნემსის ჩასავარდნ ადგილს ვერ იპოვიდით. „შალკე" თავს შინ გრძნობდა, გუნდს გელზენკირხენიდან 25 ათასი ქომაგი ჩაჰყვა. ლიდერმაც მხნედ დაიწყო, მიოლერმა დებიუტშივე ორი საგოლე მომენტი გააფუჭა. მერე კი გოლიც გავიდა, ოღონდ იგი მასპინძლებმა გაიტანეს. ნემეცის უხეში შეცდომა რომ არა, ფრაიერი ვერ გაიხარებდა. სამ წუთში მპენზა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბელგიელს ვან დუინნოვენმა აჯობა. მპენზამ მოგვიანებით მაინც გაიტანა — მე-40-ე წუთზე თავით შეაგდო და სტუმრებს სამი ქულის იმედი გაუჩინა, მაგრამ...

„ყველაფერს გავაკეთებთ, რათა არ გავვარდეთ, თუ ვერ შევძელით მიზნის მიღწევა, მაშინ ბუნდესლიგას ისე დავემშვიდობებით, როგორც საჭიროა" — აღნიშნა ბოხუმელთა თავკაცმა როლფ შაფშტალმა. მისმა შალკელმა კოლეგა ჰუბ სტევენსმა კი, მთავარია, ისევ პირველები ვართო, ეს თქვა. „შალკე" მართლაც პირველია, მაგრამ მიუნხენის „ბაიერნს" მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობითღა უსწრებს.

ბავარიელებმა ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის „რეალთან" დღევანდელი მატჩის წინ „ფრაიბურგს" უმასპინძლეს და შოლის ჯარიმიდან გატანილი გოლით 1:0 დაამარცხეს.

„დღეს მოვიგეთ, მაგრამ ასეთი თამაშით „რეალთან" ვერაფერს გავხდებით" — აღნიშნა ჰიცფელდმა ნამატჩევს და დასძინა, მოგება კი დავიმსახურეთ, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარო.

ამ შეხვედრაში მუხლის ოპერაციიდან რვა დღეში მინდორს დაუბრუნდა ჯოვანი ელბერი, რომელზეც დღეს მიუნხენელები დიდ იმედებს ამყარებენ. ბრაზილიელმა ფორვარდმა „ფრაიბურგთან" ბოლო 13 წუთი ითამაშა და სამი რეალური მომენტი გააფუჭა.

საინტერესოა, ნეტავ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ბუნდესლიგის მიმოხილვას თუ უყურებენ. თუ არა, ძალიან ცუდი. თუ კი, მაშინ გაუგებარია, რატომ არ ათამაშებდნენ ეროვნულ გუნდში მიწვეულ ალექსანდრე იაშვილს, რომელსაც ნაკრებზე ბოლოს სულ უარი ათქმევინეს. მართალია, იაშვილი ისეთი შედეგიანი ვერ არის, მაგრამ იგი „ფრაიბურგის" ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელია და ამას ყოველ მატჩში ამტკიცებს. „ბაიერნთან" ოდნავ რომ გამართლებოდა, ეგებ „შალკესგან" სამადლობელი წერილიც მიეღო.

ბერტი ფოგთსმა კი შაბათს, როგორც იქნა, ამოისუნთქა, მისმა „ლევერკუზენმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა „კაიზერსლაუტერნი". ამ თამაშამდე ლევერკუზენულ კლუბში გვარიანი არეულობა იყო, ფოგთსი ფაქტობრივად წასული იყო გუნდიდან. თუმცა ხელმძღვანელობამ ბოლოს მაინც დატოვა. გერმანიის ნაკრების ექსთავკაცსაც ბევრი რამ ჰქონდა დასამტკიცებელი. საბოლოოდ ყველაფერი ნოივილის ჯარიმიდან გატანილმა ულამაზესმა გოლმა გადაწყვიტა. მასპინძლებს გათანაბრების ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ, თუმცა ყველაფერი ქარს გაატანეს. „ლევერკუზენსაც" ჩემპიონობის შანსი გაეზარდა, თუმცა საეჭვოა, „შალკეს" და „ბაიერნს" აჯობოს. იგივე ითქმის „დორტმუნდზეც", რომელიც ლიდერებს ასევე სამი ქულით ჩამორჩება.

„ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი, ჩემპიონობისთვის მზად ნამდვილად არ ვართ, აი, ჩემპიონთა ლიგის საგზური კი სხვა საქმეა, ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავიღებთ" — ეს სიტყვები დორტმუნდელთა თავკაცმა მათიას ზამერმა პარასკევს, „ვოლფსბურგთან" საგარეო 1:1-ის მერე თქვა.

„დორტმუნდმა" ვოლფსბურგში ძალიან ცუდად ითამაშა და ქულა რომ აიღო, ღმერთს მადლობა უნდა უძღვნას. მასპინძლებმა დასაწყისშივე ორი რეალური მომენტი გააფუჭეს, მერე იუსკოვიაკმა მაინც გაიტანა. წონასწორობა ჰაინრიხმა მალე აღადგინა, როცა, რაიტმაიერის შეცდომით ისარგებლა. მეორე ნახევარში სტუმრები რამდენჯერმე გადარჩნენ.

ფრანკფურტის „აინტრახტის" ფეხბურთელებს კი მალე პირადი დაცვით მოუწევთ სიარული. გუნდი მეორე ბუნდესლიგას ნელ-ნელა უახლოვდება და ქომაგების მუქარაც მატულობს. შაბათს „აინტრახტი" ბერლინის „ჰერტას" ესტუმრა და... მე-2 წუთზე უკვე აგებდა — რემერის ჩაწოდებულ ბურთს ალვეშმა კარში მიუჩინა ადგილი, ტაიმის შუაგულში ალვეში დაისლერის კუთხურიდან მოწოდებულსაც საჭირო ადგილას დახვდა — 2:0. ასე აუსრულა ბრაზილიელმა ფორვარდმა საცოლეს დანაპირები: „ალექს, გაიტანე დღეს ჩემი გულისთვის" — უთხოვია ნადიას თამაშამდე ფეხბურთელისთვის და ალვეშმაც არ გააწბილა სტადიონზე მისული ქერა ლამაზმანი. მატჩს წერტილი კი 92-ე წუთზე დაესვა — პრეეცმა თავით შეაგდო.

„რა ვქნა, კურდღლები ლომებად როგორ გადავაქციო! — ჩიოდა ნამატჩევს „აინტრახტის" თავკაცი ფრიდელ რაუში, რომელიც ფრანკფურტელებს მშველელად ესახებოდათ, მაგრამ ამაოდ. რაუშის ხელმძღვანელობით „აინტრახტი" ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა.

„ჩვენი თამაშის დონე კატასტროფულია" — თქვა „ჰერტასთან" მარცხის მერე კაპიტანმა ტორსტენ კრახტმა. „გუნდის თამაშს რომ ვუყურებ, მეშინია" — აღნიშნა პრეზიდენტმა იედლიკამ. ჰოდა, ასეთ გუნდს, მე თუ მკითხავთ, პირველ ბუნდესლიგაში არაფერი ესაქმება.

„კიოლნის" საქომაგოდ კი კვლავ მივიდა „ჰანს მეშვიდე". კიოლნელებიც აბა, საპატიო სტუმარს ხომ არ გააწბილებდნენ და მის თვალწინ „კოტბუსს" გადაუარეს. სტუმართა რბევა არჩილ არველაძემ დაასრულა, რომელიც მინდორზე სულ სამი წუთის შესული იყო, გოლების ავტორთა სიაში რომ შევიდა.

„ჰანს მეშვიდე" კი რომელიმე ქვეყნის მეფე არ გეგონოთ, „კიოლნის" თილისმად არჩეულ თხას ჰქვია. იგი, როგორც წესი, კიოლნელთა ყველა საშინაო მატჩს ესწრება, თუმცა „მიუნდორფერშტადიონზე" ბოლო ორი თვე არ გამოჩენილა. მიზეზი, ბოლო დროს დასავლეთ ევროპაში გავრცელებული საქონლის დაავადება გახლდათ.

**ვანო ოქრობირიძე**
**ბერლინიდან**

## მეორე ბუნდესლიგა

### XXXI ტური

**ზაარბრიუკენი 2:2 როიტლინგენი**

1:0 ვებერი (17), 1:1 დიაბი (34), 1:2 კარტუსი (72პ.), 2:2 ბარტოლოვიჩი (90)
როიტლინგენი: კურკო, ველდმანი, მალხოვი, ლაპაჩინსკი, ტრაუბი, ლექსა, ჰოფაკერი (კასტი 89), ადუბე, იანიჩი (დრესლერი 80), სუმიალა (მ. საჯაია 57), დიაბი
მწვრთნელი: რალფ ვი
6 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:0 ალემანია**

**მიონხენგლადბახი 0:1 არმინია**

0:1 ფრიდრიხი (81)

**მაინცი 1:1 ზანქტ პაული**

0:1 მეგლე (23), 1:1 იბუა (77)

**ქემნიცი 0:2 კიკერსი**

0:1 კასიო (64), 0:2 ციმერმანი (69)

**ოსნაბრუკი 0:2 ვალდჰოფი**

0:1 სკელა (30), 0:2 პასიეკა (63)

**ულმი 2:0 ალენი**

1:0 როსლერი (63), 2:0 უნსოლდი (82)

**ობერჰაუზენი 1:2 ნიურნბერგი**

0:1 კრჟინოვეკი (6), 0:2 გომისი (30), 1:2 რ. მიულერი (62)

**ფიურტი — დუისბურგი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 31 | 18 | 5 | 8 | 55:33 | 59 |
| გლადბახი | 31 | 16 | 9 | 6 | 57:29 | 57 |
| ზანქტ პაული | 30 | 14 | 8 | 8 | 64:49 | 50 |
| ვალდჰოფი | 31 | 14 | 8 | 9 | 46:41 | 50 |
| ფიურტი | 30 | 14 | 7 | 9 | 50:33 | 49 |
| ალენი | 30 | 13 | 8 | 9 | 52:47 | 47 |
| ობერჰაუზენი | 31 | 13 | 5 | 13 | 42:43 | 44 |
| ზაარბრიუკენი | 30 | 12 | 8 | 10 | 43:53 | 44 |
| დუისბურგი | 29 | 12 | 7 | 10 | 43:34 | 43 |
| როიტლინგენი | 29 | 12 | 7 | 10 | 56:48 | 43 |
| ჰანოვერი | 31 | 11 | 8 | 12 | 48:42 | 41 |
| ალემანია | 30 | 11 | 7 | 12 | 37:57 | 40 |
| არმინია | 31 | 9 | 10 | 12 | 48:42 | 37 |
| მაინცი | 30 | 9 | 9 | 12 | 34:38 | 36 |
| კიკერსი | 30 | 8 | 10 | 12 | 28:39 | 34 |
| ოსნაბრუკი | 31 | 8 | 9 | 14 | 34:47 | 33 |
| ულმი | 31 | 8 | 7 | 16 | 36:48 | 31 |
| ქემნიცი | 30 | 2 | 6 | 22 | 22:72 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 20 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 19 |
| პიზარო (ვერდერი) | 18 |
| პრეეცი (ჰერტა) | 16 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |

**XXXII ტური**

4 მაისი
დორტმუნდი — შტუტგარტი
5 მაისი
აინტრახტი — ბოხუმი
ჰანზა — კოტბუსი
შალკე — ვოლფსბურგი
ლევერკუზენი — ბაიერნი
მიუნხენი — კიოლნი
ჰამბურგი — ლაუტერნი
6 მაისი
ფრაიბურგი — ჰერტა
ვერდერი — უნტერჰახინგი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შალკე | 31 | 16 | 8 | 7 | 58:30 | 28 | 56 | 15 | 10 | 4 | 1 | 29:9 | 20 | 34 | 16 | 6 | 4 | 6 | 29:21 | 8 | 22 |
| 2 ბაიერნი | 31 | 17 | 5 | 9 | 58:35 | 23 | 56 | 16 | 11 | 1 | 4 | 35:19 | 16 | 34 | 15 | 6 | 4 | 5 | 23:16 | 7 | 22 |
| 3 დორტმუნდი | 31 | 15 | 8 | 8 | 55:38 | 17 | 53 | 15 | 9 | 2 | 4 | 31:17 | 14 | 29 | 16 | 6 | 6 | 4 | 25:20 | 5 | 24 |
| 4 ლევერკუზენი | 31 | 16 | 5 | 10 | 52:38 | 14 | 53 | 15 | 9 | 2 | 4 | 29:15 | 14 | 29 | 16 | 7 | 3 | 6 | 23:23 | 0 | 24 |
| 5 ჰერტა | 31 | 17 | 1 | 13 | 56:50 | 6 | 52 | 16 | 11 | 1 | 4 | 37:21 | 16 | 34 | 15 | 6 | 0 | 9 | 19:29 | -10 | 18 |
| 6 ლაუტერნი | 31 | 15 | 4 | 12 | 47:50 | -3 | 49 | 16 | 8 | 3 | 5 | 24:18 | 6 | 27 | 15 | 7 | 1 | 7 | 23:32 | -9 | 22 |
| 7 ფრაიბურგი | 31 | 12 | 10 | 9 | 46:35 | 11 | 46 | 15 | 7 | 5 | 3 | 31:14 | 17 | 26 | 16 | 5 | 5 | 6 | 15:21 | -6 | 20 |
| 8 ვერდერი | 31 | 13 | 7 | 11 | 47:47 | 0 | 46 | 15 | 9 | 3 | 3 | 30:18 | 12 | 30 | 16 | 4 | 4 | 8 | 17:29 | -12 | 16 |
| 9 კიოლნი | 31 | 12 | 9 | 10 | 54:43 | 11 | 45 | 16 | 8 | 5 | 3 | 32:15 | 17 | 29 | 15 | 4 | 4 | 7 | 22:28 | -6 | 16 |
| 10 ვოლფსბურგი | 31 | 11 | 11 | 9 | 55:39 | 16 | 44 | 16 | 7 | 6 | 3 | 35:18 | 17 | 27 | 15 | 4 | 5 | 6 | 20:21 | -1 | 17 |
| 11 მიუნხენი | 31 | 11 | 7 | 13 | 40:53 | -13 | 40 | 15 | 7 | 3 | 5 | 20:23 | -3 | 24 | 16 | 4 | 4 | 8 | 20:30 | -10 | 16 |
| 12 ჰამბურგი | 31 | 10 | 9 | 12 | 54:52 | 2 | 39 | 15 | 8 | 4 | 3 | 31:19 | 12 | 28 | 16 | 2 | 5 | 9 | 23:33 | -10 | 11 |
| 13 ჰანზა | 31 | 11 | 6 | 14 | 33:44 | -11 | 39 | 15 | 7 | 4 | 4 | 21:20 | 1 | 25 | 16 | 4 | 2 | 10 | 12:24 | -12 | 14 |
| 14 შტუტგარტი | 31 | 8 | 10 | 13 | 40:47 | -7 | 34 | 16 | 8 | 5 | 3 | 30:20 | 10 | 29 | 15 | 0 | 5 | 10 | 10:27 | -17 | 5 |
| 15 უნტერჰახინგი | 31 | 8 | 10 | 13 | 31:50 | -19 | 34 | 16 | 7 | 6 | 3 | 20:16 | 4 | 27 | 15 | 1 | 4 | 10 | 11:35 | -24 | 7 |
| 16 კოტბუსი | 31 | 10 | 3 | 18 | 33:49 | -16 | 33 | 16 | 9 | 1 | 6 | 23:18 | 5 | 28 | 15 | 1 | 2 | 12 | 10:31 | -21 | 5 |
| 17 აინტრახტი | 31 | 8 | 5 | 18 | 36:64 | -28 | 29 | 15 | 6 | 3 | 6 | 21:21 | 0 | 21 | 16 | 2 | 2 | 12 | 15:43 | -28 | 8 |
| 18 ბოხუმი | 31 | 7 | 6 | 18 | 29:60 | -31 | 27 | 16 | 5 | 4 | 7 | 19:25 | -6 | 19 | 15 | 2 | 2 | 11 | 10:35 | -25 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამტანთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება



დეპორტივო — ესპანიოლი. ჭგუფური პორტრეტი ბურთით: მასპინძელი ვიქტორ სანჩესი და სტუმარი დავიდ გარსია

## ესპანეთი

### XXXII ტური

**ლას პალმასი 2:1 სოსიედადი**

1:0 ალვარო (40), 1:1 დე პედრო (63), 2:1 ტურდო (82)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, რამონ, პაკუ, ალვარო, შურერი, ხოსიკო (ბაიანო 47), იარნი (ტურდო 77), სემეისი, ანხელი (ხორხე 67), ელოი, გიარე
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი (ალბერტო ალეხანდრო 85), არანსაბალი, ლორენი, ჟულიო სეზარი, დე პედრო, ტაიფუნი, ხოხლოვი (ლუის ალბერტო 74), ხაბი ალონსო, იდიაკესი (დე პაულა 77), იანკაუსკასი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: პაკუ, დე პედრო, ხოსიკო, ჟულიო სეზარი, ლორენი, არანსაბალი, ხაბი ალონსო
გაძევება: იანკაუსკასი (74)
16 950 მაყურებელი

**ვალენსია 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 ხუან სანჩესი (64)
ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, ანგლომა, ფაბიო აურელიო, მენდიეტა (ზაჰოვიჩი 46), ანგულო, ვისენტე, ბარახა, კარეუ (დიეგო ალონსო 66), ხუან სანჩესი (ალბელდა 75)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, პაინცე, გარსია კალვო, ტორეს გომესი, ჩირიჩი (კავიედესი 75), ანტონიო ლოპესი, ტურიელი, კამინერო (მარკესი 78), ფერნანდო, პაჩონი
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ჯუკიჩი, ფერნანდო, ბარახა, ტურიელი, გარსია კალვო, ხუან სანჩესი, ზაჰოვიჩი, ფაბიო აურელიო
40 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 ესპანიოლი**

1:0 ფრანი (19)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, მაურო სილვა, ჯალმინია (პანდიანი 73), ფრანი, ვიქტორი, დონატო, ვალერონი (ემერსონი 60), მაკაი (პელდერი 77)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, როტჩენი, დავიდი, ლოპო, ველამასანი, სერხიო (არტეაგა 72), მორალესი, როხერი, სერანო (ნიშიზავა 58), მარტინ პოსე (ოსკარი 65)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: დონატო, კრისტობალი, ჯალმინია, როხერი, ოსკარი
გაძევება: კრისტობალი (70), დონატო (77)
25 000 მაყურებელი

**რეალი 1:1 ოსასუნა**

0:1 ალექსი (36), 1:1 რაული (50)
ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (39, აკილა)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, კამპო (სელადესი 71), კარანკა, მაკმანამანი, გუტი (მუნიტისი 71), ფლავიო კონსეისაო, მაკელელე (სავიო 61), რაული, ფიგუ
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ოსასუნა: ნუნო, ხოსუე (ლეკუმბერი 59), იანგუსი, კრუჩაგა, ვიდაკოვიჩი, ხერარდო, ანხელ ლუისი (საბინო 53), ლორენსი, ალექსი (ალფონსო 87), განსედო, ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ალექსი, საბინო
70 000 მაყურებელი

**ბარსელონა 1:1 სელტა**

0:1 მოსტოვოი (4), 1:1 გაბრი (28)
ბარსელონა: დუტრუელი, რაიციგერი, ფ. დე ბური, პუიოლი, გვარდიოლა, გაბრი, კოკუ, ოვერმარსი, ზენდენი (პეტი 71), ლუის ენრიკე (დანი 82), რივალდო
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
სელტა: კავალიერო, ველასკო (იაგო 80), კასერესი, ხუანფრანი, ჯოროვიჩი (ჯოვანელა 66), ბერიზო, ედუ, მოსტოვოი, ვაგნერი, კატანია (ხესული 61), გუსტავო ლოპესი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: კოკუ, გვარდიოლა, ედუ, გაბრი, ბერიზო, პუიოლი, გუსტავო ლოპესი, ხესული, ხუანფრანი
45 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 სარაგოსა**

1:0, 2:0 ლუკე (6, 38), 2:1 ჟამელი (92)
მალიორკა: ბურგოსი, არმანდო, მიგელ სოლერი (სივიერო 78), ფერნანდო ნინიო, ნადალი, იბაგასა, ჩიჩი სოლერი, მარკოსი, ნოვო, ეტოო (ფინიდი 84), ლუკე (რივერა 67)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
სარაგოსა: ხუანმი, ლანა (არაგონი 67), აგუადო, პაბლო, პაკო ხემესი, მარტინ ველისკა (კუარტერო 66), ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი, იორდი, მონტენეგრო (მარკოს ვალესი 67)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: მიგელ სოლერი, იბაგასა, ფერნანდო ნინიო, ხოსე იგნასიო, ნოვო
18 000 მაყურებელი

**ბილბაო 2:0 ალავესი**

1:0 ესკურო (64), 2:0 იესტე (70)
ბილბაო: ლაფუენტე ფელიპე ლაკრუსი, კარლოს გარსია, ლარაინსარი, ოსკარ ვალესი, იესტე (კუელიარი 88), ალკისა, ტიკო (ორბაისი 46), ესკურო (ხავი გონსალესი 83), ურსაისი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
ალავესი: ერერა, იბონ ბეგონია, ეგენი, ტელიესი, ჟელი, პაბლო, დესიო (ასკოიტია 88), ასტუდილიო, მაგნო (ვუჩკო 63), კრუიფი, ივან ალონსო (ხავი მორენო 63)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: კარლოს გარსია, კრუიფი, ლაკრუსი, ივან ალონსო, ტელიესი, იბონ ბეგონია, პაბლო, ასკოიტია
გაძევება: ალკისა (44), ტელიესი (82)
35 000 მაყურებელი

**რასინგი 1:1 რაიო ვალეკანო**

0:1 ბოლო (19), 1:1 არსენო (25)
რასინგი: სებალიოსი, არსენო, მელბერგი, სიეტესი, ტაისი, რეგუერო, ესპინია (მორანი 68), ისმაელი, მაცონი (მაგალიანესი 68), ამავისკა, მანხარინი
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
რაიო ვალეკანო: კელერი, დე კინტანა, ალკასარი, ფერეირა, ბალესტეროსი, მაურო, ივან იგლესიასი (დანი ბუზასი 72), ლუის სემბრანოსი (კვედო 70), სეტვალსი, პელდერი (კლოტეტი 90), ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ესპინია, დე კინტანა, ფერეირა, ისმაელი, პელდერი
გაძევება: სეტვალსი (66)
17 000 მაყურებელი

**მალაგა 2:2 ოვიედო**

0:1 ხუან გონსალესი (24), 1:1 დარიო სილვა (27), 2:1 კანაბალი (78), 2:2 პაუნოვიჩი (85)
მალაგა: კონტრერასი, ბრავო, როტეტა (კანაბალი 75), ფერნანდო სანსი, ლარაინსარი, მოვილია (მუსამპა 67), რუფეტე, სანდრო (ზარატე 67), დარიო სილვა, აგოსტინიო, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, ონოპკო, დანჟუ, ი. ტომიჩი, ამიევა (ხაიმე 73), ივან ანია, გასპარი, ხუან გონსალესი (ხენი 64), პაუნოვიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: გასპარი, პაუნოვიჩი, როტეტა, ბორისი, რაბარივონი, ხაიმე, დანჟუ, ივან ანია, ლარაინსარი, ფერნანდო სანსი
გაძევება: ბორისი (78)
21 000 მაყურებელი

**ნუმანსია 1:3 ვილიარეალი**

0:1 კრაიოვიანუ (48), 0:2 ხორხე ლოპესი (75), 1:2 ნაგორე (77), 1:3 მოიზესი (85)
ნუმანსია: რაული, ხაუმე (პირი 65), ანტია (ოხედა 51), მანელი, პაჩეტა, ნაგორე, როსუ, მარინი, ხოსე მანუელი, ინიაკი, რუბენ ნავარო
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, ბერუე კიკე მედინა, ხავი როკა (გალვანი 67), ხავი გრასია, ამორი, კრაიოვიანუ (ხაიმე 81), ხორხე ლოპესი, ვიქტორი (მოიზესი 84), კალეხა
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: ხავი გრასია, ხავი როკა, ამორი
გაძევება: ხავი გრასია (51)
8 000 მაყურებელი

**დღევანდელი** მიმოხილვა ბომბარდირთა ამბების გარჩევით დავიწყოთ, რადგან დაკვირვებული მკითხველი ერთ შეუსაბამობას შეამჩნევს.

წინა ტურის მერე გატყობინებდით, რომ რაულმა ცხრამეტი გოლი გაიტანა. მადრიდელ ფორვარდს ახლაც ამდენი უწერია, თუმცა „ოსასუნას“ ანგარიში სწორედ მან გაუთანაბრა.

საქმეში გასარკვევად შორს დაბრუნება მოგვიწევს, უფრო ზუსტად კი, 2000 წლის 10 სექტემბერს, როცა პრიმერადივიზიონის პირველ ტურში „რეალმა“ „ვალენსიას“ უმასპინძლა. ძველი ამბავი კია, მაგრამ ეგებ გახსოვდეთ — „ვალენსიამ“ პირველი გოლი გაიტანა, „რეალმა“ გაათანაბრა და ბოლოსკენ, 87-ე წუთზე სტუმრებს სამი ქულაც გამოგლიჯა. გოლი ასე გავიდა: ლუიშ ფიგუმ მარჯვნიდან კარისკენ დაარტყა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა. აქ აზრი გაიყო. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ სანამ ბურთი კარის ხაზს გადაკვეთდა, რაულმა ფეხი წაჰკრა. მეორეთა ვერსიით, რაული ბურთს საერთოდ არ შეხებია, ხოლო მესამეთა აზრით, რაული ბურთს მაშინ შესწვდა, როცა გოლი გასული იყო.

მაშინ გადაწყდა, რომ გოლი რაულისთვის მიეთვალათ და საბოლოო სიტყვა ახლაღა ითქვა — ის გოლი ფიგუს გაუტანია.

ფიგუ ახლა რვა გოლის პატრონია, თუმცა შეეძლო, მეცხრეც ჰქონოდა. განა ბევრი იყო ამისთვის საჭირო — „ოსასუნასთვის“ პენალტი უნდა გაეტანა, მაგრამ კარს ააცილა. არადა, ზუსტად რომ დაერტყა, „ოსასუნა“ ცხრილში ერთი საფეხურით დაბლა იქნებოდა, ხოლო „რეალს“ ჩემპიონობის გასანაღდებლად დარჩენილ ექვს ტურში შვიდი ქულაც ეყოფოდა.

„რეალს“ კიდევ რა ენაღვლება, რა უნდა შეემთხვეს, რომ პირველობა დაკარგოს. აი, პამპლონელებს კი არ გაუმართლათ — თამაშს იგებდნენ და ყოვლად სულელური გოლი გაუშვეს. მცველი ბურთის საჯარიმოდან გამოტანას შეეცადა და თავისიანსვე გაარტყა. ბურთი რაულს მიუგორდა, რაული კი ასეთ სიტუაციაში არ იბნევა. ისე, საკვირველია, „ბარსელონა“ და „რეალისთვის“ ოთხი ქულის ამრთმევი გუნდი გასავარდნთა ზონაში რატომ უნდა ბოგინობდეს. ვფიქრობთ, „ოსასუნა“ საკმაოდ გვიან გამოფხიზლდა.

გვახსენდება, „ბარსელონამ“ წინა სეზონში ზედიზედ სამი თამაში წააგო და ერთი ამბავი ატყდა. ახლა რაღა უნდა ვთქვათ, რომ კატალონიური გრანდი ზედიზედ მეექვსე მატჩს ვერ იგებს? და მთავარი ისაა, რომ საკითხი უკვე ასე დგას — ითამაშებს თუ არა „ბარსელონა“ გაისად ჩემპიონთა ლიგაში. თუ „ბარსას“ „სელტასთან“ თამაშით ვიმსჯელებთ, კატალონიელები ოთხეულში უნდა მოხვდნენ, რადგან „კამპ ნოუს“ ბინადრები კვირას აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე ლორენს სერა ფერერის ხელში ირჯებოდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში, უფრო კი მეორე ტაიმში ვიგოელები აიკლეს. მაგრამ რად გინდა — მეოთხეადგილოსან „მალიორკას“ უკვე ოთხი ქულით ჩამორჩებიან.

აღსანიშნავია, რომ ბარსელონელთა სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნდა მეკარე რიშარ დუტრუელი, რომელიც ყმაწვილ რეინას სჯობს, თუმცა მაინცდამაინც არ ბრწყინავს და ალექსანდრ მოსტოვოის საჯარიმოსაც ვერაფერი მოუხერხა..

„ბარსელონას“ ოთხეულში მოხვედრა „ვალენსიასა“ და „მალიორკაზეცაა“ დამოკიდებული — მათ ქულები უნდა დაკარგონ, რასაც არ აპირებენ.

„ვალენსიას“ „ვალიადოლიდის“ ძლევა გაუჭირდა და ხუან სანჩესის ერთი გოლი იკმარა, თუმცა სათქმელია, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის წინ ექტორ რაულ კუპერმა ზოგიერთი ფეხბურთელის დასვენება გადაწყვიტა. ის ერთი გოლი კი ზლატკო ზაჰოვიჩის ჩაწოდებულ საჯარიმოს მოჰყვა, როცა სანჩესი ბურთს შორეულ ძელთან დახვდა და მეკარე ალბანო ბიზარის წამით დაასწრო.

ბარსელონელთა სავალალოდ, მოიგო „მალიორკამაც“ და „სარაგოსას“ ორივე გოლი ტომით კატალონიელმა ალბერტო ლუკემ გაუტანა.

ისე ჩანს, რომ „ალავესს“ უეფას თასის ფინალის გარდა აღარაფერი ახსოვს — დაამარცხა „კაიზერსლაუტერნი“ და დივიზიონში ზედიზედ მეორე თამაშს აგებს. ვიტორიელები ამჯერად ბილბოელებმა გალახეს ბასკურ დერბიში. საინტერესოა, რომ „ალავესს“ არც არასდროს მოუგია „სან მაეესზე“.

„სოსიედადი“ კანარის კუნძულებზე ჩავიდა და შინ უქულოდ დაბრუნდა. ედგარას იანკაუსკასი რომ არ გაეძევებიათ, სანსებასტიანელებს 81-ე წუთზე ეგებ გოლი არც გაეშვათ, თუმცა ვინ იცის და წამხდარ საქმესაც ველარ უშველი. ამ მოგებით „ლას პალმასმა“, ფაქტობრივად, გაინაღდა პრიმერადივიზიონში გაისადაც ყოფნა.

სორიაში გამარჯვებით უეფას თასზე გასვლის შანსი შეინარჩუნა „ვილიარეალმა“, რომელიც ფეხდაფეხ მისდევს „სელტას“. ხოლო მათ უკან „მალაგაა“. არადა, მალაგელებს მათი გასწრება შეეძლოთ. სულ უბრალო ამოცანა ჰქონდათ — „ოვიედოსთვის“ უნდა მოეგოთ, რომელიც გასვლაზე მტრისას, ისე თამაშობს, მაგრამ ოვიედოელებმა მაინცდამაინც ახლა მოინდომეს და წაგებული თამაში ბოლო წუთებზე ფრედ აქციეს.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 32 | 21 | 6 | 5 | 70:33 | 37 | 69 | 16 | 13 | 2 | 1 | 44:12 | 32 | 41 | 16 | 8 | 4 | 4 | 26:21 | 5 | 28 |
| 2 | დეპორტივო | 32 | 18 | 6 | 8 | 61:38 | 23 | 60 | 16 | 13 | 3 | 0 | 37:10 | 27 | 42 | 16 | 5 | 3 | 8 | 24:28 | -4 | 18 |
| 3 | ვალენსია | 32 | 16 | 8 | 8 | 49:25 | 24 | 56 | 17 | 12 | 1 | 4 | 29:9 | 20 | 37 | 15 | 4 | 7 | 4 | 20:16 | 4 | 19 |
| 4 | მალიორკა | 32 | 15 | 11 | 6 | 46:38 | 8 | 56 | 16 | 11 | 4 | 1 | 28:17 | 11 | 37 | 16 | 4 | 7 | 5 | 18:21 | -3 | 19 |
| 5 | ბარსელონა | 32 | 14 | 10 | 8 | 69:51 | 18 | 52 | 16 | 10 | 4 | 2 | 43:20 | 23 | 34 | 16 | 4 | 6 | 6 | 26:31 | -5 | 18 |
| 6 | სელტა | 32 | 13 | 9 | 10 | 44:45 | -1 | 48 | 16 | 9 | 6 | 1 | 26:16 | 10 | 33 | 16 | 4 | 3 | 9 | 18:29 | -11 | 15 |
| 7 | ვილიარეალი | 32 | 13 | 8 | 11 | 49:47 | 2 | 47 | 15 | 6 | 6 | 3 | 24:21 | 3 | 24 | 17 | 7 | 2 | 8 | 25:26 | -1 | 23 |
| 8 | ალავესი | 32 | 13 | 7 | 12 | 49:44 | 5 | 46 | 16 | 9 | 2 | 5 | 27:18 | 9 | 29 | 16 | 4 | 5 | 7 | 22:26 | -4 | 17 |
| 9 | მალაგა | 32 | 13 | 7 | 12 | 52:51 | 1 | 46 | 17 | 8 | 5 | 4 | 29:23 | 6 | 29 | 15 | 5 | 2 | 8 | 23:28 | -5 | 17 |
| 10 | ესპანიოლი | 32 | 13 | 6 | 13 | 40:33 | 7 | 45 | 16 | 8 | 2 | 6 | 22:13 | 9 | 26 | 16 | 5 | 4 | 7 | 18:20 | -2 | 19 |
| 11 | ბილბაო | 32 | 11 | 9 | 12 | 41:44 | -3 | 42 | 16 | 9 | 3 | 4 | 29:18 | 11 | 30 | 16 | 2 | 6 | 8 | 12:26 | -14 | 12 |
| 12 | რაიო ვალეკანო | 32 | 9 | 12 | 11 | 52:55 | -3 | 39 | 16 | 6 | 5 | 5 | 27:22 | 5 | 23 | 16 | 3 | 7 | 6 | 25:33 | -8 | 16 |
| 13 | ლას პალმასი | 32 | 11 | 6 | 15 | 33:52 | -19 | 39 | 16 | 8 | 3 | 5 | 17:19 | -2 | 27 | 16 | 3 | 3 | 10 | 16:33 | -17 | 12 |
| 14 | სარაგოსა | 32 | 8 | 12 | 12 | 48:51 | -3 | 36 | 15 | 7 | 6 | 2 | 35:20 | 15 | 27 | 17 | 1 | 6 | 10 | 13:31 | -18 | 9 |
| 15 | ვალიადოლიდი | 32 | 8 | 11 | 13 | 35:43 | -8 | 35 | 16 | 8 | 6 | 2 | 21:12 | 9 | 30 | 16 | 0 | 5 | 11 | 14:31 | -17 | 5 |
| 16 | ოვიედო | 32 | 9 | 7 | 16 | 40:57 | -17 | 34 | 16 | 8 | 5 | 3 | 34:23 | 11 | 29 | 16 | 1 | 2 | 13 | 6:34 | -28 | 5 |
| 17 | სოსიედადი | 32 | 8 | 9 | 15 | 40:62 | -22 | 33 | 16 | 5 | 6 | 5 | 23:26 | -3 | 21 | 16 | 3 | 3 | 10 | 17:36 | -19 | 12 |
| 18 | ოსასუნა | 32 | 7 | 11 | 14 | 37:48 | -11 | 32 | 16 | 4 | 7 | 5 | 21:22 | -1 | 19 | 16 | 3 | 4 | 9 | 16:26 | -10 | 13 |
| 19 | რასინგი | 32 | 8 | 7 | 17 | 39:53 | -14 | 31 | 16 | 8 | 4 | 4 | 27:20 | 7 | 28 | 16 | 0 | 3 | 13 | 12:33 | -21 | 3 |
| 20 | ნუმანსია | 32 | 7 | 8 | 17 | 32:56 | -24 | 29 | 16 | 5 | 5 | 6 | 19:23 | -4 | 20 | 16 | 2 | 3 | 11 | 13:33 | -20 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რივალდო (ბარსელონა) | 19 |
| რაული (რეალი) | 19 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 18 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |
| კატანია (სელტა) | 15 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 14 |

**XXXIII ტური**
5-6 მაისი
სოსიედადი — ვალენსია
ვალიადოლიდი — მალაგა
ოვიედო — ბილბაო
ალავესი — რასინგი
რაიო ვალეკანო — დეპორტივო
ესპანიოლი — ბარსელონა
სელტა — რეალი
ოსასუნა — მალიორკა
სარაგოსა — ნუმანსია
ვილიარეალი — ლას პალმასი

## მეორე დივიზიონი

### XXXV ტური

**ატლეტიკო 0:3 მურსია**
0:1 ზარატე (25), 0:2 ლორეტო (62), 0:3 ლუის ხილი (80)

**ბეტისი 4:1 ლეიდა**
1:0 ამატო (9პ), 2:0 კასასი (20), 2:1 მორენო (32), 3:1 ამატო (61), 4:1 კასასი (68)

**კომპოსტელა 1:1 ლეგანესი**
0:1 პუნიალი (29პ), 1:1 ოპენი (81)

**ბადახოსი 0:1 სალამანკა**
0:1 ტოედტლი (57)

**უელვა 1:1 სპორტინგი**
0:1 სოტო (17), 1:1 ბოდიპო (62)

**უნივერსიდადი 1:0 ესტრემადურა**
1:0 ალექსისი (90)

**ელჩე 0:2 ტენერიფე**
0:1, 0:2 მისტა (47, 65)

**კორდობა 2:0 ეიბარი**
1:0 მარკოსი (70), 2:0 მონტენეგრო (90)

**ფეროლი 1:1 სევილია**
1:0 პავლიჩიჩი (26), 1:1 მიჩელი (90)

**ხაენი 3:0 ალბასეტე**
1:0 პეპელუ (1), 2:0 სიერა (50), 3:0 ხურადო (86)

**ლევანტე 3:3 ხეტაფე**
1:0 სალილიასი (7), 1:1 ტრიგო (17), 1:2 დიკა (43), 2:2 კაიკუ (64), 3:2 სალილიასი (75), 3:3 მაიკელი (92)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 35 | 18 | 10 | 7 | 52:32 | 64 |
| ტენერიფე | 35 | 18 | 9 | 8 | 52:27 | 63 |
| ბეტისი | 35 | 17 | 11 | 7 | 39:25 | 62 |
| უელვა | 35 | 13 | 18 | 4 | 39:22 | 57 |
| ატლეტიკო | 35 | 15 | 10 | 10 | 49:37 | 55 |
| ალბასეტე | 35 | 14 | 11 | 10 | 35:34 | 53 |
| სალამანკა | 35 | 15 | 6 | 14 | 39:38 | 51 |
| სპორტინგი | 35 | 13 | 11 | 11 | 45:41 | 50 |
| ლევანტე | 35 | 11 | 16 | 8 | 45:39 | 49 |
| კორდობა | 35 | 12 | 12 | 11 | 32:30 | 48 |
| ხაენი | 35 | 12 | 12 | 11 | 26:32 | 48 |
| ესტრემადურა | 35 | 13 | 8 | 14 | 33:38 | 47 |
| მურსია | 35 | 11 | 12 | 12 | 49:47 | 45 |
| ეიბარი | 35 | 10 | 15 | 10 | 25:24 | 45 |
| ბადახოსი | 35 | 9 | 18 | 8 | 28:28 | 45 |
| ლეგანესი | 35 | 8 | 18 | 9 | 39:35 | 42 |
| კომპოსტელა | 35 | 10 | 9 | 16 | 34:56 | 39 |
| ფეროლი | 35 | 8 | 13 | 14 | 37:43 | 37 |
| ელჩე | 35 | 7 | 14 | 14 | 33:46 | 35 |
| ხეტაფე | 35 | 8 | 10 | 17 | 38:52 | 34 |
| უნივერსიდადი | 35 | 4 | 16 | 15 | 23:45 | 28 |
| ლეიდა | 35 | 4 | 11 | 20 | 31:52 | 23 |

## იტალია

### XXVIII ტური

**მილანი 1:0 ვერონა**

1:0 შევჩენკო (69პ)
მილანი: ს. როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, მალდინი, კოკო, გატუზო, ძალაძე, სერჯინიო, ჯუნტი (ბობანი 60), შევჩენკო, ბირჰოფი (გულიელმინპიეტრო 74)
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
ვერონა: ფერონი, ოდდო, გონელა, ლაურსენი, ტეოდორანი, სერიჩი, ჯ. კოლუჩი (სალვეტი 46), ლ. კოლუჩი, იტალიანო (მელისი 77), ბონაცოლი, მუტუ (კოსატო 51)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: გატუზო, გონელა, ფერონი
40 000 მაყურებელი

**რომა 2:2 ლაციო**

1:0 ბატისტუტა (47), 2:0 დელვეკიო (53), 2:1 ნედვედი (77), 2:2 კასტრომანი (95)
რომა: ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, ალდაირი, კაფუ, ტომაზი, კ. ძანეტი (გიგუ 87), კანდელა, ტოტი, ბატისტუტა, დელვეკიო (მანგონი 93)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, პობორსკი (კასტრომანი 64), ბარონიო (სტანკოვიჩი 46), დ. ბაჯო, სიმეონე (კლაუდიო ლოპესი 55), ნედვედი, კრესპო
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: ტოტი, პანკარო, სამუელი, კრესპო
77 120 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 ლეჩე**

1:0 ტუდორი (40), 1:1 კონტიკიო (41)
ინძაგიმ ვერ გაიტანა პენალტი (87, ძელი)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, იულიანო, მონტერო, ატირსონი (ბრიგი 46), ტაკოტო, კონტე დავიდსი (ბირინდელი 74), ზიდანი, კოვაჩევიჩი (ფ. ინძაგი 54), ტრეზეგე
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლეჩე: კიმენტი, დაინელი, მალუსკი, სავინო (ჟუარესი 56), ვაზარი, კონტიკიო, ინგესონი, პიანჯერელი, კოლონელო, ვუგრინეცი (ჯორჯეტი 77), ოსორიო (პივოტო 89)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: კონტიკიო, იულიანო, ტუდორი, კოლონელო
25 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:2 ბოლონია**

1:0 ვენტოლა (48), 1:1 სინიორი (57), 2:1 მორფეო (66), 2:2 სინიორი (74)
ატალანტა: პელიცოლი, კ. ძენონი, კარერა, ლორენცი, ქაპინალი, ბერეტა, დონი, დუნდიერსკი, მორფეო, პინარდი (როსინი 46), ვენტოლა
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, გამბერინი, ვომე (ჩიპრიანი 72), ლიმა, ოლივე, ნერვო, ლოკატელი (პიაჩენტინი 82), ხულიო კრუზი (ბინოტო 64), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
16 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:0 ინტერი**

1:0 ბაჯო (12პ)
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ფ. გალი, დიანა, ე. ფილიპინი, ბიზოლი, ილანა (ბონერა 46), ბაკინი (ორლანდინი 77), რ. ბაჯო, ტარე (უბნერი 77)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ინტერი: ფრეი, ჩირილო, სიმიჩი, ბლანი, გრეშკო, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (ფარინოსი 66), დალმა, ზეედორფი (ფერანტე 62), ჰაქან შუქური (რეკობა 46), ვიერი
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: ჩირილო, ბაკინი, პეტრუცი, ფარინოსი, უბნერი
26 000 მაყურებელი

**ვიჩენცა 0:1 პარმა**

0:1 დი ვაიო (80)
ვიჩენცა: სტერჩელე, კარდონე, ძანკა, ტომაზი, სომეზე (კომოტო 75), ფირმანი, ბერნარდინი, ძაული (მ. ქაპოზიტო 90), ზეგეტო (კუდა 84), ტონი, კალონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, ფ. კანავარო, ფუზერი (ბენარივო 85), ლამუში, ალმეიდა, ჟუნიორი, მიკუ, დი ვაიო, ამოროზო (მბომა 57)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: ალმეიდა, ფირმანი
14 140 მაყურებელი

**ფიორენტინა 2:1 უდინეზე**

0:1 მუცი (12), 1:1, 2:1 კიეზა (51, 55)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, მორეტი, ვანოლი (ნუნო გომეში 37), მარკო როსი, კ. ამორუზო, დი ლივიო, ბრესანი (კოისი 61), რუი კოშტა (ამარალი 85), კიეზა
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო, ელგერა (გუტიერესი 66), ჯანიკედა, ფიორე, დიასი, მუცი (ვალემი 55), სოზა (მარჯოტა 70)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ალბერტო, ბერტოტო, რეპკა
გაძევება: სპალეტი (77, „უდინეზეს“ მწვრთნელი), დომენიკინი (77, მწვრთნელის თანაშემწე)
28 000 მაყურებელი

**ბარი 3:4 პერუჯა**

1:0 პოჯი (10პ), 2:0 მაცარელი (41), 3:0 მარკოლინი (48), 3:1 ანი (66), 3:2, 3:2 რობიატი (71, 74), 3:4 მატერაცი (81პ)
ბარი: ნარჩიზო, სიბილანო, მაცარელი, ინოჩენტი, ბელავისტა, საიდი, პეროტა (ლა ფორტეცა 65), მარკოლინი (ფუმაი 74), მადსენი, პოჯი, დე გრეგორიო (კასანო 71)
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
პერუჯა: მაცანტინი, სოლიანო (გინაზუ 46), მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო, ბლაზი (პეტრაკი 58), ბაიოკო, პიერი (რობიატი 58), ანი, ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: სიბილანო, ინოჩენტი, ლა ფორტეცა, ბლაზი
გაძევება: მადსენი (80)
4 000 მაყურებელი

**რეჯინა 3:1 ნაპოლი**

1:0 დიონიჯი (5), 2:0 მარაცინა (42), 3:0 ძანკეტა (50), 3:1 ედმუნდო (59)
ამორუზომ ვერ გაიტანა პენალტი (54, მეკარე)
რეჯინა: ტაიბი, ჟირანეკი, ვარგასი, სტოვინი, ვაკარი (კანეირა 66), მამედე, ძანკეტა (რ. ვერონი 73), ბრევი, მორაბიტო, მარაცინა (და კოშტა 68), დიონიჯი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ნაპოლი: ფონტანა, ბალდინი, კიროგა, ბოკეტი (სესა 54), ბაჩინი (საბერი 58), პეკია, მაგონი (ხუსაინი 64), იანკულოვსკი, პინედა, ნ. ამორუზო, ედმუნდო
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: მამედე სტოვინი, ხუსაინი, პინედა, ბრევი
გაძევება: მამედე (86), ბალდინი (86)
23 900 მაყურებელი

# გლადიატორი

**ძველი** თუ ახალი, ბატებით თუ უბატებოდ, რომი რომია და იქ გლადიატორების ბრძოლა ეწყობა. ბატი კი რომში ოდითგანვე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა. დღეს ბატი „რომაშია“. ბატი — ასე ამოკლებენ დიდი არგენტინელი ფორვარდის, გაბრიელ ბატისტუტას გვარს იტალიელები. მას ბატიგოლსაც ეძახიან.

ძველი თუ ახალი, რომი რომია, მაგრამ ძველსა და ახალს შორის განსხვავება მაინც არის — ადრე გლადიატორები კოლიზეუმში იბრძოდნენ, ახლა „სტადიო ოლიმპიკოზე“ იბრძვიან, ადრე მათ ფულს არ უხდიდნენ, დღეს მილიონებს უხდიან...

მაგრამ შინაარსი არ შეცვლილა. ერთი თავისებურებაა მხოლოდ: კვირა საღამოს, ზემოხსენებულ „სტადიო ოლიმპიკოზე“ პუბლიკას ცერა თითი იმთავითვე დაბლა ჰქონდა მიმართული — „ლაციოს“ ქომაგები „რომას“ თავს ითხოვდნენ, „რომას“ ქომაგები — „ლაციოს“ თავს.

ოღონდ, თავად გლადიატორებმა იცოდნენ, რომ სიკვდილი, დამარცხება დაუშვებელი იყო. სასწორზე ძალიან ბევრი რამ იდო. „რომას“ რომ წაეგო, „ლაციოს“ ოთხი ქულის მანძილზე მიიახლოვებდა. ხოლო „ლაციოს“ რომ წაეგო, „რომას“ გაუშვებდა ათი ქულით წინ.

და კიდევ, ორივემ იცოდა, რომ მათ შორის მყოფმა „იუვენტუსმა“ ოთხი საათით ადრე „ლეჩეს“ ვერ აჯობა, ამის ხელიდან გაშვება კი არაფრით შეიძლებოდა.

და დაიწყო: „სტადიო ოლიმპიკოზე“ დაძაბულობისგან ჰაერში აგდებული ბურთი ლამის ჰაერშივე რჩებოდა.

პირველი ტაიმის აღწერა შეუძლებელია. ეს იყო ბრძოლა ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით, თუმცა ფეხბურთი, გაშლილი თამაში ნაკლებად ჩანდა. შესვენების შემდეგ კი თითქოს ძალიან მსხვილი ჯაჭვი გაწყდაო — მარცხნიდან ელვის სისწრაფით შეჭრილმა მარკო დელვეკიომ ბატისტუტასკენ დაბალი პასი გაჭრა და დიდმა ბატიმ დროულად, ელვის სისწრაფითვე გაყოფილი ფეხით რომში ცა ჩამოაქცია. დიდი სანახავი იყო მისი ზეიმიც — გაგიჟებულმა კარს უკან, საკუთარი გულშემატკივრის წინ სირბილის დროს ტელეოპერატორიც კი წააქცია.

გამოხდა ცოტა ხანი და „რომა“ ორი ბურთით დაწინაურდა — მეორე ვულკანი დელვეკიომ ამოხეთქა, მაგრამ... აი აქ გვიწევს ერთი, სამწუხაროდ, უკვე ბანალური ამბის მოყოლა: ის, ვინც აგებდა, არ დანებდა. 78-ე წუთზე ჩეხმა პაველ ნედვედმა მეტოქის მცველისგან ასხლეტილი ბურთი ძირს დაუშვებლად დაუმიზნა კარს, ხოლო მსაჯის წამატებული დროის მეხუთე წუთზე, შეცვლაზე შესულმა არგენტინელმა ლუკას კასტრომანმა, კუთხურიდან საჯარიმოს კიდესთან გადავარდნილ ბურთს ლონიერი დარტყმით მიუჩინა ადგილი ანტონიოლის უკან, ბადეში.

და, რა მოხდა ტურინში? აკი ვთქვით, რომ გლადიატორთა ბრძოლამდე ოთხი საათით ადრე... აქ, ბოლო წუთები იყო განსაკუთრებული: ფილიპო ინძაგი პენალტიდან ბურთს ძელს არტყამს... ფილიპო ინძაგი „ლეჩეს“ საჯარიმოში ნაბიძგებ შანსს უშვებს ხელიდან... ფილიპო ინძაგი „ლეჩეს“ საჯარიმოში, ფაქტობრივად მხოლოდ მეკარის წინ მდგომი ბურთს მკერდით იგდებს ფეხზე, არტყამს, ბურთს ძელს ხვდება, ასხლეტილი დავარდნილ მეკარეს ხვდება ფეხში და კარის მიმართულებით წასული ისევ ცდება მიზანს! ეს წამატებული დროის ბოლო წამი იყო...

მანამდე კი, მე-40 წუთზე, ანგარიში იუვენტუსელმა ხორვატმა იგორ ტუდორმა გახსნა, თუმცა ზუსტად ერთ წუთში (60 წამში) ლეჩელმა ალესანდრო კონტიკიომ ეფექტური, დაწოლილი თავურით გაათანაბრა ანგარიში.

„ძალიან ცუდია. ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ, ყველაფერი ვცადეთ, რათა თამაში მოგვეგო. ლეჩელების შედეგმა ძალიან დაგვწყვიტა გული, მაგრამ გვწამს, ერთი კვირის მერე დაკარგულს ავინაზღაურებთ“ — განაცხადა ხელმოცარული „ბებერი ქალბატონის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ, თუმცა, ვფიქრობთ, ცოტა გადაამეტა. ასეთი თვითრწმენა ზედმეტი ხომ არ არის? შემდეგ კვირას „იუვენტუსს“, არც მეტი, არც ნაკლები „რომა“ ეწვევა.

ხოლო, რობერტო ბაჯოს აგერ უკვე ზედიზედ მეხუთე შეხვედრაა, გოლი გააქვს. ამჯერად მან ეს პენალტით გააკეთა, როდესაც ბრეშაში თავისი ყოფილი გუნდი „ინტერი“ დასცა — 1:0.

იტალიელო მწვრთნელებო, არ აიყვანოთ ეს ბაჯო ნაკრებში!

**ბაბუნა ძიძია**


REUTERS ფოტო

რომა — ლაციო. რომაული დერბი გაბრიელ ბატისტუტას გოლის გარეშე ალბათ არ იქნებოდა

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რომა | 28 | 19 | 6 | 3 | 55:26 | 29 | 63 | 14 | 10 | 4 | 0 | 28:12 | 16 | 34 | 14 | 9 | 2 | 3 | 27:14 | 13 | 29 |
| 2 იუვენტუსი | 28 | 16 | 9 | 3 | 46:22 | 24 | 57 | 14 | 9 | 4 | 1 | 27:10 | 17 | 31 | 14 | 7 | 5 | 2 | 19:12 | 7 | 26 |
| 3 ლაციო | 28 | 17 | 5 | 6 | 51:30 | 21 | 56 | 14 | 10 | 2 | 2 | 28:12 | 16 | 32 | 14 | 7 | 3 | 4 | 23:18 | 5 | 24 |
| 4 პარმა | 28 | 13 | 8 | 7 | 40:22 | 18 | 47 | 14 | 7 | 4 | 3 | 24:9 | 15 | 25 | 14 | 6 | 4 | 4 | 16:13 | 3 | 22 |
| 5 მილანი | 28 | 11 | 11 | 6 | 45:38 | 7 | 44 | 15 | 9 | 5 | 1 | 33:17 | 16 | 32 | 13 | 2 | 6 | 5 | 12:21 | -9 | 12 |
| 6 ატალანტა | 28 | 10 | 12 | 6 | 35:25 | 10 | 42 | 15 | 4 | 8 | 3 | 15:12 | 3 | 20 | 13 | 6 | 4 | 3 | 20:13 | 7 | 22 |
| 7 ინტერი | 28 | 11 | 8 | 9 | 38:35 | 3 | 41 | 13 | 7 | 5 | 1 | 21:11 | 10 | 26 | 15 | 4 | 3 | 8 | 17:24 | -7 | 15 |
| 8 ბოლონია | 28 | 11 | 7 | 10 | 40:39 | 1 | 40 | 14 | 9 | 2 | 3 | 22:15 | 7 | 29 | 14 | 2 | 5 | 7 | 18:24 | -6 | 11 |
| 9 ფიორენტინა | 28 | 9 | 12 | 7 | 47:40 | 7 | 39 | 14 | 8 | 3 | 3 | 29:19 | 10 | 27 | 14 | 1 | 9 | 4 | 18:21 | -3 | 12 |
| 10 პერუჯა | 28 | 9 | 9 | 10 | 40:43 | -3 | 36 | 14 | 5 | 5 | 4 | 21:17 | 4 | 20 | 14 | 4 | 4 | 6 | 19:26 | -7 | 16 |
| 11 ბრეშა | 28 | 7 | 11 | 10 | 32:37 | -5 | 32 | 14 | 5 | 6 | 3 | 16:14 | 2 | 21 | 14 | 2 | 5 | 7 | 16:23 | -7 | 11 |
| 12 უდინეზე | 28 | 10 | 2 | 16 | 41:49 | -8 | 32 | 14 | 7 | 0 | 7 | 27:24 | 3 | 21 | 14 | 3 | 2 | 9 | 14:25 | -11 | 11 |
| 13 ლეჩე | 28 | 7 | 10 | 11 | 35:46 | -11 | 31 | 14 | 5 | 5 | 4 | 22:24 | -2 | 20 | 14 | 2 | 5 | 7 | 13:22 | -9 | 11 |
| 14 ვიჩენცა | 28 | 7 | 7 | 14 | 29:41 | -12 | 28 | 14 | 5 | 4 | 5 | 17:17 | 0 | 19 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:24 | -12 | 9 |
| 15 ნაპოლი | 28 | 6 | 10 | 12 | 27:40 | -13 | 28 | 14 | 4 | 6 | 4 | 16:16 | 0 | 18 | 14 | 2 | 4 | 8 | 11:24 | -13 | 10 |
| 16 რეჯინა | 28 | 7 | 5 | 16 | 24:43 | -19 | 26 | 14 | 5 | 4 | 5 | 12:16 | -4 | 19 | 14 | 2 | 1 | 11 | 12:27 | -15 | 7 |
| 17 ვერონა | 28 | 6 | 6 | 16 | 29:50 | -21 | 24 | 13 | 6 | 3 | 4 | 17:19 | -2 | 21 | 15 | 0 | 3 | 12 | 12:31 | -19 | 3 |
| 18 ბარი | 28 | 5 | 4 | 19 | 26:54 | -28 | 19 | 14 | 5 | 1 | 8 | 18:23 | -5 | 16 | 14 | 0 | 3 | 11 | 8:31 | -23 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 20 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 19 |
| კრესპო (ლაციო) | 19 |
| ბატისტუტა (რომა) | 16 |
| ვიერი (ინტერი) | 14 |
| უბნერი (ბრეშა) | 13 |

### XXIX ტური

**5 მაისი**
ბოლონია — უდინეზე
ლეჩე — ბრეშა

**6 მაისი**
ინტერი — ატალანტა
ლაციო — ბარი
ვერონა — ფიორენტინა
პერუჯა — მილანი
პარმა — ნაპოლი
ვიჩენცა — რეჯინა
იუვენტუსი — რომა

## სერია B

### XXXIII ტური

**კალიარი 2:3 ემპოლი**
1:0 ბუზო (13), 1:1 მარკიონი (23), 1:2 მაკარონე (45), 2:2 კამარატა (51), 2:3 მაკარონე (82)

**კიევო 2:1 კოზენცა**
0:1 ა. ფიორე (76), 1:1 მანფრედინი (80), 2:1 დე ჩეზარე (85)

**კროტონე 2:2 ჩიტადელა**
1:0 სკული (29), 1:1 სტურბა (35), 2:1 ფიალდინი (83), 2:2 ტურატო (89)

**ჯენოა 0:0 პისტოიეზე**

**პიაჩენცა 1:0 ვენეცია**
1:0 კაჩა (10)

**რავენა 1:2 ტორინო**
1:0 ჩომაკოვი (45), 1:1 კალაიო (68), 1:2 მასპერო (90)

**სალერნიტანა 3:1 პესკარა**
1:0 ოლივე (21), 2:0 დი მიკელე (26), 2:1 ჯამპაოლო (29), 3:1 მოსკარდი (74)

**ტერნანა 3:2 ანკონა**
0:1 კორადო (11), 1:1 ბენინი (44), 2:1 გრაბი (56პ), 3:1 მიკოლი (78), 3:2 დე პალმა (84)

**ტრევიზო 3:0 მონცა**
1:0 პიცი (53პ), 2:0, 3:0 როკი (54, 74)

**სიენა — სამპდორია**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 33 | 19 | 6 | 8 | 42:21 | 63 |
| კიევო | 33 | 17 | 11 | 5 | 46:29 | 62 |
| ტორინო | 33 | 18 | 7 | 8 | 40:30 | 61 |
| ვენეცია | 33 | 16 | 11 | 6 | 52:36 | 59 |
| სამპდორია | 32 | 14 | 13 | 5 | 45:27 | 55 |
| კოზენცა | 33 | 16 | 7 | 10 | 39:35 | 55 |
| ტერნანა | 33 | 14 | 11 | 8 | 51:34 | 53 |
| ემპოლი | 32 | 14 | 8 | 10 | 41:37 | 50 |
| კროტონე | 33 | 14 | 6 | 13 | 44:48 | 48 |
| კალიარი | 33 | 12 | 11 | 10 | 49:37 | 47 |
| ანკონა | 33 | 13 | 7 | 13 | 47:47 | 46 |
| სიენა | 32 | 9 | 12 | 11 | 34:40 | 39 |
| ჩიტადელა | 33 | 9 | 12 | 12 | 37:47 | 39 |
| ჯენოა | 33 | 8 | 14 | 11 | 37:35 | 38 |
| პისტოიეზე | 33 | 9 | 10 | 14 | 41:44 | 37 |
| სალერნიტანა | 33 | 9 | 10 | 14 | 32:36 | 37 |
| ტრევიზო | 32 | 7 | 9 | 16 | 33:46 | 30 |
| მონცა | 33 | 7 | 4 | 22 | 31:66 | 25 |
| პესკარა | 33 | 3 | 12 | 18 | 27:47 | 21 |
| რავენა | 33 | 3 | 13 | 17 | 25:52 | 21 |

## სერია C1/A

32-ე ტური: არეცო — ლეკო 0:2; კარარეზე — პიზა 0:1; კომო — ალბინოლეფე 4:1; ლივორნო — ჩეზენა 1:0; ლუკეზე — სპეცია 3:1; მოდენა — ალესანდრია 4:1; რეჯანა — ალძანო 0:0; სპალ — ბრეშელო 1:1; ვარეზე — ლუმეცანე 1:1

## სერია C1/B

32-ე ტური: აველინო — ჯულიანოვა 0:0; ბენევენტო — ვიტერბეზე 3:1; კატანია — ნოჩერინა 2:1; ფერმანა — დი სანგრო 0:1; აკილა — მესინა 0:2; ლოდიჯანი — ატლეტიკო 1:0; პალერმო — ფ. ანდრია 2:2; ტორესი — პეზარო 3:1; სავოია — ასკოლი 1:3

იტალიის ჩემპიონატი
ოცდამერვე ტურის მატჩი

## მილანი 1:0 ვერონა

კახა კალაძე: 90 წუთი

# ერთი ნაბიჯი წინ, გარჩევა — სამშაბათს

**„ეს იყო** მნიშვნელოვანი ნაბიჯი საგაისო ჩემპიონთა ლიგისკენ“ — ასეთი გახლდათ „მილანის“ დროებითი მწვრთნელის, ჩეზარე მალდინის შეფასება, როდესაც „სან სიროზე“ „შავ-წითლებმა“ „ვერონას“ 1:0 მოუგეს.

შემდეგ, ის დასძენს: „ძნელი თამაში იყო, რადგან მოწინააღმდეგემ ყველა ბილიკი ამოგვიკეტა. პირველ ტაიმში პრობლემები გვქონდა, სწრაფად მოქმედება ვერ შევძელით და კარის მიმართულებითაც ცოტა ვურტყით. თითქოს ბიჭები დაშინებულნი იყვნენ. შესვენების შემდეგ, როგორც იქნა სასურველ დინამიკას მივაღწიეთ, ხოლო როდესაც დავწინაურდით, მერე საგოლე მომენტების შექმნაც აღარ გაგვჭირვებია“.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შესახებ: „მილანის“ კონკურენტი კვლავ „პარმაა“, ისევ სამი ქულით გვისწრებს, მაგრამ ჩვენი მხრივ პარმელებზე ფიქრი დიდი შეცდომა იქნება. ჩვენთვის უმთავრესი საკუთარი თავის მობილიზებაა, აი, „ვერონასთანაც“ გამარჯვების დიდი წყურვილი გამოვამჟღავნეთ, თუმცა საკუთრივ თამაშის ხარისხი სრულყოფილისგან შორს იყო. ბიჭები გამარჯვებამ ისე გაახარა, რომ ამჯერად ნაკლოვანებებზე ლაპარაკს მოვერიდე. ამ თემაზე სამშაბათს, ვარჯიშის დღეს ვისაუბრებთ“.

დაცვის შესახებ: „ჩვენი დაცვა თითქმის შეუვალი იყო. უკანა ხაზის სიმტკიცემ სერჟინიოს მარცხენა ფრთაზე ქროლვის საშუალება მისცა. ნახევარდაცვაში კი, მნიშვნელოვანი იყო ბობანი, რომელიც როგორც ყოველთვის პასებს არიგებდა“.

ამრიგად „მილანმა“ შინ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა. ერთადერთი გოლი 69-ე წუთზე პენალტით ანდრეი შევჩენკომ შეაგდო. ერთი სიტყვით, რაც მწვრთნელად მალდინი დადგა, „შავ-წითლებმა“ 18 შესაძლებლობიდან 14 ქულა მოინადირეს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების წევრს, კახა კალაძეს, მან „მილანში“ გადასვლის შემდეგ პირველად დაიმსახურა შედარებით დაბალი შეფასება — „რაი უნომ“ 5,5 ქულა დაუწერა.

კალაძემ 32-ე წუთზე შევჩენკოს გადააწოდა გრძელი პასი, შევჩენკომ ორ მცველს შორის სივრცე გაგლიჯა და შორეულ კუთხეში დაარტყა, მაგრამ რამდენიმე სანტიმეტრით ააცილა. მილანელთა მე-13 ნომერმა 41-ე წუთზეც იაქტიურა: ანდრეს გულიელმინპიეტროს დახვეწილი პასი მისცა, მაგრამ არგენტინელის დარტყმული ფერონმა „დაამიწა“.

**ბაჩუნა ძიძია**



რაც კახა კალაძე (მარჯვნივ) სერია A-შია, ასეთი დაბალი შეფასება არ დაუმსახურებია


# სარბიელი
## სამუშაოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14




REUTERS

ლილი — ლიონი. სონი ანდერსონმა ერთადერთი შანსი ხელიდან არ გაუშვა და მასპინძლებს უმალ გოლით უპასუხა

# სამიც და ნანტი ნაღდია

## საფრანგეთი

XXXII ტური

**ტრუა 0:1 ნანტი**
0:1 და როშა (56)

**მეცი 1:0 მარსელი**
1:0 ესპარტერო (65)

**ლილი 1:2 ლიონი**
1:0 ეკერი (23), 1:1 ანდერსონი (26), 1:2 დელმოტი (89)

**სედანი 2:3 ტულუზი**
1:0, 2:0 ნდიეფი (7, 36), 2:1 პედროსი (45), 2:2 მორო (69), 2:3 დიუზი (78)

**სენტ ეტიენი 1:1 ლანსი**
0:1 დებევი (12), 1:1 ფ. დიავარა (84)

**რენი 1:2 ბორდო**
0:1, 0:2 პაულეტა (44, 45), 1:2 გურვენეკი (59)

**პარი სენ ჟერმენი 1:1 მონაკო**
0:1 სიმონე (66), 1:1 რობერი (73)

**სტრასბური 1:0 ოსერი**
1:0 რემი (16)

**ბასტია 2:0 გენგამი**
1:0 სვიერჩევსკი (21), 2:0 ნე (90)

**„ნანტი“** თითქმის ჩემპიონია. ამის მტკიცების უფლებას საფრანგეთის ჩემპიონატის 32-ე ტურის შედეგები იძლევა. ნანტელებმა მეტად მძიმე ბრძოლა მოიგეს ტრუაში და უახლოეს მდევართან ოთხქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს.

„გარკვეულწილად უკვე დამშვიდებულები ვართ, მაგრამ თავი ქუდში ჯერ მაინც არ გვაქვს. კიდევ სამი ქულის მოპოვების შემდეგ კი ნამდვილად დავიჯერებ, რომ ოქროს მედლები ჩვენია“ — განაცხადა „ნანტის“ მთავარმა მწვრთნელმა რეინალდ დენუემ და დაამატა, საფრანგეთისა და ლიგის თასებზე ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ უკან დასახევი გზა აღარ გვქონდაო. ჰოდა, სტუმრები მეტად მობილიზებულნი გავიდნენ სათამაშოდ. ექვსწლიანი შესვენების შემდეგ უძლიერესის ტიტულის დასაუფლებლად „ნანტს“ „ტრუასთან“ უცილობლად უნდა მოეგო და მანაც მატჩი საკმაოდ ფრთხილად დაიწყო. მასპინძლებმა კი თავიდანვე შეუტიეს, რათა, როგორც მათმა დამრიგებელმა ალენ პერენმა თქვა, მომავალი ჩემპიონი დაემარცხებინათ.

ტრუელები ტაქტიკურად საკმაოდ გამართულ ფეხბურთს თამაშობდნენ სახიფათო მომენტებიც შექმნეს. ანგარიშის გახსნა უკვე მე-6 წუთზე შეეძლო როტენს შორეული საჯარიმო დარტყმით, მაგრამ სტუმრებს ბედმა გაუღიმათ. ისინი კონტრშეტევებზე მალე აეწყვნენ და თავადაც რამდენჯერმე დაემუქრნენ ერტებისის კარს, თუმც შესვენებამდე გოლი მაინც არ გასულა. მატჩის ერთადერთი გოლი კი მეორე ტაიმში შეაგდო ფრედერიკ და როშამ სტეფან ზიანის მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ.

ახლა „ნანტს“ მომდევნო ტურშივე შეუძლია ჩემპიონობის ოფიციალურად გაფორმება. ამისთვის შინ „სენტ ეტიენს“ უნდა აჯობოს, გუნდს, რომელიც ამ ტურში „ლანსთან“ ვერმოგების გამო ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე დაემშვიდობა პირველ დივიზიონს. ამ შეხვედრის მეორე დღეს „მწვანეების“ აღმასრულებელმა პრეზიდენტმა ჟერარ სოლერმა განცხადება დაწერა გადადგომის თაობაზე და თანამდებობა დატოვა.

ელიტიდან კიდევ ერთი გუნდია გასავარდნი და ეს, შესაძლოა, „ტულუზი“ ყოფილიყო, რომ არა მისი სედანში გამარჯვება. ამ მატჩში ბევრი საინტერესო ამბავი მოხდა. „სედანმა“ ამ სეზონში პირველად წააგო შინ, „ტულუზმა“ პირველად გაიმარჯვა სტუმრად და 1998 წლის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა ქვეყნის ჩემპიონატში რეინალდ პედროსმა, რომელიც ადრე საფრანგეთის ნაკრებში თამაშობდა, მერე კი საშუალო დონის ფეხბურთელობამდე დაქვეითდა.

დიდი ხნის მანძილზე „ნანტთან“ ერთად ლიდერობდა „ლილი“. ახლა ამ გუნდში შინააშლილობაა და ოქროს ვინლა ჩივის, სავარაუდოდ, სულაც უმედლოდ დარჩება. კლუბის ხელმძღვანელობას რატომღაც მთავარ მწვრთნელ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის გადაყენება მოუნდომებია, მაგრამ ფეხბურთელთა უმეტესობა გამოსარჩლებია და ბოსნიელი სპეციალისტისთვის პოსტიც შეუნარჩუნებიათ, თუმცა ამ ამბებმა გუნდზე მაინც უარყოფითად იმოქმედა და „ლილმაც“ ზედიზედ ორ ფრეს შინ კონკურენტ „ლიონთან“ მარცხი მოუნაცვლა, რამაც გათამაშების ცხრილში მეოთხე ადგილამდე ჩააქვეითა.

„ლილი“ იმავე ხერხით დავამარცხეთ, როგორც მან ჩვენ პირველ წრეში, ანუ დაცვაზე ყურადღების გამახვილებითა და სწრაფი კონტრშეტევებით. მასპინძლებმა გაცილებით მეტი საგოლე მომენტები შექმნეს, მაგრამ ჩვენ ბოლომდე გავძელით და დაცვაში მათი უყურადღებობით ვიხეირეთ“ — თქვა სტუმართა კაპიტანმა სონი ანდერსონმა. ბრაზილიელმა ლეგიონერმა თავისი მე-19 გოლი ლამის მაშინვე შეაგდო, როგორც კი ეკერმა ანგარიში გახსნა, თანაც აღსანიშნავია, რომ მას არც მანამდე და არც ამის შემდეგ სხვა საგოლე მომენტი აღარ ჰქონია.

ისეთი თამაში იყო, ფრე უფრო ლოგიკური იქნებოდაო, განაცხადა სტუმართა თავკაცმა ჟაკ სანტინიმ, მაგრამ მისდა სასიხარულოდ, მსაჯის მიერ წამატებულ დროში სწორმა შეცვლებმა გაუმართლა. დორასოს ნაცვლად მინდორზე შესულმა მალბრანკმა ლეგლის შემცვლელ დელმოტს გაატანინა გადამწყვეტი გოლი და „ლიონიც“ მეორე ადგილზე ეულად მოკალათდა, რაც ვერცხლის მედლების გარდა ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრის გარანტიაცაა.

ლიგის მესამე საგზურს, ალბათ, „ბორდო“ დაეუფლება, ოღონდ ჟირონდელებს საკვალიფიკაციო ეტაპის გავლაც მოუწევთ. ამ ტურში შარშანწინდელმა ჩემპიონმა რენში იმარჯვა. არადა, თავიდან მასპინძლებმა იძალეს და მე-10 წუთზე ლე რუმ ბურთი რამეს კარის ძელს მოარტყა. ამის მერეც რენელებს გოლის გატანის მეტი შანსი ჰქონდათ, მაგრამ... ტაიმის მიწურულს სტუმრები გააქტიურდნენ და ორი გოლიც მიითვალეს. მათმა პორტუგალიელმა ლეგიონერმა პაულეტამ, რომელიც ანდერსონთან ერთად ბომბარდირთა სიას უდგას სათავეში, ბერნარ ლამას ჯერ ბონისელის გამოზომილი პასით აჯობა, მერე კი დაახლოებით 25 მეტრიდან საჯარიმო გაუტანა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს და მეტოქეს სამი ქულა გაატანეს.

**გაგი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 32 | 19 | 5 | 8 | 53:35 | 62 |
| ლიონი | 32 | 15 | 13 | 4 | 48:27 | 58 |
| ბორდო | 32 | 15 | 11 | 6 | 46:29 | 56 |
| ლილი | 32 | 15 | 10 | 7 | 39:24 | 55 |
| სედანი | 32 | 13 | 9 | 10 | 44:38 | 48 |
| რენი | 32 | 13 | 6 | 13 | 42:35 | 45 |
| ტრუა | 31 | 11 | 10 | 10 | 42:44 | 43 |
| მონაკო | 32 | 12 | 6 | 14 | 52:48 | 42 |
| ბასტია | 32 | 12 | 6 | 14 | 39:38 | 42 |
| გენგამი | 32 | 11 | 9 | 12 | 37:45 | 42 |
| ოსერი | 32 | 11 | 8 | 13 | 31:39 | 41 |
| პარი სენ ჟერმენი | 32 | 11 | 7 | 14 | 40:42 | 40 |
| მეცი | 32 | 10 | 10 | 12 | 34:42 | 40 |
| ლანსი | 31 | 9 | 11 | 11 | 35:34 | 38 |
| მარსელი | 32 | 10 | 6 | 16 | 28:38 | 36 |
| ტულუზი | 32 | 7 | 10 | 15 | 31:44 | 31 |
| სენტ ეტიენი | 32 | 9 | 9 | 14 | 41:53 | 30 |
| სტრასბური | 32 | 7 | 8 | 17 | 27:54 | 29 |

## მეორე დივიზიონი

36-ე ტური: მონპელიე — კრეტეი 1:1; ანჟერი — ნიმი 3:0; კანი — ბოვე 0:1; შატორუ — აიაჩო 2:2; გენიონი — ნანსი 1:1; ლე ავრი — ლავალი 3:1; ლე მანი — კაენი 1:1; ლორიანი — ვასკეალი 2:0; მარტიგი — ნიორი 1:1; სოშო — ნიცა 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 36 | 19 | 12 | 5 | 61:25 | 69 |
| მონპელიე | 36 | 18 | 14 | 4 | 51:23 | 68 |
| ლორიანი | 35 | 19 | 10 | 6 | 52:31 | 67 |
| ნანსი | 36 | 15 | 10 | 11 | 46:30 | 55 |
| შატორუ | 34 | 13 | 14 | 7 | 48:32 | 53 |
| ნიორი | 35 | 13 | 14 | 8 | 54:41 | 53 |
| ლავალი | 36 | 15 | 8 | 13 | 38:38 | 53 |
| ლე ავრი | 35 | 13 | 13 | 9 | 46:39 | 52 |
| ნიმი | 35 | 13 | 11 | 11 | 48:48 | 50 |
| გენიონი | 36 | 11 | 12 | 13 | 38:47 | 45 |
| ბოვე | 35 | 10 | 13 | 12 | 35:39 | 43 |
| ლე მანი | 36 | 9 | 16 | 11 | 36:44 | 43 |
| აიაჩო | 36 | 11 | 9 | 16 | 30:39 | 42 |
| ნიცა | 36 | 12 | 6 | 18 | 37:54 | 42 |
| კრეტეი | 36 | 9 | 13 | 14 | 34:40 | 40 |
| კაენი | 34 | 9 | 10 | 15 | 32:49 | 37 |
| ვასკეალი | 35 | 8 | 12 | 15 | 30:38 | 36 |
| მარტიგი | 35 | 7 | 15 | 13 | 29:44 | 36 |
| კანი | 36 | 7 | 11 | 18 | 39:60 | 32 |
| ანჟერი | 35 | 6 | 11 | 18 | 32:55 | 29 |



რეინჯერსი — სელტიკი. ჰენრიკ ლარსონმა მატჩში მესამე, სეზონში 50-ე გოლი გაიტანა

# ბოლომდე კელტური

## შოტლანდია

XXXV ტური

**დანდი 0:2 ჰიბერნიანი**

0:1 ლიბრა (53), 0:2 ზიტელი (66)

დანდი: ლენგფილდი, დელ რიო, სმიტი, ტვიდი, ხიზანიშვილი, რომანო, რაე, ნემსაძე, გარიდო (რობერტსონი 59), კანიჯა, კაბალიერო

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: ხიზანიშვილი

6 659 მაყურებელი

**რეინჯერსი 0:3 სელტიკი**

0:1, 0:2 მორავჩიკი (61, 74), 0:3 ლარსონი (87)

რეინჯერსი: კლოსი, მური, კონტერმანი (თუგაი 65), ლ. ამორუზო (უილსონი 72), რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, ალბერტცი, ნუმანი, რ. უოლესი, ფლო, დოდსი (ფერნანდესი 73)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

სელტიკი: დუგლასი, მიალბი, ვეგა, ვალგაერენი, აგატი, ლენონი, ლამბერტი (ბოიდი 89), მორავჩიკი (მაკნამარა 86), ტომპსონი, ჯონსონი (მალონი 67), ლარსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ფერგიუსონი, მური, რიკსენი, ლენონი

50 057 მაყურებელი

**დანდი იუნაიტედი 1:0 მოზერუელი**

1:0 ბაჩანი (36)

**დანფერმლაინი 1:2 სენტ მირენი**

0:1 მაკგოუენი (31), 0:2 იერდლი (41), 1:2 ბულენი (90)

**სენტ ჯონსტონი 0:3 აბერდინი**

0:1, 0:2 მაკი (25, 45), 0:3 სტავრუმი (78)

**კილმარნოკი 1:1 ჰარტსი**

0:1 კირკი (50), 1:1 მაკგოუნი (53)

**საოცარი** რამაა სქოთთა ოთხწრიანი ჩემპიონატი თავისი გამორჩეული დერბით. აგერ ბატონო, მოიგო „სელტიკმა" ლიგის თასი, სამი კვირის წინ ჩემპიონობაც გაინაღდა, მალე ალბათ ქვეყნის თასსაც დაეუფლება, მაგრამ სეზონის მთლად უხინჯოდ დასამთავრებლად კვლავ ბრძოლა მოუხდა. ჰოდა, იბრძოლა და წლის რიგით მეოთხე დერბიში „რეინჯერსი" მისსავე ბუნაგში მიახრჩო.

არადა, „აიბროქსზე" კელტებს 1994 წლის მერე ვერ მოეგოთ. ვერც გუშინწინ მოიგებდნენ, პროტესტანტთა ინგლისელ თავდამსხმელ როდ უოლესს პირველ ტაიმში ოდნავ ზუსტად რომ ეთამაშა: მე-11 წუთზე მისი თავური დარტყმის შემდეგ ინგლისელმავე ალან ტომპსონმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, კიდევ 11 წუთში კი უოლესმა არტურ ნუმანის მარცხნიდან ჩაწოდებულს უთავა, ოღონდ ამ შემთხვევაში ბურთი ორიოდ სანტიმეტრით ასცდა კათოლიკეთა კარს.

ინგლისელის ნაცვლად მატჩის გმირად სლოვაკი იქცა. „ასე მგონია, ის ოდენ 25 წლისაა და კიდევ ათი სეზონი ითამაშებს ასეთ დონეზე" — თქვა ლუბომირ მორავჩიკზე „სელტიკის" მწვრთნელმა მარტინ ონილმა. სინამდვილეში სლოვაკი თავდამსხმელი ივნისში 36 წლისა გახდება, თუმცა ხანდაზმულობას არ უჩივის და ეს გუშინწინ გატანილი ორი გოლითაც დაამტკიცა: ჯერ 14 მეტრიდან დაამწუხრა შტეფან კლოსი, მერე კი უფრო ახლოდან, როცა ფერნანდო რიკსენი მოატყუა და რვა მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

ბოლოს, საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე, ნანატრი იუბილე ჰენრიკ ლარსონმაც გადაიხადა — შეცვლაზე შესული ჯეკი მაკნამარას პასის შემდეგ შვედმა კლოსიც გააცურა და მარცხენა მახვილი კუთხიდან ცაციათი სეზონში თავის 50-ე გოლი გაიტანა.

„ახლა შეიძლება ითქვას, რომ სეზონი მართლაც წარმატებულად გავასრულეთ. ეს დიდი დღე იყო" — თქვა ირლანდიელმა ონილმა, ვისაც თანამემამულე როი კინზეც დაეკითხნენ. საქმე ისაა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი „აიბროქსის" ტრიბუნებზე შენიშნეს და ამან ათასი ჭორი ააგორა. „როგორც ვიცი, როი აქამდეც დასწრებია გლაზგოურ დერბის, რომლის ატმოსფეროც სხვა ბევრსაც აღაფრთოვანებს. ისე, თუ „იუნაიტედის" მიტოვებას და ჩვენთან გადმოსვლას დააპირებს, უარზე ნამდვილად არ ვიქნები" — იხუმრა ონილმა. კინმა ამასწინათ მართლაც თქვა, „სელტიკში" გადავალ, ოღონდ ორი წლის მერეო.

წაგების მიუხედავად „რეინჯერსს" მეორე ადგილის დაკარგვის საშიშროება არ დამუქრებია — სასწაული უნდა მოხდეს, რომ დარჩენილ სამ ტურში მდევარმა „ჰიბერნიანმა" ცხრაქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრას. თუმცა ედინბურგელები ამას არ დაგიდევენ და ბოლო თამაშებს მთელი სერიოზულობით უდგებიან. კვირას დედაქალაქელები დანდის ესტუმრნენ და მეექვსე ადგილზე მყარად დაფუძნებული მასპინძლები 2:0 დაამარცხეს. ისევე როგორც წინა ტურში, ივანო ბონეტის გუნდი უპირატესობას ახლაც ფლობდა, მაგრამ გასული კვირის დარად, დანდელმა მცველებმა სტუმრებს ორი საჩუქარი მიუძღვნეს. „დანდიში" ავსტრალიელი მარკ რობერტსონის დებიუტი შედგა, ძირითადში კი მცირე ტრავმის შემდეგ კლაუდიო კანიჯა დაბრუნდა.

სიტყვამ მოიტანა და დანდელთა არგენტინელი თავდამსხმელი შოტლანდიის წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში მეორე ადგილზე გავიდა. პირველზე, ცხადზე უცხადესია, ჰენრიკ ლარსონი გავიდა, ვინც კანიჯაზე კი არა, მთელ მის გუნდზე მეტი გოლი გაიტანა (50 „დანდის" 47-ის წინააღმდეგ). საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელადაც სელტიკელი უცხოელი აღიარეს — ამჟამად ტრავმირებული ბულგარელი სტილიან პეტროვი.

**გიგა ქობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 35 | 30 | 4 | 1 | 85:24 | 94 |
| რეინჯერსი | 35 | 23 | 4 | 8 | 63:34 | 73 |
| ჰიბერნიანი | 35 | 18 | 11 | 6 | 55:26 | 65 |
| კილმარნოკი | 35 | 14 | 9 | 12 | 41:46 | 51 |
| ჰარტსი | 35 | 13 | 9 | 13 | 53:46 | 48 |
| დანდი | 35 | 11 | 8 | 16 | 47:46 | 41 |
| - - - | | | | | | |
| აბერდინი | 35 | 10 | 12 | 13 | 41:48 | 42 |
| დანფერმლაინი | 35 | 11 | 8 | 16 | 33:51 | 41 |
| მოზერუელი | 35 | 11 | 6 | 18 | 37:50 | 39 |
| სენტ ჯონსტონი | 35 | 9 | 11 | 15 | 36:51 | 38 |
| დანდი იუნ. | 35 | 6 | 8 | 21 | 32:60 | 26 |
| სენტ მირენი | 35 | 7 | 4 | 24 | 25:66 | 25 |

## ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატი ინგლისი 2001

UEFA UNDER-16 Championship

**B ჯგუფი**

III ტური

**რუსეთი 0:0 ჰოლანდია**

**თურქეთი 2:1 პოლონეთი**

საგოლო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

თურქეთი და რუსეთი გავიდნენ მეოთხედფინალში

**D ჯგუფი**

III ტური

**ფინეთი 0:5 საფრანგეთი**

**შოტლანდია 0:1 ხორვატია**

საგოლო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:0 | 9 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:3 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ფინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

საფრანგეთი და ხორვატია გავიდნენ მეოთხედფინალში

**მეოთხედფინალი**

**ინგლისი 1:1 (პენ. 5:3) გერმანია**

**ესპანეთი 1:1 (პენ. 4:3) იტალია**

თურქეთი — ხორვატია და საფრანგეთი — რუსეთი წუხელ გვიან გაიმართა

## დანია

26-ე ტური: ბრონდბიუ — მიდტიულანდი 1:4; აკადემისკი — ოდენსე 0:0; ჰადერსლევი — ოლბორგი 1:1; ჰერფიოლგე — ორჰუსი 1:2; ვიბორგი — ლიუნგბიუ 3:0; სილკებორგი — კოპენჰაგენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდტიულანდი | 26 | 13 | 8 | 5 | 45:34 | 47 |
| სილკებორგი | 26 | 12 | 11 | 3 | 39:28 | 47 |
| ბრონდბიუ | 26 | 13 | 6 | 7 | 59:34 | 45 |
| კოპენჰაგენი | 26 | 11 | 11 | 4 | 38:21 | 44 |
| ვიბორგი | 26 | 12 | 6 | 8 | 44:29 | 42 |
| ლიუნგბიუ | 26 | 11 | 5 | 10 | 35:44 | 38 |
| ოდენსე | 26 | 10 | 5 | 11 | 39:35 | 35 |
| ოლბორგი | 26 | 8 | 10 | 8 | 38:37 | 34 |
| ორჰუსი | 26 | 9 | 4 | 13 | 40:51 | 31 |
| აკადემისკი | 26 | 5 | 12 | 9 | 32:33 | 27 |
| ჰერფიოლგე | 26 | 5 | 8 | 13 | 30:49 | 23 |
| ჰადერსლევი | 26 | 1 | 6 | 19 | 25:69 | 9 |

REUTERS ფოტოზოგრაფი

# ავსა კაცსა ავი სიტყვა...

## სპარტაკი სპარტაკის წინააღმდეგ

## რუსეთი

VII ტური

**სატურნი 3:0 სპარტაკი**

1:0 კეჩინოვი (12), 2:0 სონნოვსკი (26), 3:0 კეჩინოვი (42)

**როსტსელმაში 0:1 ცსკა**

0:1 სემაკი (71)

**ტორპედო ზილ 3:2 როტორი**

0:1 ოლენიკოვი (4), 1:1 აჯინჯალი (73), 2:1 ლეონოვი (45), 2:2 პავლიუჩენკო (82), 3:2 გრიაზინი (87)

**ფაკელი 0:1 ჩერნომორეცი**

0:1 ბოლტრუშევიჩი (33პ.)

**დინამო 1:1 სოკოლი**

1:0 ბისტროვი (38), 1:1 ფედოტოვი (67)

**კრილია სოვეტოვი 1:0 ზენიტი**

1:0 კონოვალოვი (37)

**ტორპედო 1:1 ლოკომოტივი**

1:0 ლეონჩენკო (83), 1:1 ლოსკოვი (45)

**ალანია 2:1 ანჟი**

0:1 სირხაევი (53), 1:1 ტარლოვსკი (86), 2:1 ბექტაევი (87)

**ამას წინათ** რუსეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა, ოლეგ რომანცევმა თქვა: ტიხონოვმა, ბუშმანოვმა და კეჩინოვმა თავისი უკვე მოჭამეს და სანაკრებოდ აღარ გამოდგებიანო. მოგეხსენებათ, ტიხონოვი და ბუშმანოვი დღეს ლიდერ „კრილიას" ფეხბურთელები არიან, კეჩინოვი კი „სატურნისთვის" ილვწის. არადა, ცოტა ხნის წინ სამივე რომანცევის „სპარტაკის" მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ.

რომანცევის სიტყვებმა სამარაში ხომ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, კეჩინოვმა კი...

ბოლო ტურში „სატურნმა" რამენსკოეში 3:0 მოუგო „სპარტაკს". უკვე მე-12 წუთზე კეჩინოვმა პირველი გაიტანა და ცენტრისკენ მიბრუნებულმა „სპარტაკის" მწვრთნელებს ტაბლოსკენ მიუთითა. მეორე ასევე ყოფილმა „ხალხოსანმა" სონნოვსკიმ შეაგდო, ბოლოს კი მელიოშინის დაწყებული საქმე ისევ კეჩინოვის თავურით დამთავრდა. სხვათა შორის, თავის დროზე მელიოშინიც „სპარტაკში" თამაშობდა...

„ამ მატჩისთვის განსაკუთრებით ვემზადებოდით, ჩვენ ხომ რუსეთის საუკეთესო გუნდთან უნდა გვეთამაშა. მიუხედავად იმისა, რომ „სატურნში" ბევრი ყოფილი სპარტაკელი თამაშობს, არანაირი რევანშისტული განწყობა არ ყოფილა" — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა ვლადიმირ შევჩუკმა. რომანცევმა კი ისღა თქვა, ახლა ძნელი დროება გვიდგას, თუმცა „სატურნმა" დამსახურებულად მოგვიგოო.

ტიხონოვისა და ბუშმანოვის დიდი ძალისხმევით კი „კრილიამ" ლიდერთა მატჩში „ზენიტს" 1:0 მოუგო. გოლი კარიაკას პასით კონოვალოვმა გაიტანა.

სამარაში ა' ა ისეთი ამბებია, საფეხბურთო რუსეთს ვლადიკავკაზური ციებცხელების მერე რომ არ ახსოვს. 35 ათასიანი „მეტალურგის" მოძველებული სტადიონი ხალხის შემოსევას ველარ აუდის. შეიძლება ითქვას, მილიონნახევრიანი სამარა ფეხბურთით ცხოვრობს. ამ შაბათსაც, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ტელევიზია მატჩს პირდაპირ ეთერში გადასცემდა, მილიციას გვარიანი ძალისხმევა დასჭირდა, უბილეთოდ დარჩენილ ხალხს სტადიონზე რომ არ შეეღწია.

სამარელები წუხდნენ, ბრაზილიელი ანჯელო სამშობლოში წავიდა და კაცმა არ იცის, როდის დაბრუნდებაო. მაგრამ ანჯელო ნამდვილი პროფესიონალი გამოდგა. გამოფრენის წინ, სან პაულუში რუსეთის კონსულს უთქვამს, ვიზის პრობლემა გვაქვს და შესაძლოა, ერთი დღით შეყოვნდეო, მაგრამ ფეხბურთელს ბევრი უთხოვია, კლუბის პრეზიდენტს ამა და ამ დღეს ჩასვლას დავპირდი და სიტყვას ნუ გამატეხინებთო.

კონსულიც მიმდგარა, მომდგარა და კაცი სამარაში დროულად გაუშვია. ანჯელოს კი თანაგუნდელებისთვის უამრავი საჩუქარი ჩაუტანია.

და კიდევ, პარასკევს „კრილიასა" და „ზენიტის" პრეზიდენტები გერმან ტკაჩენკო და ვიტალი მუტკო ორ საათს ინტერნეტის On line-ის რეჟიმში ქომაგთა კითხვებს პასუხობდნენ. ასეთი რამ რუსულ ფეხბურთში ჯერ არ მომხდარა.

ახლა წარმოიდგინეთ რა ამბები იქნებოდა მატჩის შემდეგ სამარაში. თანაც შაბათი იყო და...

„კრილია" კი კვლავაც რჩება დედაქალაქური გუნდების რისხვად. რუსები ხომ პეტერბურგს თავის ჩრდილოეთის დედაქალაქს ეძახიან.

რამდენიმე თამაშის ვიდეოჩანაწერი გავარჩიეთ და ვფიქრობ, სწორი ტაქტიკა ავირჩიეთ. ასეთ გუნდებს სწრაფად უნდა ეთამაშო, თუმცა ცუდმა მინდორმა ცოტა ხელი შეგვიშალა" — თქვა სამარელთა მწვრთნელმა, ალექსანდრ ტარხანოვმა.

ვლადიკავკაზში კი „ალანიამ" კავკასიურ დერბიში „ანჟის" მოუგო. დამთავრებამდე სულ ოთხი წუთი რჩებოდა, „ანჟი" 1:0 იგებდა. აქ კი ბესთაევი აფეთქდა, ჯერ ტარლოვსკის გაატანინა, მერე თავად შეაგდო და დრამატული თამაშიც ამით დამთავრდა. ცნობისთვის: ალანიელ ქართველებს არ უთამაშიათ.

„ბოლო წუთებმა ლამის გამგიჟა. ჩვენ რომ ვირჯებოდით იმას თამაში არ ჰქვია. დაცვის შეცდომებმა მოგებული შეხვედრა წაგვაგებინა" — ბრაზობდა მახაჩყალელთა დამრიგებელი გაჯი გაჯიევი.

„ალანია" კი მინდორზე დროებითმა მწვრთნელმა, ალექსანდრ იანოვსკიმ გაიყვანა. ვალერი გაზაევმა ბოლო-ბოლო, მაინც უარი თქვა მშობლიური გუნდის გაწვრთნაზე. ის ვლადიკავკაზშია, მაგრამ თავისი საქმეები აქვსო.

მომავალ ტურში საინტერესო იქნება ვოლგისპირული დერბი — მეორე ადგილზე მდგომი დებიუტანტი „სოკოლი" ლიდერ „კრილიას" უმასპინძლებს. აბა, სეზონის წინ ამას ვინ წარმოიდგენდა...

**სოლომონ გულისაშვილი**



ვალერი კეჩინოვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია სოვეტოვი | 7 | 6 | 1 | 0 | 11:1 | 19 |
| სოკოლი | 7 | 5 | 2 | 0 | 9:4 | 17 |
| ზენიტი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:5 | 16 |
| სპარტაკი | 7 | 4 | 2 | 1 | 6:5 | 14 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 3 | 1 | 6:4 | 12 |
| სატურნი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:5 | 11 |
| ანჟი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:5 | 9 |
| ტორპედო | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | 9 |
| როტორი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:6 | 8 |
| ტორპედო ზილ | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| ცსკა | 7 | 2 | 1 | 4 | 5:8 | 7 |
| ჩერნომორეცი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:11 | 7 |
| ალანია | 7 | 2 | 0 | 5 | 3:9 | 6 |
| დინამო | 7 | 1 | 2 | 4 | 6:8 | 5 |
| ფაკელი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:9 | 4 |
| როსტსელმაში | 7 | 0 | 2 | 5 | 3:9 | 2 |

## ავსტრია

31-ე ტური: ადმირა — შტურმი 2:2; რიდი — ტიროლი 3:1; გრაცერი — ბრეგენცი 2:2; რაპიდი — ლინცერი 6:0; ზალცბურგი — აუსტრია 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 31 | 16 | 8 | 7 | 54:29 | 56 |
| რაპიდი | 31 | 14 | 10 | 7 | 57:34 | 52 |
| შტურმი | 31 | 14 | 6 | 11 | 52:38 | 48 |
| აუსტრია | 31 | 14 | 6 | 11 | 45:35 | 48 |
| გრაცერი | 31 | 12 | 9 | 10 | 43:36 | 45 |
| ზალცბურგი | 30 | 12 | 8 | 10 | 43:36 | 44 |
| რიდი | 31 | 12 | 7 | 12 | 45:44 | 43 |
| ლინცერი | 31 | 7 | 9 | 15 | 36:63 | 30 |
| ადმირა | 31 | 7 | 9 | 15 | 26:60 | 30 |
| ბრეგენცი | 30 | 7 | 6 | 17 | 35:61 | 27 |

## დღეს ჩემპიონთა თასი. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

# რეალი — ბაიერნი

მადრიდი, «სანტიაგო ბერნაბეუ». 23.45 ჩვენი დროით

### სავარაუდო შემადგენლობები

კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, ელგერა, მაკელელე, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, გუტი

კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, იერემისი, ტარნატი, შოლი, ეფენბერგი, ელბერი, იანკერი

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

# გერმანული რევანში
## უკან მანჩესტერი, წინ რეალი



REUTERS

გუშინ მიუნხენის „ბაიერნმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“, დღევანდელი ბრძოლის ველზე შედგა ფეხი

**დღეს** მადრიდში „რეალი“ „ბაიერნს“ მასპინძლობს. მეოთხედფინალში გერმანელებმა ერთ მტერზე უკვე იძიეს შური — „მანჩესტერ იუნაიტედს“ ორი წლის წინათ, ჩემპიონთა ლიგის დრამატულ ფინალში ჯობნა არ აპატიეს. ახლა „რეალთან“ გასწორების ჯერი დაუდგათ. შეგახსენებთ, შარშან ამავე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მიუნხენელებმა შავი დღე აყარეს „სამეფო კლუბს“ — შინ 4:1, ხოლო სტუმრად 4:2 მოუგეს, მაგრამ ნახევარფინალში ისევ მადრიდელებს გადაეყარნენ. იქ კი „რეალმა“ იძალა (2:0, 1:2) და ბოლოს თასიც მოიგო.

„შურისძიებაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია, რადგან ფეხბურთი მხოლოდ თამაშია. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. თუ მოვიგეთ, ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება — მოქმედი ჩემპიონის ძლევა ხომ ნებისმიერი გუნდის ავტორიტეტს აამაღლებს“ — ამბობს ბავარიელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

ცხადია, გერმანელებს ძალიან გაუჭირდებათ. „ბაიერნს“ დიდებული წარსული აქვს, „რეალს“ კი უფრო დიდი წარსულიც და აწმყოც. ამ სეზონში მადრიდული კლუბი თავის მეტოქეებზე თითქოს ერთი თავით მაღლა დგას. ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში მათ შვიდი საშინაო მატჩი ჩაატარეს და ყველა მოიგეს.

გასულ შაბათს მადრიდელებმა ესპანეთის პრიმერადივიზიონში აუტსაიდერ „ოსასუნასთან“ ფრედ 1:1 ითამაშეს, მაგრამ ეს უპირველესად იმაზე მიუნიშნებს, რომ ძალებს ზოგავენ გაცილებით მნიშვნელოვანი ბრძოლის წინ. ფერნანდო იეროსა და ივან ელგერას მინდორზე არყოფნაც, ალბათ, ამავე მიზეზით უნდა ავხსნათ.

სტივ მაკმანამანი „ოსასუნასთან“ მსუბუქად დაშავდა, მაგრამ, ჩანს, ეს მას დღევანდელ მატჩში ხელს არ შეუშლის. ინგლისელი მინდორზე პირველივე წუთიდან გავა და ნახევარდაცვაში ლუიშ ფიგუსა და კლოდ მაკელელეს მხარდამხარ ილვაწებს. ამ უკანასკნელს კი, ალბათ, მიუნხენელთა მრისხანე კაპიტნის, შტეფან ეფენბერგის გაუვნებლება მოუწევს.

წინა ხაზზე მადრიდელებს გუტი ეყოლებათ, რადგან ფერნანდო მორიენტესი დაშავებულია. სამაგიეროდ, „სამეფო კლუბის“ უპირველესი ფორვარდი რაული ჩინებულ ფორმაშია და მწვრთნელს თავდასხმის თაობაზე, ალბათ, სანერვიულო არაფერი აქვს. შეგახსენებთ, რომ რაული 7 გოლით წლევანდელი ლიგის ჯერჯერობით საუკეთესო ბომბარდირია.



AP

ოტმარ ჰიცფელდი

„ორი დიდი გუნდის მატჩს დიდი ინტერესით ველი — ამბობს „რეალის“ მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე — გერმანელები თავს შესანიშნავად იცავენ და ისეთი სწრაფი ფეხბურთელებიც საკმაოდ ჰყავთ, ელვისებური კონტრდარტყმების შესრულება რომ ხელეწიფებათ. „ბაიერნი“ ძალიან სახიფათო მოწინააღმდეგეა. ვფიქრობ, ორივე გუნდი ძალებს ბოლომდე დახარჯავს და მაყურებელს ღირსეულ ფეხბურთს უჩვენებს“.

„ბაიერნი“ მადრიდში არცთუ ცუდი განწყობით ჩადის. ამ შაბათს ბუნდესლიგაში მიუნხენელებმა „ფრაიბურგი“ დაამარცხეს (1:0) და ახლა ლიდერ „შალკეს“ მხოლოდ ბურთების უარესი მაჩვენებლით ჩამორჩებიან. ასე რომ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრძელდება. თუმცა ოტმარ ჰიცფელდი ყველაფერს სალად აფასებს: „ისეთი თამაშით, შაბათს რომ ვაჩვენეთ, შეიძლება „ფრაიბურგს“ მოუგო, მაგრამ არა „რეალს“. ფეხბურთელებს ეს ძალიან კარგად ესმით და ამიტომ დამატებით შეგულიანება აღარ სჭირდებათ. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ერთი გოლი მაინც გავიტანოთ მადრიდში. „რეალს“ დაცვაში გარკვეული პრობლემები აქვს და ყველაფერს ვიღონებთ ამ ნაკლის ჩვენს სასარგებლოდ გამოსაყენებლად“.

ახლა „ბაიერნის“ მოთამაშეებზეც ვთქვათ. ნახევარმცველი იენს იერემისი თითქმის გამოჯანმრთელდა და დღეს თავიდანვე ძირითადში იქნება. ფორმა აღიდგინა ბრაზილიელმა შემტევმა ელბერმაც, რომელმაც ცხრა დღის წინ მუხლის მსუბუქი ოპერაცია გაიკეთა. მწვრთნელებმა ის „ფრაიბურგთანაც“ ათამაშეს. ელბერი ბევრს დარბოდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა.

საერთოდ კი, „რეალი“ და „ბაიერნი“ ერთმანეთს ათჯერ შეხვედრიან. ეს ტურნირი ყოველთვის ჩემპიონთა თასი (ლიგა) გახლდათ, თანაც მეოთხედ ან ნახევარფინალი. ესეც მათი კლასისა და ავტორიტეტის კიდევ ერთი დასტური. 1976-ში „ბაიერნი“ გასცდა „რეალს“ და თასი აიღო, შარშან პირიქით მოხდა. წლეულს რაღა იქნება...

**სოლომონ გულისაშვილი**

## ურთიერთშეხვედრები
### ჩემპიონთა თასზე და ჩემპიონთა ლიგაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 31.03.76 | ჩთ | რეალი — ბაიერნი | 1:1 |
| 14.04.76 | ჩთ | ბაიერნი — რეალი | 2:0 |
| 08.04.87 | ჩთ | ბაიერნი — რეალი | 4:1 |
| 22.04.87 | ჩთ | რეალი — ბაიერნი | 1:0 |
| 02.03.88 | ჩთ | ბაიერნი — რეალი | 3:2 |
| 16.03.88 | ჩთ | რეალი — ბაიერნი | 2:0 |
| 29.02.00 | ჩლ | რეალი — ბაიერნი | 2:4 |
| 08.03.00 | ჩლ | ბაიერნი — რეალი | 4:1 |
| 03.05.00 | ჩლ | რეალი — ბაიერნი | 2:0 |
| 09.05.00 | ჩლ | ბაიერნი — რეალი | 2:1 |

## ბელგია

XXXI ტური

**ლიერსი 1:2 ლუვიე**

0:1 სიმუნჯა (45), 1:1 იანსენსი (58), 1:2 ბოულინქსი (90)

ლიერსი: დემანი, სმეეტსი, ბოდკენსი, ვან მეირი, ბოორტერსი, ლეენი, სნოექსი, კლაესი (ვერლინდენი 46), კავენსი, ჰიუსგემსი, ვან დოორენი (იანსენსი 32)

მწვრთნელი: ვალტერ მეესი

6 000 მაყურებელი

**ბევერენი 1:0 აალსტი**

1:0 ვან რუმსტი (65)

აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, არტსი, დე საედელერი (დე კეისერი 59), კესტენსი (აელბრეხტი 76), ფილიპოვიჩი, ტემერმანი, ვან დენ ბოში, დე ვილდე, ტიბო, მრაველიევიჩი

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

6 500 მაყურებელი

**ანტვერპენი 0:1 ბრიუგე**

0:1 მარტენსი (87)

**ჰარელბეკე 0:1 მუსკრონი**

0:1 მიტროვიჩი (75)

**გენკი 2:2 სტანდარდი**

0:1 აარსტი (4), 0:2 ლუკუნკუ (5), 1:2 დი გრეგორიო (29), 2:2 სონკი (75)

**ანდერლეხტი 7:0 ბეერსხოტი**

1:0 რაძინსკი (31პ), 2:0 არუნა (41), 3:0 გოორი (45), 4:0 კრასონი (58), 5:0 სტოიკა (63), 6:0 გოორი (78), 7:0 რაძინსკი (90პ)

**შარლერუა 4:2 მეხელენი**

1:0, 2:0 როხასი (45, 49), 3:0, 4:0 დიასი (50, 75), 4:1 ვან დე ვენი (82), 4:2 ელიასი (90)

**ვესტერლო 4:6 სენტ ტრუიდენი**

1:0 ვანდენბერგი (15), 1:1 შოკერტი (26), 2:1 ვანდენბერგი (37), 3:1 პელიჩი (39), 3:2 ბოფინი (46პ), 3:3 მბონაბუკია (49), 4:3 ვანდენბერგი (64), 4:4 ვან ოკელენი (67), 4:5, 4:6 ბოფინი (80, 86პ)

**გენტი 3:2 ლოკერენი**

0:1, 0:2 ბანგურა (15, 21), 1:2 ბორკელმანსი (42პ), 2:2 ბრუკერტი (85), 3:2 ოლკესე (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 31 | 22 | 8 | 1 | 81:24 | 74 |
| ბრიუგე | 31 | 21 | 9 | 1 | 75:23 | 72 |
| სტანდარდი | 31 | 15 | 11 | 5 | 69:38 | 56 |
| გენტი | 31 | 15 | 8 | 8 | 54:45 | 53 |
| ბეერსხოტი | 31 | 16 | 3 | 12 | 55:47 | 51 |
| მუსკრონი | 31 | 14 | 7 | 10 | 58:45 | 49 |
| ლოკერენი | 31 | 13 | 9 | 9 | 47:40 | 48 |
| ვესტერლო | 31 | 13 | 8 | 10 | 56:51 | 47 |
| შარლერუა | 31 | 13 | 5 | 13 | 49:53 | 44 |
| ლიერსი | 31 | 12 | 6 | 13 | 43:42 | 42 |
| გენკი | 31 | 10 | 9 | 12 | 42:43 | 39 |
| ანტვერპენი | 31 | 10 | 5 | 16 | 34:44 | 35 |
| ბევერენი | 31 | 9 | 8 | 14 | 27:54 | 35 |
| სენტ ტრუიდენი | 31 | 7 | 7 | 17 | 35:52 | 28 |
| ლუვიე | 31 | 5 | 11 | 15 | 27:50 | 26 |
| აალსტი | 31 | 6 | 7 | 18 | 28:60 | 25 |
| ჰარელბეკე | 31 | 7 | 4 | 20 | 33:73 | 25 |
| მეხელენი | 31 | 4 | 9 | 18 | 38:67 | 21 |

## პორტუგალია

XXX ტური

**მარიტიმუ 3:0 კამპომაიორენსე**

1:0, 2:0 ფერაზი (29, 46), 3:0 სუმუდიცა (59)

**ფარენსე 2:4 ფერეირა**

1:0 დიურდიევიჩი (16), 1:1 დიასი (51), 1:2 მანუელი (62), 1:3, 1:4 დიასი (70, 77), 2:4 ნადერი (90)

**ჟილ ვისენტე 0:0 ამადორა**

**სალგეიროში 1:4 ლეირია**

1:0 ფერეირა (6), 1:1, 1:2 დუა (22, 28), 1:3 დერლეი სილვა (69), 1:4 ვუზელა (88)

**ავეში 2:3 ბეირა მარი**

1:0 ნოვაიში (26პ), 1:1 როლო (73), 2:1 კლაუდიუ (80), 2:2, 2:3 რიკარდუ სოუზა (88,90)

**პორტუ 3:2 ბრაგა**

1:0 კლეიტონი (3), 1:1 ლუჩენა (10), 2:1 ნუნუ კაპუშუ (12), 2:2 ზე რობერტუ (60), 3:2 პენა (90)

**სპორტინგი 3:0 ბენფიკა**

1:0 აკოსტა (2), 2:0 ბარბოსა (21), 3:0 ბეტუ სევერუ (58)

**ალვერკა 1:2 ბოავიშტა**

0:1 ვენტურა (20), 0:2 ელპიდიუ სილვა (41), 1:2 მანტორაში (69)

**გიმარაეში 1:1 ბელენენსეში**

0:1 ტუკი (12პ), 1:1 სიონი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 30 | 20 | 8 | 2 | 53:17 | 68 |
| პორტუ | 30 | 20 | 4 | 6 | 60:25 | 64 |
| სპორტინგი | 30 | 18 | 4 | 8 | 53:32 | 58 |
| ბრაგა | 30 | 15 | 9 | 6 | 53:38 | 54 |
| ბენფიკა | 30 | 15 | 7 | 8 | 49:34 | 52 |
| ლეირია | 30 | 13 | 10 | 7 | 39:34 | 49 |
| ბელენენსეში | 30 | 13 | 9 | 8 | 38:30 | 48 |
| ბეირა მარი | 30 | 13 | 6 | 11 | 39:42 | 45 |
| ფერეირა | 30 | 11 | 11 | 8 | 41:32 | 44 |
| სალგეიროში | 30 | 12 | 3 | 15 | 36:47 | 39 |
| მარიტიმუ | 30 | 10 | 7 | 13 | 30:33 | 37 |
| ალვერკა | 30 | 10 | 6 | 14 | 39:46 | 36 |
| ფარენსე | 30 | 9 | 9 | 12 | 34:42 | 36 |
| ჟილ ვისენტე | 30 | 7 | 7 | 16 | 25:37 | 28 |
| გიმარაეში | 30 | 6 | 9 | 15 | 36:48 | 27 |
| კამპომაიორენსე | 30 | 5 | 11 | 14 | 26:53 | 26 |
| ავეში | 30 | 3 | 8 | 19 | 23:58 | 17 |
| ამადორა | 30 | 3 | 6 | 21 | 22:48 | 15 |

## ჰოლანდია

XXX ტური

**აიაქსი 1:0 ბრედა**

1:0 კრუზი (79)

აიაქსი: გრიმი, ვერკლაუ (კრუზი 46), პასანენი, დე კლერი, გალაშეკი, ვიჩგე, იაკუბუ, ვან დერ გუნი (იკედია 67), ვან დერ მეიდე (ვან დერ ვაარტი 56), შ. არველაძე, ვამბერტო

მწვრთნელი: კო ადრიანსე

32 800 მაყურებელი

**ტილბურგი 1:1 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ჰოფლანდი (25), 1:1 კალუვე (33)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ფაბერი, ადო (კოლკა 80), ჰოფლანდი, ვან ბომელი, კეჟმანი, რამზი, რომედალი, ბუმა, ბრუგინკი (დე იონგი 87), ვან ნისტელროოი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

14 675 მაყურებელი

**როზენდალი 1:2 უტრეხტი**

0:1 ვან მოლი (30), 0:2 გლუშჩევიჩი (48), 1:2 კასი (54)

**ნაიმეგენი 5:1 ვალვაიკი**

1:0 დ. ჰესპი (36), 2:0 შულპი (42), 2:1 რედანი (55), 3:1 დ. ჰესპი (56), 4:1 ზონეველდი (88), 5:1 ლატუპერუ (90)

**როდა 1:0 ფეიენოორდი**

1:0 ვრედე (62)

**ტვენტე 1:0 ალკმარი**

1:0 ზიომერი (64)

**სიტარდი 1:1 გრონინგენი**

0:1 იანსენი (58), 1:1 ვოლმერი (85)

**ვიტესი 2:1 გრააფსხაპი**

1:0 ამოა (16), 1:1 ვან დენ ბრომი (66), 2:1 ბ. პეეტერსი (73)

**სპარტა 1:3 ჰერენვენი**

0:1 ოლბოკი (38), 1:1 ელხატაბი (40პ), 1:2 რუდგე (42ს.კ.), 1:3 ოლბოკი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 30 | 21 | 8 | 1 | 61:18 | 71 |
| ფეიენოორდი | 30 | 19 | 2 | 9 | 58:29 | 59 |
| როდა | 30 | 16 | 7 | 7 | 52:33 | 55 |
| აიაქსი | 29 | 16 | 6 | 7 | 71:33 | 54 |
| ვიტესი | 29 | 14 | 8 | 7 | 48:39 | 50 |
| ვალვაიკი | 30 | 13 | 10 | 7 | 40:31 | 49 |
| უტრეხტი | 29 | 14 | 6 | 9 | 45:40 | 48 |
| ჰერენვენი | 29 | 11 | 11 | 7 | 47:34 | 44 |
| ტილბურგი | 30 | 11 | 9 | 10 | 50:44 | 42 |
| ნაიმეგენი | 30 | 9 | 13 | 8 | 38:41 | 40 |
| ბრედა | 29 | 11 | 7 | 11 | 36:39 | 40 |
| ტვენტე | 29 | 8 | 9 | 12 | 39:55 | 33 |
| გრონინგენი | 30 | 8 | 8 | 14 | 34:44 | 32 |
| ალკმარი | 30 | 8 | 7 | 15 | 37:53 | 31 |
| გრააფსხაპი | 30 | 8 | 3 | 19 | 39:60 | 27 |
| სიტარდი | 30 | 6 | 7 | 17 | 24:56 | 25 |
| სპარტა | 30 | 6 | 5 | 19 | 39:64 | 23 |
| როზენდალი | 30 | 4 | 2 | 24 | 35:80 | 14 |

## შვეიცარია

მეორე ეტაპი

**A ჯგუფი**

IX ტური

**ციურიხი 0:1 სენტ გალენი**

0:1 ხაირო (90)

ციურიხი: პასკოლო, ჟენრუ, შელინგა, ფიშერი, კვენტინი, პალსი, ჯამარაული, ჩინაბი, ბიულმანი, დუგლასი (აკალე 67), ჩაველაშვილი

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

7 300 მაყურებელი

**ლოზანა 1:3 გრასჰოპერი**

0:1, 0:2, 0:3 შაპუიზა (9, 14, 48), 1:3 კარლენი (55)

**ლუგანო 1:1 სერვეტი**

0:1 ორუმა (73), 1:1 ბასტიდა (82)

**სიონი 0:1 ბაზელი**

0:1 შ. იაკინი (40)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:15 | 36 |
| გრასჰოპერი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:8 | 35 |
| ლუგანო | 9 | 3 | 3 | 3 | 15:13 | 33 |
| ბაზელი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 30 |
| სერვეტი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:13 | 28 |
| ციურიხი | 9 | 3 | 3 | 3 | 7:6 | 28 |
| ლოზანა | 9 | 2 | 2 | 5 | 9:21 | 26 |
| სიონი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:12 | 25 |

მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია

**A/B ჯგუფი**

IX ტური

**ვილი 2:3 არაუ**

1:0, 2:0 სავუ (19, 27), 2:1 პერეირა (54), 2:2 პრევიტალი (75), 2:3 ბაუდრი (78)

არაუ: ბენიტო, ბადერი, ბაუდრი, პეგი (ხომერიკი 46), პრევიტალი, სკრჟიპჩაკი, ეგიმენი, ვიდერკერი (კოლბრუნერი 46), გრეკო (ბალდასარი 46), პერეირა, პავლიჩევიჩი

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

690 მაყურებელი

ვინტერტური — ქსამაქსი 1:2; ლუცერნი — ივერდონი 4:3; იანგ ბოიზი — ბელინცონა 1:0

**B ჯგუფი**

IX ტური

კრიენსი — ვადუცი 2:4; ტუნი — კრიენსი 1:3; ლოკარნო — დელემონი 0:2; ბადენი — სოლოტურნი 2:2

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | ბრედფორდი-ლივერპული | 5,6 | 3,6 | 1,45 |
| 24.00 | 002 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 003 | ჯილინგემი-უოტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.45 | 004 | უიმბლდონი-ჰადერსფილდი | 1,9 | 3,4 | 3,3 |
| 23.45 | 005 | ვულვერჰემპტონი-ბოლტონი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 006 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 007 | პრესტონი-ბლექბერნი | 2,7 | 3,2 | 2,3 |

**ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 008 | ოქსფორდი-პორტვეილი | 2,4 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 009 | სუონსი-ბრენტფორდი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 010 | კემბრიჯი-კოლჩესტერი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 011 | როვერსი-უიკომბი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 012 | ბრენტფორდი-ლუთონი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.45 | 013 | ნოთსი-კოლჩესტერი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.45 | 014 | პორტვეილი-უოლსოლი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

**ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 015 | როჩდეილი-პლიმუთი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 016 | ბრაიტონი-ჩესტერფილდი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 23.45 | 017 | მენსფილდი-დარლინგტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 018 | საუთენდი-ჰალი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 019 | შრიუსბერი-იორკი | 1,95 | 3,3 | 3,3 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 020 | ლინკოლნი-კარლაილი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 021 | ჰალიფაქსი-ბრაიტონი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.45 | 022 | საუთენდი-მენსფილდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**იტალია. სერია "ბ". გადადებული მატჩი**

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 023 | ტრევიზო-ემპოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**ჰოლანდია. 1-ლი დივიზიონი. გადადებული მატჩები**

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 024 | ჰერენვენი-უტრეხტი | 1,95 | 3,2 | 3,3 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 025 | ვალვაიკი-აიაქსი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 026 | კამბური-იგლსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**პოლონეთი. 23-ე ტური**

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 027 | გროცლინი-გურნიკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 028 | ვიძევი-ამიცა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 029 | რაძიონკოვი-პოგონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 030 | ზაგლებე-ოდრა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 031 | ვისლა-სტომილი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 032 | რუხი-შლიონსკი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.30 | 033 | პლოცკი-კატოვიცე | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 21.00 | 034 | ლეგია-პოლონია | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**ავსტრია. 32-ე ტური**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 035 | აუსტრია-რიდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.30 | 036 | ტიროლი-გრაცერი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 21.30 | 037 | ბრეგენცი-რაპიდი | 3,4 | 3,1 | 2,0 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 038 | ლინცერი-ადმირა | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 22.00 | 039 | შტურმი-ზალცბურგი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**შვეიცარია. "ა/ბ" ჯგუფი. გადადებული მატჩები**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 040 | ვინტერტური-ვილი | 1.6 | 3,4 | 5,0 |
| 22.30 | 041 | იანგ ბოიზი-ლუცერნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 042 | ქსამაქსი-ბელინცონა | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. გადადებული მატჩები**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 043 | ტუნი-ლოკარნო | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 044 | კრინსი-დელემონი | 2,3 | 3,1 | 2.8 |

**შვედეთი. მე-4 ტური**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 045 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 046 | მალმიო-ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**ნორვეგია. მე-4 ტური**

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 047 | ბრინი-ვიკინგი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 22.00 | 048 | ლინი-ბოდო გლიმტი | 2,0 | 3,4 | 3,1 |
| 22.00 | 049 | მოსი-რუსენბორგი | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 22.00 | 050 | ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 22.00 | 051 | სოგნდალი-სტაბეკი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 22.00 | 052 | სტრომგოდსეტი-ბრანი | 2,9 | 3,4 | 2,1 |
| 22.00 | 053 | ტრომსიო-მოლდე | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**ფინეთი. მე-3 ტური**

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 054 | ატლანტისი-ჰაკა | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 20.30 | 055 | კუოპიო-იოკერიტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 20.30 | 056 | ლაჰტი-ინტერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.30 | 057 | მიუპა-როვანიემი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.30 | 058 | ტამპერე-ჯაზი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 20.30 | 059 | ვაასა-ჰიკ | 3,3 | 3,3 | 1,95 |

**ჩეხეთი. თასის 1/2 ფინალი**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 060 | სლავია-ჟიჟკოვი | 1,65 | 3,5 | 4,0 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 061 | სპარტა-ბლშანი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**შვეიცარია. თასის 1/2 ფინალი**

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 062 | ლოზანა-ივერდონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.15 | 063 | სერვეტი-სენტ გალენი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დანია. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები**

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 064 | აკადემისკი-ვიბორგი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 065 | მიდტიულანდი-სილკებორგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**შვედეთი. თასის 1/4 ფინალი**

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 066 | იორგრიტე-ელფსბორგი | 1,85 | 3.2 | 3,6 |
| 22.00 | 067 | აიკ-ტრელებორგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩები**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | რეალი-ბაიერნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 502 | ლიდსი-ვალენსია | 1,95 | 3,0 | 3,6 |

**ლიბერტადორესის თასი**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.00 | 503 | ემელეკი-სპორტინგ კრისტალი | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 03.00 | 504 | კრუზეირო-ოლიმპია | 1,5 | 3,5 | 5,3 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 505 | ტაჩირა-ამერიკა | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 04.00 | 506 | პენიაროლი-ვასკუ და გამა | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 05.10 | 507 | დეპორტივო-ბოკა ხუნიორსი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 05.10 | 508 | ორიენტე-კობრელოა | 3,2 | 1,8 | 1,8 |
| 05.40 | 509 | უნივერსიდადი-სპორტ ბოიზი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 05.40 | 510 | პალმეირასი-სერო პორტენო | 1,5 | 3,4 | 6,5 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 511 | კონსეპსიონი-უილსტერმენი | 1,9 | 3,4 | 3,3 |
| 04.00 | 512 | სან ლორენსო-ნასიონალი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 06.10 | 513 | გუარანი-რივერ პლეიტი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 06.10 | 514 | სტრონგესტი-ელ ნასიონალი | 2,8 | 1,8 | 2,0 |

**ჩემპიონთა ლიგა. I ტაიმი/ძირითადი დრო**

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 მაისი | | | | | | | | |
| 601 | რეალი-ბაიერნი | 2,6 | 12,0 | 25,0 | 4,0 | 5,0 | 7,5 | 18,0 | 10,0 | 7,5 |
| | | 2 მაისი | | | | | | | | |
| 602 | ლიდსი-ვალენსია | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 18,0 | 10,0 | 5,6 |

**ჩემპიონთა ლიგა. ფინალში გასვლა**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 701 | რეალი | 1,5 | ბაიერნი | 2,0 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 702 | ლიდსი | 1,75 | ვალენსია | 1,65 |

**თასის აღება**

1 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.45 | 751 | რეალი | 2,5 |
| 23.45 | 752 | ბაიერნი | 3,5 |
| 23.45 | 753 | ლიდსი | 3,5 |
| 23.45 | 754 | ვალენსია | 4,0 |

**კალათბურთი. 1/8 ფინალი**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ორლანდო-მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1.8 |
| 05.30 | 802 | დალასი-იუტა | 1.6 | 12,0 | 1,8 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 803 | ტორონტო-ნიუ იორკი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 06.00 | 804 | ინდიანა-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.30 | 805 | ფინიქსი-სან ანტონიო | 1,55 | 12,0 | 1,9 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.30 | 806 | იუტა-დალასი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა. ფინალი. III და IV მატჩი**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 807 | ტაუ-კინდერი | 1,55 | 12,0 | 1,9 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 808 | ტაუ-კინდერი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. 1/4 ფინალი**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4.0 | 2,3 |
| 04.00 | 902 | სენტ ლუისი-დალასი | 1,75 | 4,0 | 2,6 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 903 | პიტსბურგი-ბუფალო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 07.00 | 904 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1,0 | 1,0 | 1.0 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 905 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,0 | 1,0 | 1.0 |
| 04.30 | 906 | სენტ ლუისი-დალასი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანიაში)**

1 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 907 | შვედეთი-უკრაინა | 1,1 | 9,0 | 9,0 |
| 23.00 | 908 | იტალია-ნორვეგია | 1,75 | 4,7 | 2.3 |
| 23.00 | 909 | ჩეხეთი-შვეიცარია | 1,25 | 4,0 | 6.0 |

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.15 | 910 | გერმანია-ბელარუსი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 19.00 | 911 | უკრაინა-ლატვია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.00 | 912 | იაპონია-ავსტრია | 4,0 | 5,3 | 1.3 |
| 23.00 | 913 | კანადა-რუსეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 914 | შვედეთი-აშშ | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 915 | ფინეთი-სლოვაკეთი | 1,4 | 4,2 | 3,8 |

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩემპიონი**

2 მაისი

| | | |
|---|---|---|
| 951 | ფინეთი | -3,0 |
| 952 | ჩეხეთი | -3,0 |
| 953 | შვედეთი | -3,0 |
| 954 | კანადა | -3,5 |
| 955 | რუსეთი | -5,0 |
| 956 | აშშ | -10,0 |
| 957 | სლოვაკეთი | -15,0 |
| 958 | ლატვია | -30,0 |
| 959 | შვეიცარია | -75,0 |
| 960 | გერმანია | -30,0 |
| 961 | ბელარუსი | -100,0 |
| 962 | ავსტრია | -200,0 |
| 963 | უკრაინა | -200,0 |
| 964 | ნორვეგია | -300,0 |
| 965 | იტალია | -500,0 |
| 966 | იაპონია | -1000,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ევროპის ჩემპიონატი (ტრენჩინი, სლოვაკეთი)

# ასანიძემ ტრენჩინში იბატონა

## ქართველი ძალოსანი უკვე ათენისთვის ზრუნავს




გიორგი ასანიძე სიმძიმეზე შეტევის წინ

სიდნეის ოლიმპიადის ქართული ბრინჯაოს ლეგიონი ევროპის კონტინენტზე წარმატებით მიიწევს. ელდარ კურტანიძის საჭიდაო ოქროს შაბათს გიორგი ასანიძის საძალოსნო ტიტული შეემატა. ეს მოხდა სლოვაკურ ტრენჩინში, ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე.

ჩემპიონატი ეფექტურად დაიწყო, თურქი ჰალილ მუთლუს მსოფლიოს რეკორდით ვაჟთა 56 კილოგრამამდე წონაში (იხილეთ პარასკევის „სარბიელი"), მერე კი ნელნელა ტანმძიმე ათლეტებიც შეუდგნენ საქმის კეთებას. გამოირჩეოდნენ რუსები, ძალოსნობის კლასიკოსი ბულგარელები კი ნაკლებად, რაზეც უეჭველად სიდნეის ოლიმპიადაზე მათ თავს დამტყდარმა სადოპინგო სკანდალმა იმოქმედა. მაშინ სამხრეთელმა სლავებმა რჩეული კადრები დაკარგეს. დისკვალიფიკაცია ერგოთ გალაბინ ბოევსკის, ივან ივანოვსა და სხვებს, ხოლო ერთი ბულგარელი, ნიკოლაი პეშალოვი ტრენჩინში პირველი კი იყო, მაგრამ ხორვატიის სახელით. მოკლედ, ბულგარელები სლოვაკეთში ჩავარდნენ, რუსებმა იმარჯვეს. 27 აპრილს 77 კილოგრამამდე წონაში 25 წლის ოლეგ პერეპეჩენოვმა სარეკორდო დუბლი გააკეთა აკვრასა და ჯამში (210 და 375 კილოგრამი), ცალკე ქალები გადაირივნენ: ხუთშაბათს ვალენტინა პოპოვამ და პარასკევს ალბინა ხომიჩმა მდევრები არ გაიკარეს, მათ შორის შუალედებში კი ხანდახან პოლონელი, თურქი, აზერბაიჯანელი და სხვა ძალოსნებიც ახერხებდნენ რაღაცას.

გიორგი ასანიძის დღე შაბათი იყო. საჩხერელი ძალოსანი ფიცარნაგზე ავიდა და თავიდანვე ცხადი გახდა, რომ 85 კილოგრამამდე წონაში ბატონი იყო. აკვრა ასანიძემ დამაჯერებლად მოიგო, მხოლოდ ბულგარელი გეორგი გარდევი ჩამორჩა 2,5 კილოგრამით, თორემ სხვები ძლიერ დაჩაგრა. ატაცში ასანიძემ გარდევს 5 კილო მოუგო და წერტილი დასვა. მისი ჯამური შედეგი 380 კილოგრამი იყო, გარდევისა 372,5, მესამე ადგილზე კი აკვრაში სამარცხვინოდ და ატაცში რიგიანად გამოსული რუსი სერგეი ჟუკოვი გავიდა 367,5 კილოთი.

ათენის ოლიმპიადის ოქროს მედალი ალბათ ცოტათი მოგვიახლოვდა.

**დავით გულუა**

ჭადრაკი

ევროპის ქალთა ჩემპიონატი (ვარშავა)

# გონსმოსული პრეტენდენტი

**ვარშავაში**, ევროპელ ქალთა მეორე ჩემპიონატზე, უხეირო სტარტი ჰქონდა ალისა გალიამოვა-ივანჩუკს. მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილმა პრეტენდენტმა ყაიმები შეითვისა, წაგების გემოც გაიგო და 5 ტურის შემდეგ მთლად ცხრილის შუაში არა, მაგრამ არც ბევრად წინ იყო. გალიამოვა მეექვსე ტურიდან გამოცოცხლდა, სადაც იგი თეთრებით შეხვდა ანა მათნაძეს და მოუგო. მათნაძეს უკვე მომდევნო ტურში აინაზღაურა დანაკარგი, მოიგო და ახლა 51-ე ადგილზე იმყოფება, ხოლო გალიამოვამ იმ ტურში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა და მოწინავე ჯგუფს ნახევარ ქულამდე დაუახლოვდა. თუ თავის თამაშს იპოვის, რუსი უეჭველი ფავორიტია, რასაც მისი პირველ ნომრად განთესვა ადასტურებს. ბოლო ორ ტურში აგრესიულად ითამაშა ევროპის უკრაინელმა ჩემპიონმა ნატალია ჟუკოვამაც, ოღონდ გადაამლაშა და თითო მოიგო და წააგო, ამიტომ ახლა გალიამოვას ჩამორჩება, ხოლო მესამე ფავორიტი, რუსი ეკატერინა კოვალევსკაია სტაბილურად მიჰყვება საქმეს, ორ ტურში ქულანახევარი დააგროვა და 7 ტურის შემდეგ 5,5 ქულით რვა მოწინავეშა.

იქვეა ქეთევან არახამია-გრანტიც. ქართველი მე-6 ტურში შავებით ეთამაშა იუგოსლაველ ნატაშა ბოიკოვიჩს და დაუზავდა. მერე არახამიამ თეთრები გააწყო მოლდოველი ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიეს წინააღმდეგ და აქაც ყაიმი გამოვიდა. არახამიას გარდა სატურნირო ცხრილში რიგიან ადგილებზე არიან ნინო ხურციძე, სოფო ტერელაძე და ანა მათნაძე. ფინიშამდე 4 ტურია.

**დავით გულუა**

გოლფი

# სამოთხის კარი გაიღო...

**თითქოს** თბილისში არც ხარ. სიმწვანე, სიმშვიდე, გაღიმებული სახეები, ცოცხალი მუსიკა გიტარით, ბასით და ვიოლინოთი — კლასიკა, ჯაზი, რეტრო...

პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და უბრალოდ, ამ თამაშის მოყვარული თუ ცნობისმოყვარე ხალხი. შუაში ბამბუკის ფანჩატური, სადაც სიგრილეში დაჯდომა და მოსვენება შეიძლება.

შადრევანი, ციყვები, კაჭკაჭები, ბარი და თამაში... ყველანაირი ფორმისა თუ სირთულის ოცი პატარა მოედანი. აზარტი და დასვენება...

აი, ასეთი იყო კვირას მინი გოლფის კლუბი „სამოთხეში". იქ სეზონი გაიხსნა. სად არის? მოსეშვილის ქუჩიდან ვაკის პარკისკენ ჩაუხვევთ თუ არა, იქვეა.

ოფიციალურად შარშან 20 დეკემბერს დაიბადა, კვირას კი სეზონი პარლამენტის ვიცე-სპიკერ გიგი წერეთლის დარტყმით გაიხსნა. წერეთელი თბილისის მერ ვანო ზოდელავასა და პარლამენტარ კობა დავითაშვილს ეთამაშა. ვიცე-სპიკერმა და მერმა თანაბარი ქულები მოაგროვეს, პარლამენტარი კი მათ ცოტათი ჩამორჩა. მერე ამათ, დეპუტატ დავით გამყრელიძესა და რადიო 105-ელ ირაკლი კაკაბაძეს კლუბის მუდმივი წევრობის დიპლომები ჩამოურიგეს.

მალე თამაშში „უბრალო მოკვდავნიც" ჩაებნენ და ისე გაერთნენ, ღამემდე ჟრიამული არ შემწყდარა, ორგანიზატორებს პროჟექტორების ანთებაც მოუხდათ. ჩანს, გოლფი, საქართველოში საოჯახო თამაშად ყალიბდება. განსაკუთრებით კი ბავშვებს მოსწონთ.

**სოლომონ გულისაშვილი**

ოლიმპიზმი

# ოქროს საწმისი — იქით, 20 000 დოლარი — აქეთ

**ეს** ფოტორეპორტაჟი ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში, მისი პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის „ოქროს საწმისის" ორდენით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე მოგვითხრობს. თუ რატომ და რისთვის გადაეცა სამარანჩს უცხოელთათვის განკუთვნილი საქართველოს ეს უმაღლესი ჯილდო, ამის თაობაზე უკვე ვიუწყებოდით. ახლა კი ვიტყვით, რომ ამ ორდენით დაჯილდოებულნი არიან მხოლოდ მსოფლიოს ბანკის პრეზიდენტი ჯეიმს ვულფენსონი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი გერჰარდ შრედერი.

ხუან ანტონიო სამარანჩი „ოქროს საწმისის" მეხუთე კავალერია და პირველი ვინც ეს ჯილდო საქართველოს ფარგლებს გარეთ მიიღო.

სამარანჩის „ოქროს საწმისის" ორდენით დაჯილდოების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება 2 000 წლის 28 აგვისტოთია დათარიღებული, მაგრამ ადრესატისთვის მისი გადაცემის ცერემონიალმა მიზეზთა გამო წლევანდელ 24 აპრილამდე დაიგვიანა. იმ დღეს კი ეს მისია შეასრულა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილემ თამაზ ყიფიანმა.

ამას გარდა სამარანჩს ბრინჯაოში ჩამოსხმული თავისი ნამუშევარი („გოლფის მოთამაშე") აჩუქა თბილისელმა მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძემ, ვინც სოკ-ის შარშანდელი კონკურსის („სპორტი და ხელოვნება") ვერცხლის პრიზიორია.

აღსანიშნავია, რომ ლევან ვარდოსანიძე მესამე მოქანდაკეა, რომელმაც თავისი ნამუშევარი სამარანჩს ლოზანაში აჩუქა.

თავის მხრივ სამარანჩმა ხელცარიელი არც თბილისელი სტუმრები დატოვა, დაასაჩუქრა და ისიც გვითხრა, სოკ-ის ოლიმპიური სოლიდარობის მეშვეობით თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილეთ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობის სარეკონსტრუქციოდ 20 ათას დოლარს მიიღებთ და მომავალშიც მზად ვართ, დაგეხმაროთო.

სამარანჩთან ინტერვიუს „სარბიელის" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ლოზანა — თბილისი**

**ავტორის ფოტოები**



თამაზ ყიფიანმა ხუან ანტონიო სამარანჩს „ოქროს საწმისის" ორდენიც გადასცა და საქართველოს პრეზიდენტის მილოცვაც



ხუან ანტონიო სამარანჩმა ლევან ვარდოსანიძის ნაჩუქარი ქანდაკებითაც ფრიად გაიხარა



ხუან ანტონიო სამარანჩის დაჯილდოების ცერემონიალზე არიან: საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიასა და ჟენევაში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში ამირან კავაძე, თამაზ ყიფიანი, სეოკ-ის განყოფილების გამგე რუსუდან აფციაური, თავად სამარანჩი, სოკ-ის ოლიმპიური სოლიდარობის ხელმძღვანელი პერე მირო და სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი





ხუან ანტონიო სამარანჩი და მისი „ოქროს საწმისი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი

# ვისი გაფუჭებული სჯობს
## მიკას ბოლიდს ბოლი სდის

**წლევანდელი** ჩემპიონატის მეხუთე, ესპანური ეტაპიდან ფორმულაში ახალი პერიოდი დაიწყო. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ დამხმარე ელექტრონიკის გამოყენების აკრძალვა გააუქმა, ანუ გუნდებს ნება დაერთოთ, ბოლიდებში დაამონტაჟონ წევის კონტროლის, სიჩქარის ავტომატური გადართვისა და სტარტზე დაძვრისას მარეგულირებული სისტემები.

ამ სამიდან უმთავრესი — წევის კონტროლი, რომელიც პილოტზე უსწრაფესად ირჩევს მოსახვევის გავლის ოპტიმალურ რეჟიმს, სამეფო რბოლებს 1993 წლის შემდეგ დაუბრუნდა. მოწყობილობა მანქანას ტრასაზე უფრო სწრაფს და მდგრადს ხდის, განსაკუთრებით სველ ასფალტზე. ვარაუდობენ, რომ წვიმაში წრის გავლის დრო შეიძლება ორი-სამი წამითაც კი შემცირდეს. ჯერჯერობით ამის არც დაჯერება შეიძლება და არც უარყოფა, რადგან ბარსელონაში გასულ უქმეებზე არ გაავდრებულა, ის კი ფაქტია, რომ იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელას მიერ 1997 წელს დამყარებული წრის რეკორდი მშრალ გზაზე კვირას ოთხმა მრბოლმა გააუმჯობესა.

კვალიფიკაცია მიხაელ შუმახერმა მოიგო, შეიძლება ითქვას, ნოკაუტით, ვინაიდან მის შედეგს ერთხელაც კი ვერავინ უყო ძვრა. საინტერესოა, რომ მიკა ჰაკინენმა ბოლო ცდაზე წევის კონტროლის სისტემა გამორთო და თავის საუკეთესო მაჩვენებელს ერთბაშად ოთხი მეათედი წამი ჩამოაკლო. ექსჩემპიონმა ორი პოზიციით გამოიკეთა მდგომარეობა და სტარტზე მიხაელის გვერდით მოკალათდა. მეორე რიგში დევიდ კულჰარდი და რუბენს ბარიკელო დაწყვილდნენ, მათ უკან — რალფ შუმახერი და იარნო ტრული. ეს შუმახერის 36-ე პოული გახლავთ, რაც მეორე შედეგია ფორმულის ისტორიაში აირტონ სენას ფანტასტიკური მიღწევის (65) შემდეგ, ამასთან, მეოთხე — ესპანეთში.

კულჰარდის „მაკლარენს" გასახურებელ წრეზე ძრავა ჩაუქრა და ადგილიდან ვერც დაიძრა. საბედნიეროდ, მექანიკოსებმა მოახერხეს მანქანის დაქოქვა, მაგრამ სტარტი შოტლანდიელმა, ცხადია, ბოლომ აიღო. თუმცა ჩემპიონატის თანალიდერის უბედურება ამით არ დასრულებულა. დევიდის ბოლიდს პირველივე წრეზე წინა ფრთა მოსძვრა და იძულებული გახდა, ბოქსებისთვის მიეკითხა. იქ 15-წამიანმა შეყოვნებამ მას საბოლოოდ გადაუწურა არა თუ გამარჯვების, პოდიუმზე მოხვედრის იმედიც კი.

მიხაელი და მიკა უსწრაფესად დაიძრნენ და თავიდანვე საგრძნობლად დაშორდნენ ქარავანს. რალფმა ისარგებლა მის წინ კულჰარდის არყოფნით შექმნილი თავისუფლებით და პირველ მოსახვევში ბარიკელოს შეასწრო, თუმცა ბრაზილიელმა იქვე, ასიოდე მეტრის შემდეგ პოზიცია დაიბრუნა. სტარტით ყველაზე მეტად ხუან პაბლო მონტოიამ ისარგებლა. კოლუმბიელმა ასპარეზობა მე-12 ადგილიდან დაიწყო, მაგრამ ყოჩაღად გაიწ-გამოიწია და მოულოდნელად ექვსეულში აღმოჩნდა.

„კატალუნიაზე" გასწრება ძნელი საქმეა, ამდენად, თავიდანვე დაწინაურებული ექვსეული — მიხაელ შუმახერი, ჰაკინენი, ბარიკელო, რალფ შუმახერი, ტრული და მონტოია ოცი წრე უცვლელად ბრუნავდა. მდევრები სულ უფრო ჩამორჩებოდნენ ლიდერთა დუეტს, უშუალოდ მათ შორის სხვაობა კი ორ წამს არ ასცილებია. 15 წრის შემდეგ მონტოია უკვე ოც წამს აგებდა მიხაელთან. დასაწყისშივე განწირული კულჰარდი ფარ-ხმალს არ ყრიდა და საკმაოდ მალე ექვს მეტოქეს აუარა გვერდი.

სულ ოციოდე კილომეტრის გავლა მოახერხა წლევანდელი ჩემპიონატის დებიუტანტმა, ესპანელმა პედრო დე ლა როსამ, რომელმაც „იაგუარის" საჭესთან ლუჩანო ბურტი შეცვალა, ხოლო ამ უკანასკნელმა „პროსტში" არგენტინელი გასტონ მაცაკანეს ადგილი დაიკავა. პედრომ და გერმანელმა ვეტერანმა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა ჯიუტი თხებივით გზა ვერ გაიყვეს, მოსახვევში ერთმანეთს შეეჯახნენ და ორივე ტრასის მიღმა აღმოჩნდა.

წინა ეტაპის გმირმა რალფ შუმახერმა ამჯერად დისტანციის მხოლოდ მესამედი გაძლო, მერე კი არცთუ რთულ მოსახვევში შეცდომა დაუშვა და მანქანა მოხრეშილ ზონაში გაექცა. საბოქსე ციებ-ცხელებაც სწორედ ამ დროს დაიწყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითქმის ყველას ორ-ორი პიტ-სტოპის ტაქტიკა აერჩია. ლენტი ტრულიმ და მონტოიამ გაჭრეს — ერთდროულად ესტუმრნენ ბოქსებს. კოლუმბიელმა ამჯერადაც იხეირა — მექანიკოსების სიმარჯვის წყალობით ტრულის ცხვირწინ დაუბრუნდა რბოლას. მიხაელის შესვლის შემდეგ მიკამ სამი წრე იცადა დროის მოგების მიზნით, თუმც მაინც ჩემპიონის უკან დარჩა. სხვაობა არც ისე საგრძნობი, სულ სამი წამი იყო, მაგრამ ფინელს გასწრების საშუალება მაინც არ მისცემია, მისი თანაგუნდელი კი ამასობაში უკვე მერვე გახდა.

მეორე პიტ-სტოპზეც იგივე განმეორდა. ჯერ შუმახერმა შეიარა ბოქსში და კვლავ მესამე დაბრუნდა. ჰაკინენმა ამჯერად შვიდი წრე იცადა და როცა ჩემპიონთან 26-წამიანი მარაგი დააგროვა, მაშინღა ჩაიმატა საწვავი. როგორც შემდეგ გაირკვა, მიხაელს პრობლემები გასჩენოდა. მისმა ბედაურმა თანდათან უკლო ტემპს — ყოველ წრეზე ორი-სამი წამით რჩებოდა უკან. ამასობაში ბარიკელო საერთოდ გამოეთიშა რბოლას მას შემდეგ, რაც დამცავ ზოლში ბობლვის გამო „ფერარის" შეკიდულობა დაუზიანდა. მიხაელს წრით ჩამორჩენილმა რამდენიმე მაჩანჩალამ იოლად გაასწრო, მათ შორის კულჰარდმაც, მერე კი შოტლანდიელმა ნიკ ჰაიდფელდზეც მიიტანა იერიში, ადვილად გაუსწორდა და ექვსეულში შეყო თავი. შუმახერის მთავარი მიზანი ფინიშამდე მიღწევა და მეორე ადგილის შენარჩუნება იყო. მონტოიასთან ერთწუთიანი უპირატესობა ამის საშუალებას იძლეოდა, თუ, ცხადია, მანქანა ბოლომდე გაძლებდა.

ბოლო წრეზე ჰაკინენის უპირატესობამ 40 წამს მიაღწია და რბოლის კვანძიც მოულოდნელად სწორედ მაშინ გაიხსნა. ვინ წარმოიდგენდა, რომ „მაკლარენს" გადაცემათა კოლოფი გაეჭედებოდა და ფინიშის ხაზამდე სულ რაღაც ერთი კილომეტრით ადრე საერთოდ გაჩერდებოდა. შუმახერი ასეთი საჩუქრით აბა, როგორ არ ისარგებლებდა. თუმცა ამგვარი მოგებით გახარებულიც იყო და აშკარად გაკვირვებულიც. ამიტომაც მიირბინა მიკასთან ბოქსებში, მეგობრულად გადაეხვია და გაამხნევა. ისე, ფინელი ნირწამხდარი, ყოველ შემთხვევაში, ხალხის თვალწინ, ნამდვილად არ ჩანდა. არადა, მის წლევანდელ უიღბლობას ბოლო ვერაფრით მოეღო.

უშეცდომოდ წარმართა მთელი საათნახევრიანი რბოლა მონტოიამ, ჩინებული ოსტატობაც გამოავლინა, ამასთან არც მანქანა გაჰფუჭებია და არც ვინმე დასჯახებია. მეორე ადგილი და ექვსი ქულა, უიღბლობა რომ არა, დებიუტანტს ალბათ ერთი თვის წინაც კი ექნებოდა. თუმცა, რა საჩქაროა, 25 წლის ამბიციური კოლუმბიელის საფორმულო კარიერა ხომ მხოლოდ ხუთი ეტაპია, რაც დაიწყო.

ვილნევის მესამე ადგილი BAR-ის ისტორიაში პირველი პოდიუმია. თავად კანადელი ექსჩემპიონი კი როგორც იქნა, სამი წლის შემდეგ ძლივს შედგა კვარცხლბეკზე.

შუმახერმა კარიერაში 47-ე მოგებით დაიბრუნა ჩემპიონატში ერთპიროვნული ლიდერობა და უმთავრეს მდევარს 8 ქულით დაშორდა. აღსანიშნავია, რომ ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშება 150-ე ეტაპი გახდა მიხაელ შუმახერისა და მიკა ჰაკინენისთვის. მათ წინ კი 16 პილოტია, რომელთაგან რეკორდსმენ იტალიელს რიკარდო პატრეზეს 256-ჯერ ურბოლია.

**გია ახალაძე**



უქულო ხუან პაბლო მონტოიამ პირველივე ჯერზე ექვსი ქულა დაიწერა



REUTERS

მიხაელ შუმახერის საფიქრალი: მიკას რომ ბოლიდი არ გაფუჭებოდა, მერე–

### რბოლის შედეგები

**ესპანეთის დიდი პრიზი**
29 აპრილი. ბარსელონა
დისტანცია — 65 წრე — 307.450კმ

| | | |
|---|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | | 1:31.03,305 (202,508 კმ/სთ) |
| 2. მონტოია (უილიამსი) | ჩამორჩა | 40,737 |
| 3. ვილნევი (BAR) | | 49,625 |
| 4. ტრული (ჯორდანი) | | 51,252 |
| 5. კულჰარდი (მაკლარენი) | | 51,615 |
| 6. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | | 1.01,892 |
| 7. პანი (BAR) | | 1.04,976 |
| 8. რაიკონენი (ზაუბერი) | | 1.19,807 |
| 9. ჰაკინენი (მაკლარენი) | | 1 წრით |
| 10. ალეზი (პროსტი) | | 1 წრით |
| 11. ბურტი (პროსტი) | | 1 წრით |
| 12. ფერსტაპენი (ეროუსი) | | 2 წრით |
| 13. ალონსო (მინარდი) | | 2 წრით |
| 14. ფიზიკელა (ბენეტონი) | | 2 წრით |
| 15. ბატონი (ბენეტონი) | | 3 წრით |
| 16. მარკეში (მინარდი) | | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ბარიკელო (ფერარი) | გაიარა 49 წრე |
| ირვინი (იაგუარი) | 48 |
| რ.შუმახერი (უილიამსი) | 20 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 8 |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 5 |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 5 |

**საუკეთესო წრე**

მ.შუმახერი 1.21,151 (209.831 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | 10 | | | | | | | | | | | | | 36 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | | | | | | | | | | | | | 28 |
| 3 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | - | | | | | | | | | | | | | 14 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | - | | | | | | | | | | | | | 12 |
| 5 ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანა | 3 | - | 4 | - | 1 | | | | | | | | | | | | | 8 |
| 6 ტრული ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | 7 |
| 7 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | - | - | - | - | 6 | | | | | | | | | | | | | 6 |
| 8 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | 2 | 3 | - | 1 | - | | | | | | | | | | | | | 6 |
| 9 ვილნევი BAR, კანადა | - | - | - | - | 4 | | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | - | 1 | - | 3 | - | | | | | | | | | | | | | 4 |

პანი (BAR, საფრანგეთი) — 3; რაიკონენი (ზაუბერი, ფინეთი), ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი) — 1 ქულა

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | | | | | | | | | | | | | 50 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | | | | | | | | | | | | | 32 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | | | | | | | | | | | | | 18 |
| 4 ჯორდანი | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | 13 |
| 5 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | | | | | | | | | | | | | 9 |

BAR — 7; ბენეტონი — 1 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

# აზოტის მტერი აზოტია

## თავშეუკავებლობამ რუსთაველები ფინალს მიღმა დატოვა

| | |
|---|---|
| **აზოტი** | **1** |
| **სტუ-ჯეოსელი** | **1** |

28 აპრილი. ვერის ბაღი

**აზოტი 93:81 სტუ**

20:18, 26:28, 18:23, 24:17

**აზოტი:** ქლენტი (9), გოგობერიშვილი (25), კოპოლიშვილი (4), ბაბიაშვილი (5), შენგელია (18); ბერუაშვილი (11), ჩაჩუა, ტურაშვილი (5), ჯაფარიძე (16)

**სტუ:** სულაძე, ხოშტარია (20), დავითულიანი (9), ოთიურიძე (16), მდივანი (1); ბ. ბერიშვილი (3), კორძაძე (11), ლოსაბერიძე (12), მინაშვილი (4), ჩუბინიძე (5)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერუაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

| | |
|---|---|
| **სტუ-ჯეოსელი** | **2** |
| **აზოტი** | **1** |

29 აპრილი. ვერის ბაღი

**სტუ — აზოტი**

**მატჩის დამთავრებამდე 31 წამით ადრე, როცა ანგარიში იყო 82:76 სტუ-ს სასარგებლოდ, შეხვედრა შეწყდა. „აზოტს" ჩაეთვალა წაგება, სერიის ანგარიში გახდა 2:1 და ფინალში სტუ გავიდა**

მსაჯი აქამდეც ბევრჯერ გალახულა, მაგრამ ამგვარი სისასტიკით არასდროს. პლეი ოფის ნახევარფინალის მესამე, გადამწყვეტი შეხვედრის დასრულებამდე 31 წამით ადრე წასაგებად განწირულმა „აზოტმა" გულის მოოხება მსაჯის ცემით გადაწყვიტა და, არ ვაჭარბებთ, მოედანზევე ლინჩის წესით გაასამართლა შეხვედრის ერთ-ერთი არბიტრი ზაზა მაჩალაძე. საბედნიეროდ, მაჩალაძე შედარებით იოლად გადარჩა, მაგრამ ეს რუსთაველთა უსაქციელობას ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს.

„აზოტის" ვაიგულშემატკივარის ხულიგნური გამოხდომები მთელ შეხვედრას ფონად გასდევდა. იმ მხრიდან, სადაც რუსთაველი ფანები ისხდნენ, ხშირად ცვიოდა მოედანზე სხვადასხვა საგნები, კვერცხები და ხურდა ფული. მათი სამიზნე, ცხადია, მსაჯები იყვნენ, რომლებიც გასაგებ მიზეზთა გამო დაძაბულობის ქვეშ იმყოფებოდნენ, მაგრამ ჩვეული პრინციპულობით განაგრძობდნენ მოვალეობის შესრულებას.

თამაშს რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ სტუ აშკარად სჯობდა „აზოტს". სტუდენტთა უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო გახლდათ, რომ მსაჯთა მხრიდან თუნდაც მიკერძოებული ქმედება საერთო სურათს დიდად ვერ შეცვლიდა. სერიაში ფავორიტად მიჩნეული „აზოტი" ნახევარფინალში სტუსგან ამხელა წინააღმდეგობას, ცხადია, არ ელოდა და როცა მარცხის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, შურისძიების ობიექტად მაჩალაძეღა შერჩა ხელთ.

საფინალო სირენამდე წამებიღა იყო დარჩენილი, როცა „აზოტის" კალათბურთელთა მორიგი დავა მსაჯებთან მაჩალაძის უმოწყალო ცემაში გადაიზარდა. მოთამაშეებს გამოექომაგნენ გახელებული გულშემატკივრებიც რომელთა შეჩერებაც იქ მყოფმა ოცამდე პოლიციელმაც ვერ შეძლო. შემდეგ როგორღაც გაარიდეს მსაჯები იქაურობას და სიტუაციაც შედარებით განიმუხტა, მაგრამ თამაშის გაგრძელებაზე სიტყვაც აღარ თქმულა.

ეს ყველაფერი კვირას მოხდა, გუშინ კი კალათბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომისიის საგანგებო სხდომა ჩატარდა. დისციპლინარებმა დაგმეს რუსთავის „აზოტის" ქმედება და გუნდს წაგება ჩაუთვალეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინალში სტუ გავიდა. დღეს-ხვალ ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბება და მომხდარი ინციდენტის თაობაზე უფრო დაწვრილებით იმსჯელებს. ფედერაციის მუშაკები გუშინ თავს იკავებდნენ კომენტარისგან, თუმც ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ აღმასკომი „აზოტს" უმკაცრეს სანქციებს დააკისრებს.





რისხვადატეხილი მსაჯი ზაზა მაჩალაძე და მთავარი მრისხანე, „აზოტის" მწვრთნელი ოთარ ხმელიძე

# მშვიდად, წყნარად...

| | |
|---|---|
| **ბასკო** | **1** |
| **მაკაბი** | **0** |

28 აპრილი. ვერის ბაღი

**მაკაბი 85:97 ბასკო**

14:24, 21:30, 23:29, 27:14

**მაკაბი:** წოწელია (31), ტუჯანი (13), შანიძე (8), სარიშვილი (9), დაჩუმი (10); ანდღულაძე (14), კრიხელი

**ბასკო:** როჯერსი (6), ბეჟანიშვილი (20), ორმოცაძე (4), ვ. ნაცვლიშვილი (20), კოლაძე (3); მ. მარკოიშვილი (10), ნიკოლაძე (7), აბრამიძე (1), გ. ნაცვლიშვილი (8), ჭუმელაძე, ფუტკიაშვილი, დროფანოვი (18)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

მეორე ნახევარფინალური წყვილის პირველ შეხვედრაში სენსაციების მოყვარულ გულშემატკივრებს არ გაუმართლათ. „ბასკო" თბილისში ადვილად გაუსწორდა აფრიკელი ლეგიონერებით შეგულიანებულ „მაკაბის" და დღეს ბათუმში ელის. პლეი ოფის დებიუტანტებს სტუმრად მეტი პრობლემები ექნებათ, რადგან ჩემპიონი საკუთარ მოედანზე განსაკუთრებული ჟინით თამაშობს და ჯერჯერობით ერთხელაც არ დამარცხებულა.

## NBA. პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# ოქროსმაძიებლები საბადოდან გამოაპანღურეს

### აღმოსავლეთი

27 აპრილი

| | |
|---|---|
| **მაიამი** | **0** |
| **შარლოტი** | **3** |

**შარლოტი 94:79 მაიამი**

**შარლოტი:** მაშბურნი (21), დევისი (21)
**მაიამი:** ჯონსი (22), გრანტი (15)

მაიამიში ორი ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ „შარლოტ ჰორნეთსი" „მაიამი ჰითს" შინ დახვდა, აქაც იოლად მოუგო და საბოლოოდაც მოუთავა ხელი. აი, ასე სამარცხვინოდ გადაუხვიეს პატ რაილიმ და მისმა ბიჭებმა ჩემპიონობისკენ მიმავალი გზიდან. „შარლოტმა" ყველა კომპონენტში დაჯაბნა ექსფავორიტი, რომელსაც, სანამ თავისდა ჭირად „შარლოტს" გადააწყდებოდა, ლამის აღმოსავლეთის ფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. „მაიამიმ" პირველი შეხვედრა შინ 26 ქულით წააგო და თუ ეს მარცხი შემთხვევითობად ჩათვალა, მეორე მატჩის ზუსტად იგივე სხვაობით წაგებამ ყოველგვარი ეჭვი გაფანტა — „მაიამი" პლეი ოფს მოუმზადებელი შეხვდა და წასაგებად განწირული გახლდათ. ასე რომ, უკვე აღარავის გაჰკვირვებია, როცა მესამე შეხვედრის პირველი ნახევარი „შარლოტმა" 58:31 მოიგო და მეორე ტაიმს სრულიად დაუკარგა აზრი.

„შარლოტი" მომდევნო ეტაპზე გავიდა და იქ „მილუოკისა" და „ორლანდოს" შორის გამარჯვებულს შეხვდება.

28 აპრილი

| | |
|---|---|
| **ფილადელფია** | **2** |
| **ინდიანა** | **1** |

**ინდიანა 87:92 ფილადელფია**

**ინდიანა:** მილერი (35), როუზი (19)
**ფილადელფია:** აივერსონი (32), მაკი (22)

იქნებ რეგულარულ ჩემპიონატში ამ ორ გუნდს შორის ვეება განსხვავება იყო, მაგრამ პლეი ოფში ეს ყველაზე თანაბარი წყვილი გახლავთ.

შეხვედრის წინ „ინდიანას" თავკაცმა აიზია ტომასმა შეგირდებს უპირველეს მიზნად „ფილადელფიას" ლიდერ ალენ აივერსონის გაუვნებლება დაუსახა. მასპინძლებმა ტაქტიკა ამაზე ააგეს და თავდაპირველად გაჭრა კიდეც. საიმედოდ შებორკილმა აივერსონმა საწყის მეოთხედში ოდენ სამი ქულა გააკეთა. სწორედ ამ დროს „ფილადელფიას" მშველელად სათადარიგო უკანახაზელი აარონ მაკკი მოევლინა, რომელმაც თამაში საკუთარ თავზე აიღო და ქულების დაგროვება იწყო, რამაც მასპინძლები აიძულა, ყურადღების ნაწილი მისთვისაც დაეთმოთ. შესაბამისად, აივერსონს მოეხსნა გაძლიერებული დაცვა. მასაც მეტი რა უნდოდა, გაილაღა და მესამე მეოთხედის მიწურულს „ფილადელფია" 14 ქულით დააწინაურა.

ამას „ინდიანა" სულაც არ შეუშინებია და ამ მეომარმა გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სხვისთვის იქნებ სოლიდური ჩამორჩენა მისთვის თითქმის არაფერს ნიშნავს, როცა წინ მთელი თორმეტი წუთია. მასპინძლებმა ერთი მონაკვეთი დიდებულად ჩაატარეს და როდესაც საფინალო სირენამდე ორნახევარი წუთით ადრე მილერმა მორიგი სამქულიანი ჩააგდო, ანგარიში გათანაბრდა — 82:82. აი, მერე კი უმტყუნა მილერს მიზანმა, დარჩენილ დროში ოთხი სამქულიანი ააცილა, ფილადელფიამ კი მეტოქეს ეს არ აპატია.

| | |
|---|---|
| **მილუოკი** | **2** |
| **ორლანდო** | **1** |

**ორლანდო 121:116 მილუოკი**

(ძირითადი დრო 110:110)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (42 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), არმსტრონგი (18)
**მილუოკი:** ალენი (27), კასელი (21 ქულა, 16 მოხსნა), ტომასი (18)

ქებათა ქება ტრეისი მაკგრეიდის. ორლანდოელთა სუპერბიჭუნა 21 წლისაა და დუნია აალაპარაკა. მომავალში ეგებ იგი სეზონის უძვირფასესი მოთამაშეც გახდეს, დღესდღეობით კი მას უკვე აყენებენ სახელგავარდნილი კობი ბრაიანტის და ვინს კარტერის წინ. იქნებ წლეულს „ორლანდომ" ბევრი ვერაფრით გამოიჩინოს თავი პლეი ოფში, მაგრამ მაკგრეიდიმ უკვე ომახიანად თქვა თავისი სიტყვა. 33 და 35-ქულიანი თამაშების შემდეგ მან პირადი საპლეიოფო რეკორდის თამასა 42 ქულამდე ასწია, რაც აგრეთვე კლუბის ყველა დროის რეკორდის გამეორებაა. პლეი ოფის თამაშში ამდენი ქულა მხოლოდ ერთ ორლანდოელს, ანფერნი ჰარდევეის მოუგროვებია 1997 წელს. გარდა ამისა, მაკგრეიდიმ ლამის სამმაგი დუბლიც გააზერხა. მისმა გაბრწყინებამ კი „ორლანდოს" გამარჯვება შვა და მილუოკის მომდევნო ეტაპზე გასვლა მინიმუმ სამი დღით გადაუვადა.

29 აპრილი

| | |
|---|---|
| **ნიუ იორკი** | **2** |
| **ტორონტო** | **1** |

**ტორონტო 89:97 ნიუ იორკი**

**ტორონტო:** დევისი (21), კარტერი (20)
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (24)

„ნიუ იორკი" მოისაკლისებდა ძირითად ცენტრს მარკუს კემბის, რომელსაც ახლა თამაშისთვის არ სცხელა, რადგან ორიოდ დღის წინ ვილაც მანიაკმა ლამის მისი და გააუპატიურა, კემბის კი მოსთხოვა „ტორონტოსთან" არ ითამაშოო. მის არყოფნაში გაილაღა „დინოზავრთა" ცენტრმა ანტონიო დევისმა, მაგრამ მისი და ვინს კარტერის კარგი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა.

### დასავლეთი

28 აპრილი

| | |
|---|---|
| **სან ანტონიო** | **2** |
| **მინესოტა** | **1** |

**მინესოტა 93:84 სან ანტონიო**

**მინესოტა:** გარნეტი (22), ბრენდონი (21)
**სან ანტონიო:** რობინსონი (22 ქულა, 17 მოხსნა), ანდერსონი (16), დანკანი (15)

სან ანტონიოში ორგზის გვემულმა მინესოტელმა „მგლებმა" საკუთარ ბუნაგში გამოიჭირეს მეტოქე და იქ ჩაასეს კბილი. სანანტონიოელთა შორის იმ დღეს საუკეთესო დევიდ რობინსონს არაფერი შეეძლო. მან საკუთარი საქმე დიდებულად გააკეთა, პირწმინდად დაჩაგდა მეურვე, სლოვენიელი რადოსლავ ნესტეროვიჩი, მაგრამ მისმა „სან ანტონიომ" ვერაფერი გააწყო მასპინძელთა გამთამაშებელ ტერელ ბრენდონთან.

| | |
|---|---|
| **იუტა** | **2** |
| **დალასი** | **1** |

**დალასი 94:91 იუტა**

**დალასი:** ნოვიცკი (33), ჰოვარდი (18)
**იუტა:** მელოუნი (29 ქულა, 13 მოხსნა), სტოქტონი (12 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი)

როგორც იქნა, „დალას მავერიქსსაც" ერგო გამარჯვება, რასაც მთელი ქალაქი 1988 წლიდან ელოდა. ამასთან, რაც ყველაზე უფრო ახარებთ ტეხასელებს, მათმა ჯილამ მათ თვალწინ მოიპოვა ეს ნანატრი გამარჯვება და ახლა „მავერიქსი" საკუთარ ქომაგებს მინიმუმ კიდევ ერთი თამაშის ხილვით გააბედნიერებს.

„დალასს" ეს მოგება ციდან არ ჩამოვარდნია, მისი მეტოქე, ჯერაც ღონიერი „იუტა" ცდილობდა, საქმე აღარ გაეჯანჯლებინა და ამ მატჩით დაესვა წერტილი სერიისთვის. უბერებელმა ბებერმა კარლ მელოუნმა და ჯონ სტოქტონმა შესანიშნავად ითამაშეს, ამ უკანასკნელმა ხომ ჩვიდმეტწლიან კარიერაში პირველი სამმაგი დაუბლი მიითვალა, თუმც ამჯერად „იუტას" ხელი მოეცარა.

29 აპრილი

| | |
|---|---|
| **ლეიკერსი** | **3** |
| **პორტლენდი** | **0** |

**პორტლენდი 86:99 ლეიკერსი**

**პორტლენდი:** სმიტი (25), სტუდემაიერი (25)
**ლეიკერსი:** ონილი (25 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (22)

„შარლოტის" შემდეგ „ლეიკერსი" მეორე გუნდია, რომელსაც სერიის მოსაგებად თამაშების მინიმუმი დასჭირდა. „პორტლენდმა" რეგულარული ჩემპიონატი რიხით კი დაიწყო და ერთხანს პირველობდა კიდეც, მაგრამ მერე აურია და აი, შედეგიც — საჩემპიონო ოქროს მაძიებელი სამარცხვინოდ გამოაპანღურეს პლეი ოფიდან. გავბედავთ და ვიტყვით, რომ გუნდის მწვრთნელ მაიკ დანლივის „პორტლენდის" თავკაცის სავარძელში ჯდომა დიდხანს არ უწერია.

„ლეიკერსი" კი აუღელვებლად დაუცდის მომავალ მეტოქეს, რომელიც სავარაუდოდ „საკრამენტო" იქნება.

| | |
|---|---|
| **საკრამენტო** | **2** |
| **ფინიქსი** | **1** |

**ფინიქსი 96:104 საკრამენტო**

**ფინიქსი:** კიდი (19 ქულა, (16 პასი)
**საკრამენტო:** ვებერი (23), სტოიაკოვიჩი (21)

საკრამენტოელმა „მეფეებმა" ზედიზედ მეორედ დასცეს მეტოქე, ამჯერად მისსავე მოედანზე და სერიაშიც დაწინაურდნენ, რითაც დაიბრუნეს მოედნის უპირატესობა. ეს გამარჯვება „მეფეებს" თურმე განსაკუთრებული ზარ-ზეიმით აღუნიშნავთ. ხუმრობა ხომ არაა, „კინგზს" სერია 1981 წლის შემდეგ არ მოუგია.

**ირაკლი ფირუზიშვილი**

## NHL. სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# ტორონტო მშმაჯსაც ნაშდია

28 აპრილი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 1 |
| ტორონტო | 1 |

**ნიუ ჯერსი 6:5 ტორონტო (0:1 4:0 1:4 1:0)**

**0:1 მარკოვი 9 (1), 1:1 გომესი 23 (3), 2:1 რაფალსკი 26 (2), 3:1 მოგილნი 30 (3), 4:1 მედენი 36 (1), 4:2 სუნდინი 41 (3), 5:2 მოგილნი 42 (4), 5:3 ტომასი 46 (2), 5:4 სუნდინი 50 (4), 5:5 ტომასი 60 (3), 6:5 მაკეი 66 (4)**

ძალიან უცნაური მატჩი გამოდგა. ყოველ პერიოდში სიტუაცია ისე იცვლებოდა, თითქოს მეტოქეები შეთანხმდნენ სულ ერთ ზონაში ეთამაშათ და გოლებიც ერთ კარში გაეტანათ (მოგეხსენებათ, გუნდები შესვენებაზე კარებს იცვლიან). მას შემდეგ, რაც პირველ პერიოდში ტორონტო დაწინაურდა, მასპინძლებმა იკადრეს და ისე გაისარჯნენ, როგორც ჩემპიონს შეჰფერის. მათ სტუმართა მეკარე კერტის ჯოზეფის არადამაჯერებელმა თამაშმაც შეუწყო ხელი. „კუჯო" აქამდე ჩინებულად ასპარეზობდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, პლეი ოფი ჩავარდნების გარეშე წარმოუდგენელია. ალექსანდრ მოგილნისა (2 გოლი და 3 პასი) და სკოტ გომესის (გოლი და 2 პასი) ძალისხმევით ნიუ ჯერსიმ სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და მესამე პერიოდის დასაწყისში, როდესაც რუსმა კვლავ ალადგინა სამშაიბიანი სხვაობა, საქმე ყველამ მოთავებულად ჩათვალა.

მაგრამ არა მათმა სუნდინმა. ტორონტოელთა ლიდერმა, რომელსაც ამ მეტოქეთა შარშანდელ სერიაში გასაქანი არ მისცემია, ძირითადი დროის ბოლო წუთებზე დააწიოკა „ეშმაკთა" ნაქები დაცვა, ჯერ სტივ ტომასს გაატანინა, მერე კი თავადაც გამოირჩა (სულ 2 გოლი და 2 პასი), ხოლო პერიოდის ბოლო წამებზე სტუმრებმა მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს და კვლავ ტომასისუნდინის დუეტმა გამოიჩინა თავი. ოვერტაიმში კი სურათი ისევ მკვეთრად შეიცვალა და ნიუ ჯერსიმ, რომელსაც თითქოს ფარ-ხმალი უნდა დაეყარა, მაინც გამოგლიჯა მეტოქეს გამარჯვება. გოლის თანაავტორი ბობი ჰოლიკი გახდა, რომელმაც სუნდინის მეურვეობას თავი ვერ გაართვა და ამით დანაშაული გამოისყიდა.

| | |
|---|---|
| ბუფალო | 0 |
| პიტსბურგი | 2 |

**ბუფალო 1:3 პიტსბურგი (0:0 1:1 0:2)**

**0:1 ლანგი 31 (2), 1:1 ბარნსი 35 (1), 1:2 ფერენსი 49 (2), 1:3 კოვალიოვი 60 (3)**

პიტსბურგმა ისევ მოიგო, მაგრამ მატჩის შემდეგ ბუფალოელები, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უფრო ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. ამის საბაბიც ჰქონდათ — საუცხოოდ ითამაშეს. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის შუაწელში ალექსეი ჟიტნიკი და ჯეი მაკი დაუშავდათ და ოთხი მცველით მოუხდათ ასპარეზობა, „ხმლებმა" პრაქტიკულად ყველა კომპონენტში აჯობეს მეტოქეს. მაგრამ რაღ გინდა — პიტსბურგის მეკარე იოჰან ჰედბერგი შეუდარებელი იყო და მხოლოდ ერთხელ ვერ იხსნა თავისი კარი. თავდასხმაში კი „პინგვინებს" აშკარად გაუმართლათ. მართალია, დაშავებული იარომირ იაგრის არყოფნაში მათ შეტევებს სიმწვავე აკლდა, მაგრამ მშველელად ბუფალოს მცველი ჯეიმს პატრიკი მოევლინათ. მას რობერტ ლანგის დარტყმული შაიბა ფეხებშუა გაუძვრა, ხოლო მეორედ, ენდრიუ ფერენსის დარტყმის შემდეგ, იგი მისმა ციგურამ აისხლიტა.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 1 |
| ლოს ანჯელესი | 1 |

**კოლორადო 2:0 ლოს ანჯელესი (0:0 1:0 1:0)**

**1:0 ნიემინენი 23 (2), 2:0 საკიკი 56 (6)**

მიუხედავად მშრალი ანგარიშით გამარჯვებისა, კოლორადო მაინც არ გამოიყურებოდა ისე, როგორც თასის ფავორიტს ეკადრება. ისევ ხშირად ცდებოდნენ მცველები. პატრიკ რუაც დროდადრო ზედმეტად ნერვიულობდა და რაც მთავარია, მთლიანად გუნდი ვერაფრით სჯობდა მეტოქეს. „მეფეებმა" თავიდანვე არ მოისურვეს დაცვაში ჩასაფრება და კოლორადოზე არანაკლებ მწვავედ შეუტიეს. მასპინძლებს გარკვეული უპირატესობა მხოლოდ მაშინ ექმნებოდათ, როცა ყინულზე პეტერ ფორსბერგის (1 პასი) სამეული გამოჩნდებოდა ხოლმე. პირველ გოლსაც სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი — მისი წამოწყებული შეტევა ახალბედა ვილე ნიემინენმა დააგვირგვინა. მეორე პერიოდის მიწურულს კოლორადოელებმა მოწინააღმდეგე, როგორც იქნა, მისსავე კარს მიაჯაჭვეს, მაგრამ შედეგი ვერ მოიმკეს. არადა, ერთწუთიან მონაკვეთში ორკაციანი უპირატესობა და უამრავი მომენტი ჰქონდათ. მხოლოდ ბოლო წუთებზე გამოიყენა თავისი ერთადერთი მომენტი ჯო საკიკმა, რომელიც ამჯერადაც ნაკლებად აქტიურობდა.

| | |
|---|---|
| დალასი | 0 |
| სენტ ლუისი | 2 |

27 აპრილი.

**დალასი 2:4 სენტ ლუისი (1:2 0:2 1:0)**

**0:1 დემიტრა 10 (2), 1:1 მაკლინი 10 (2), 1:2 რიზონერი 16 (1), 1:3 რიზონერი 24 (2), 1:4 ტარჯონი 29 (3), 2:4 ლაკოვიჩი 53 (1)**

29 აპრილი.

**დალასი 1:2 სენტ ლუისი (0:2 0:0 1:0)**

**0:1 რიზონერი 2 (3), 0:2 იანგი 10 (3), 1:2 ნუინდაიკი 60 (3)**

როგორც ჩანს, დალასის თავდაჯერებულმა თავკაცმა კენ ჰიჩკოკმა რაღაც ვერ გაითვალისწინა. „ტყუილუბრალოდ ტრაბახობდა, კარგად ვიცი, როგორც უნდა ვეთამაშოთ სენტ ლუისსო. „ბლუზმენებმა" კი ბებერ დალასელებს სწრაფი ტემპი და გუნდური თამაში შესთავაზეს, რაც მათთვის უსიამოვნო სიურპრიზი გამოდგა, ისევე, როგორც სენტლუისელთა საიდუმლო იარაღი მარტი რიზონერი. ამ ფორვარდმა სეზონი მეტწილად ფარმკლუბში გაატარა და ახლაღა მიეცა თავის გამოჩენის შანსი. მანაც იმდენი გააკეთა, კეიტ ტკაჩუკის მეორე ხაზი აათამაშა, რომელიც სან ხოსესთან სერიაში პიერ ტარჯონის ტრიოს ნაკლებად ეხმარებოდა. ახლა, დალასთან პირველი ორი შეხვედრის შემდეგ, რიზონერი-დემიტრა-ტკაჩუკის სამეულის ანგარიშზე 4 გოლია, აქედან თავად რიზონერისა 3 გოლი და ერთი პასია. პირველ მატჩში სწორედ მისმა ორმა შაიბამ დააჩოქა დალასი, განმეორებით თამაშშიც მანვე შეასხა ხორცი გუნდის თავკაცთა ჩანაფიქრს და სწრაფი გოლით დააბნია ტეხასელები. ხოლო როცა სკოტ იანგმა უმცირესობაში სხვაობა გააორმაგა, ნათელი გახდა, რომ დალასს აღარაფერი ეშველებოდა. თუმცა მასპინძელთა საპატიოდ უნდა ითქვას, რომ რამდენიმე მოთამაშე დაუშავდათ, მათ შორის გუნდის ლიდერი მაიკ მოდანოც, რომელმაც პირველი შეხვედრის საწყის წუთებზე ფეხი იტკინა და მას მერე მოედანზე აღარ გამოჩენილა.

**სამველ ლარიბიანი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი (ჰანოვერი, გერმანია)

**A ჯგუფი.**

28 აპრილი

**გერმანია 3:1 შვეიცარია (1:0 0:1 2:0)**

**ჩეხეთი 5:1 ბელარუსი (0:1 3:0 2:0)**

29 აპრილი

**გერმანია 2:2 ჩეხეთი (1:1 1:1 0:0)**

**B ჯგუფი**

28 აპრილი

**ფინეთი 5:1 ავსტრია (1:1 0:0 4:0)**

29 აპრილი

**იაპონია 4:8 სლოვაკეთი (1:3, 1:2, 2:3)**

**C ჯგუფი**

28 აპრილი

**უკრაინა 3:6 აშშ (1:3 0:2 2:1)**

29 აპრილი

**ლატვია 2:5 შვედეთი (1:2 1:2 0:1)**

**D ჯგუფი**

28 აპრილი

**კანადა 5:0 ნორვეგია (2:0 2:0 1:0)**

**რუსეთი 7:0 იტალია (2:0 3:0 2:0)**

29 აპრილი

**რუსეთი 4:0 ნორვეგია (1:0 0:0 3:0)**





REUTERS

ხუან კარლოს ფერერო გამარჯვებას ასველებს

# გამარჯვებული ფრმს ითხოვდა

ბარსელონა (ესპანეთი)
OPEN SEAT GODO
თიხნარი, საპრიზო 1 მილიონი $

**მეოთხედფინალი: ხუან კარლოს ფერერო (3, ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 1:6, 6:4, 6:1; კარლოს მოია (11, ესპანეთი) — ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) 6:3, 6:1; ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) — ფედერიკო ლუცი (იტალია) 6:1, 6:4; მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:1**

**ნახევარფინალი: ფერერო — კრატოხვილი 7:5, 6:2; მოია — ენკვისტი 6:3, 6:3**

**ფინალი: ფერერო — მოია 4:6, 7:5, 6:3, 3:6, 7:5**

„ეს ერთი იმ ფინალთაგანი იყო, რომელშიც დამარცხებას არავინ იმსახურებდა. მატჩი წარმოუდგენლად მაღალი ხარისხის და თანაბარი იყო, სამწუხაროა, რომ ჩოგბურთში ფრეები არ არსებობს" — ეს 2001 წლის ბარსელონის ტურნირის ჩემპიონის, ხუან კარლოს ფერეროს სიტყვებია.

კვირას კატალონიის დედაქალაქში ქომაგები სეზონის უდავოდ საუკეთესო ფინალის მომსწრენი გახდნენ. თიხნარზე თამაშის ორმა დიდოსტატმა — 21 წლის ფერერომ და როლან გაროსის ყოფილმა ჩემპიონმა კარლოს მოიამ თანამემამულეებს დაუვიწყარი სანახაობა აჩუქეს.

4 საათისა და 9 წუთის მანძილზე მიმდინარე ტრილერი სავსე იყო ულამაზესი გათამაშებებით, სიუჟეტის სწრაფი და უცნაური ცვლილებებით და, როგორც ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშებს შეეფერება, დრამატული და მოუ ლოდნელი კვანძის გახსნით.

მატჩის დასაწყისში სრულ უპირატესობას მოია ფლობდა. ფერერომ მისგან ესტაფეტა მეორე ხელის დასაწყისში ჩაიბარა და დამაშვრალი შესახედაობის თანამემამულე ყველა ფრონტზე შეავიწროვა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი თითქმის ორსაათიანი თვლემის შემდეგ მხოლოდ მეოთხე სეტში გამოფხიზლდა, საერთო ანგარიში გაათანაბრა და გადამწყვეტ სეტშიც 3:1 დაწინაურდა.

„როდესაც მეხუთეს დასაწყისში საკუთარი მოწოდება დავკარგე, თავს ვუთხარი, ეს მატჩი რომ წავაგო, გასახდელში გავალ და ყველა ჩოგანს დავამტვრევ-მეთქი. ასეთი მძიმე ფინალი კარიერაში არ მქონია" — გაიხსენა მოგვიანებით ფერერომ, რომლის ალკაზმულობაც ვანდალურ მოპყრობას მცირედით გადაურჩა. ბეწვის ხიდზე ესპანელმა 1:3-სა და 15:40-ზე გაიარა, როდესაც ორმაგი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და მეტოქეს კიდევ უფრო წინ გაჭრა არ დაანება.

მოიამ კი მატჩის ბოლოს საკუთარი ხელით გამოიღადრა ყელი: იმის ნაცვლად, რომ ორი ქულაც მიეთვალა და ტაი-ბრეიკამდე მიეღწია, მან 5:6-ზე ჯერ ორმაგი შეცდომა დაუშვა, მერე კი იოლი სმეშის ბადეში გახვევით დაუსვა შეხვედრას წერტილი: „არც კი მკითხოთ, იმ მომენტში თავში რა მიტრიალებდა. ამდენი იწვალო და ბოლოს სულელური შეცდომებით [illegible], მსუბუქად რომ ვთქვათ, იმედგამაცრუებელია. მოგებას ორივენი ვიმსახურებდით. მეორე მხრივ, მხრის ტრავმის შემდეგ (2000-ის დასაწყისში) ასე კარგად არ მითამაშია, როლან გაროსის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ეს ოპტიმიზმით მავსებს."

ფერეროს სეზონის მესამე ტიტულთან ერთად 148 ათასი დოლარი ერგო, მოიას — ამის ნახევარი.

ატლანტა (აშშ)
VERIZON TENNIS CHALLANGE
მწვანე თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

**ნახევარფინალი: ძაავიე მალისი (ბელგია) — ჟერომ გოლმარი (6, საფრანგეთი) 7:6 (7:1), 3:6, 6:3; ენდი როდიკი (აშშ) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:2**

**ფინალი: როდიკი — მალისი 6:2, 6:4**

18 წლის ენდი როდიკის სახით ამერიკულ ჩოგბურთს, ეტყობა, აგასი — სამპრას — ჩანგების მართლაც ღირსეული მემკვიდრე ეზრდება. გასული სეზონის საუკეთესო იუნიორმა ატლანტაში თავის რიგით მეათე პროფესიონალურ ტურნირზე კარიერის პირველი ტიტული მოიპოვა, რაც თავის დროზე ზემოხსენებულ ბობოლებსაც კი არ მოუხერხებიათ.

„პატივს ვცემ წინა თაობის მოთამაშეებს, ისინი დიდი ჩემპიონები და ჯერაც ჩემი კერპები არიან, მაგრამ მე საკუთარი გზა მაქვს" — განაცხადა თავდაჯერებულმა თინეიჯერმა, რომლის 220 კმ/სთ-იანი მოწოდებები მომავალში არაერთ მეტოქეს დასცემს შიშის ზარს.

ფედერაციის თასი
მეოთხედფინალი

**იტალია 4:1 ხორვატია**

(ბასანო დელ გრაპა, იტალია)

**შაბათი. ერთეულები: ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — ჯულია კაზონი (იტალია) 6:3, 7:6 (7:1); ადრიანა სერა-ძანეტი (იტალია) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:1, 6:1**

**კვირა. ერთეულები: კაზონი — მატეა მეზაკი 6:2, 6:4; სერა-ძანეტი — კოსტანიჩი 6:1, 7:6 (7:5); წყვილები: გლორია პიციკინი და რობერტა ვინჩი — მეზაკი და კაროლინა სპრემი 6:1, 7:5**

**იაპონია 1:4 არგენტინა**

(ტოკიო, იაპონია)

**შაბათი. ერთეულები: მარია ემილია სალერნი (არგენტინა) — საორი ობატა (იაპონია) 6:4, 6:2; კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:3, 4:6, 10:8**

**კვირა. ერთეულები: სალერნი — იუკა იოშიდა 7:5, 6:0; ობატა — ფერნანდესი 2:6, 7:5 — ტრავმა; წყვილები: სალერნი და ლაურა მონტალვო — იოშიდა და რიკა ჰირაკი 6:4, 6:4**

**ავსტრალია 5:0 ავსტრია**

(ადელაიდა, ავსტრალია)

**შაბათი. ერთეულები: ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — მარიონ მარუშკა (ავსტრია) 7:5, 6:2; ალისია მოლიკი (ავსტრალია) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:3, 1:6, 6:0**

**კვირა. ერთეულები: პრატი — პლიშკე 6:4, 6:2; მოლიკი — მარუშკა 6:2, 6:2; წყვილები: ევი დომინიკოვიჩი და რეიჩელ მაკქუილანი — მარუშკა და პატრიცია ვარტუში 6:4, 7:5**

**სლოვაკეთი 4:1 უნგრეთი**

(ბრატისლავა, სლოვაკეთი)

**შაბათი. ერთეულები: დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) — რიტა კუტი კისი (უნგრეთი) 6:4, 6:4; ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) — ანიკო კაპროსი (უნგრეთი) 4:6, 6:2, 7:5**

**კვირა. ერთეულები: ნაგიოვა — კუტი კისი 2:6, 7:6 (10:8), 7:5; ჰანტუჩოვა — პეტრა მანდულა 6:3, 6:4; წყვილები: კაპროსი და მანდულა — ჰანტუჩოვა და კარინა ჰაბსუდოვა 6:2, 5:7, 7:5**

ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — ფედერაციის თასის საქმე სწორედ ისეა, რომ იტყვიან, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ბოლო სამი წლის მანძილზე ორგანიზატორებმა უკვე მესამეჯერ შეცვალეს გათამაშების ფორმატი, თუმცა ამით „ფედქაფის" პოპულარობას არაფერი ემატება.

წლევანდელი, ექსპერიმენტული სისტემით გასულ უქმეებზე გამარჯვებული გუნდები — არგენტინა, სლოვაკეთი, ავსტრალია და იტალია ივლისის ბოლოს შესაბამისად გერმანიას, რუსეთს, შვეიცარიას და საფრანგეთს შეხვდებიან. იმ ნახევარფინალური მატჩების გამარჯვებულები კი ნოემბერში ფინალურ, ჯგუფურ ტურნირზე კიდევ ოთხ, მანამდე დასვენებულ ფავორიტს — აშშ-ს, ესპანეთს, ბელგიასა და ჩეხეთს გაეჯიბრებიან.

**ავთანდილ სვანიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge